

Зуихი Region

№30
2019 განო

ეკოსივერციალი
თანხევებია
მზრაათი
ნოს
ეკოსივერცია...

ეკოსივერცია
სალეფები

ლეიზა
აფხაზავა-თვალაპი

სარჩევი

წმინდა ელია წინასწარმეტყველის ხალები	2-5	ორი გურულის ტანდემი და ყაკოს თავგადასავალი	23-29
„შურსა და ცილზე ამაღლებული“	6-8	ეძიებდე და ჰქოვებდე	30-32
მეფე შიშველია!	8-9	სიკეთის მთესველი ქაცი.	33
თბილისის ფუნიკულიორი	10-12	მყურნალი საუკეთესო	
ზღაპარი სინამდვილედ იქცა	13-18	ფსიქოლოგია.	34-35
საუბარი საკუთარ თავთან	19-22	ანექდოტები	36

პირველი ქართული ჟურნალი გურულებზე



Guriaregion **REGION**

მთავარი რადაქტორი და გამოცემალი
ლელა სურმავა
ტელ: 558 25 65 50
ელფოსტა: Guriaregion14@mail.ru;
lelasurmava@mail.ru

პირველი გაითხველებო!

მოგვაწოდეთ პუბლიკაციები, მოთხოვობები,
ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ
თქვენი პრობლემები და მოგვიყევით საინტერესო ამბები.
გაითვალისწინეთ, უურნალში განთავსება ფასიანია.

ჟურნალი თავისუფალი პრესის პრინციპით ხელმძღვანელობს.

რადაქტორი გამოსალი მასლაბის სიზუსტაზე ჰასუნს აჩვენს ავტორი,
ხოლო საკუთარი ტექსტზე ჰასუნისგაბლობა რაალის შემავათს ენისრაა.

წმინდა ელია წინასწარმეტყველის ხარები

საქართველო ეკუთვნის იმ რჩეული ქვეყნების რიცხვს, რომელთაც ბიბლიურ სამყაროსთან ინტენსიური ურთიერთობის პატივი ხდება ნილად. უძველესი დროიდან ქართლში და მკვიდრებული ძლიერი ებრაული დიასპორა იძლეოდა ამ ურთიერთობების საშუალებას; მესიანისტური იდეები, რომელგანაც ებრაულებთან ერთად გაეცნო ქართველობა, კარგი ფონი აღმოჩნდა ქრისტიანობის მისაღებად. სწორედ ებრაელებს უკავშირდება უდიდესი ქრისტიანული სიწმინდის – ქრისტეს კვართის საქართველოში ჩამოტანა.

პირველი დიდი სიწმინდე, რომლის სიახლოესაც მცხეთა-ში ქრისტეს კვართი დაეკრძალა, არის წმ. ელია წინასწარმეტყველის ხალენი (მოსასხამი), რომლის საქართველოში მოტანას, ასევე ებრაელებს უკავშირდებნ.

წინასწარმეტყველთა სამოსის, კონკრეტულად ხალენის დაწვრილებით აღწერა ძველი აღთქმის წიგნებში არ გვხვდება. ბუნებრივია, წინასწარმეტყველთა საქმე-ების აღმნერთათვის ეს სამოსი ცნობილი იყო და მისი აღწერა აუცილებლობას არ ნარმოადგენდა. იმის გარკვევა, თუ როგორი იყო ამ სამოსის კომპლექსის ერთ-ერთი აუცილებელი ნაწილი – ხალენი, ძალიან ძნელია, თუმცა, წინასწარმეტყველთა სამოსის ერთ-ერთი ნაწილი ხალენი უნდა ყოფილიყო. იგი არა მარტო ჩვეულებრივი ჩასაცმელი, არამედ სიმბოლური დატვირთვის მატარებელიც იქნებოდა. გავიხსენოთ, რომ ელია წინასწარმეტყველი სწორედ ხალენის სიმბოლური შეხებით დაწინდავს ელისეს თავის მეკვიდრედ, ხალენით ახდენს სასწაულებს და ამ ხალენსვე უზოვებს ცეცხლოვანი ეტლით ზეცად ატაცუბული მასწავლებელი მოსწავლეს, როგორც ლვთის მადლით ზიარების სიმბოლო.

ქრისტიანულ ხატწერაში გვხვდება ელია წინასწარმეტყველის ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდები: მაგალითად, მასვილით შეიარაღებული კარმელის მთასთან, ქორათის ხევს თავშეფარებული და სხვა, მაგრამ ძირითადად „ფერისცვალების“ სიუჟეტი. ამ თემატიკაზე შესრულებულ ხატებში ერთ მხარეს გამოისახება ელია წინასწარმეტყველი, მეორე მხარეს – მოსე. ბერძნულ ხატებში ელია წინასწარმეტყველს გამოხატვენ სხვა ბიბლიურ წინასწარმეტყველთათვის დამახასიათებელი სამოსით, ხოლო ისეთ სიუჟეტებში, სადაც ელია ამ ქვეყნიდან წასვლამდეა გამოსახული, ყურადღება გამახვილებულია მოსასხამზე, რომელიც შიგნიდან ბეწვით არის შემოსილი ან ქსოვილის მოსასხამს ბეწვის ქობა აქვს შემოვლებული.

ლექსიკონებში ხალენი სხვადასხვაგვარად არის განმარტებული: ხალენი – უნდო მაზარა (უნდო მაზარა ცხოვართ მატყლისა, წამოსასხმელი) [11,414]. ხალენი – მატყლის უზეში ქსოვილი, ცხვრის ტყავის წამოსასხამი [12,1242], ხალენი – მატყლის ქსოვილი [4,460]. ხალენი – წამოსასხამი,

ქურთუკი („იქცეოდნენ ხალენებითა და თხის ტყავებითა“) (ეპრ. 11,37). ხალენი მოხსენიებულია შუშანიკის წამებაშიც „სასთაული ერთი ხალენისა უცნ სასთუნლით კერძო“ (შუშანიკის წამება, XIV,19). რუსულ ლექსიკონებში იგი განმარტებულია, როგორც ტოლომა, საკუხი, მოსასხამი [10,360] ან ზედა მოსაცმელი განიერი, გრძელი მოსასხამის სახით [18,1264]. გერმანულში ხალენის შესატყვისია Umhang, antel... მაგრამ მისი დაწვრილებითი აღწერა არც ერთ ლექსიკონში არ გვხვდება. იგი არ არის აღწერილი უცხოენოვან სიმბოლოთა ლექსიკონებშიც [20]. როდესაც ოქოზიამ ბაალთან შესაკითხად გაგზავნა მაცნენი, მათ გზაში შეხვდათ ელია წინასწარმეტყველი, რომელიც, მსახურთა აღწერით, ასე გამოიყურებოდა: „კაცი მატყიერ და სარტყეული ტყავისა ერტყა წელთა მისთა“ (IV მეფეთა 1,8) მსგავსი სამოსი ეცვა იოანე ნათლისმცემელს, „თვით იოანეს ემისა აქლემის ბეწვის სამოსი და ნელზე ერტყა ტყავის სარტყელი (მათე 3,4; მარკოზი 1,6).

ელია წინასწარმეტყველის ხალენი რამდენჯერმეა ნახსენები ძველ აღთქმაში: პირველად ხალენი ნახსენებია უფლის გამოცხადების უმს, როცა ელიამ „დაიფარა პირი თვისი ხალენითა“ (III მეფეთა 19,13), და მეორედ ელიოსთან შეხვედრის დროს „...მიინა ელია მისა და დააგდო ხალენი იგი მისი მის ზედა“ (III მეფეთა 19,19). მესამედ ხსენებისას ელია ხალენით უკვე სასწაულს ახდენს: „და მოიღო ელიამ ხალენი იგი თვისი... სცა წყალსა... და განიბო წყალი“ (IV მეფეთა 2,8), შემდეგ, როცა ცად ატაცუბული ელია გადმოუვდებს ხალენს მონაფეს. ამის შემდეგ უპევ ელიოს ახდენს სასწაულს – იგი იორდანეს წყალს შუაზე გაჰყოფს და ისე გაივლის (IV მეფეთა 2,14).

ქართული წყაროები ელია წინასწარმეტყველის ხალენის საქართველოში, კერძოდ მცხეთაში ყოფნას ადასტურებენ: „მოქცევას“ მიხედვით სიდონიას თავის მამის აბიათარისაგან სცოდნია, რომ უფლის კვართის დაკრძალვის ადგილი ორმაგი ძალით იყო შემოსილი: ქრისტეს კვართის დაფვლებამდე ოდესლაც აქ დაუმარხავთ წინასწარმეტყველ ელიას ხალენი, რომლის შესახებაც „მოქცევა“-ს შატბერ-დული რედაქცია ჭელიშურთან შედარებით განსხვავებულ ინფორმაციას იძლევა.

შატბერულ ვარიანტში, როდესაც სიდონია კვართის შესახებ საუბრობს, ამბობს, რომ, მისი ადგილსამყოფელი იცის ღმერთმან და „დედმიან ჩემიან ნინო“, მაგრამ არ ამხელს, ვინაიდან ჯერ არ დამდგრა უამი. ამის შემდეგ სიდონია განაგრძობს, მას მამისგან სმენია, რომ „არს სხუა აგვა“ ძალითა შემოსილი, მრჩებლი იგიცა, ხალენი ელიასი ამას ქალაქსა შინა, ხელთა ჩუქუნთა საკურთხეველისა სიმტკიცისა ქუეშე ქვათა შინა ულპოლველად ვიდრე უამამდე მისა“ [1,130]. ჭელიშური რედაქციის ავტორი კი იმ



წმინდა ელია წინასწარმეტყველი

ფრაზის შემდეგ, რომელიც ელიას ხალენს ეკუთვნის, წერს: „და ან ეს სამოსელი იესუსი აქა არს გამოუთქმელად ვი-დრე უამამდე მისა, რამეთუ მრავალგზის მაშრომა დედამან ჩემმან ნინო მამისა ჩემისა მიმართ, გამოვწულე ადგილი იგი სამოსლისა მის ჭეშმარიტად“ [1,130], მაშინ, როდესაც ცოტა ზემოთ იგივე ავტორი წერს, რომ „ელიოზ დაჲმარხსა რაღ თვისი და ხელთა აქვს სამოსელი იგი (კვართი) და არს ადგილი იგი, რომელი ღმერთმან იცის და იცის დედამან ჩემმაც“ (იგულისხმება ნინო) [1,129 – 2 ვარიანტი]. ჭელი-შური რედაქციის ავტორს შეცდომით ჰგონია, რომ კვართ-ზეა საუბარი, სინამდვილეში საუბარია ელიას ხალენის დაკრძალვის ადგილზე.

მოქცევამში ორივე სიწმინდის – როგორც ქრისტეს კვართის, ისე ელიას ხალენის ადგილსამყოფელის დასა-დგენად საჭიროა ელიოზის სახლისა და „მცირე ბაგინის“ ლოკალიზება. წყაროს ცნობით „სახლი ელიოზისი იყო ქალაქის დასავლითა, ნიალ მოგუთასა, ხიდსა ზედა“ [1,130], ეს ის ხიდია, რომლის შესახებაც წმ. ნინო ამბობს: „მო-ვინიენით მცხეთად ქალაქად ნიალ კერძო მოგუთასა, ხიდ-სა ზედა დავდექით. მუნით ვხედავდი ცეცხლის მსახურსა ერსა მოგუებასა და ცდომასა შინა“ [1,115].

აბიათარის მიერ აღნერილი „სახლი ელიოზისი“ წმ. ნი-ნოს მოღვაწეობის უმს ფრიად დიდებულ ადგილს“ [1,146] მდებარეობდა. იგი ქალაქის პრესტიულ უბნად ითვლებოდა და სწორედ ამიტომ ნათლავდნენ აქ დიდებულთა შეიცვალა ტოპონიმით „მთავართა სანათლოა“. ელიოზის

სახლის მდებარეობის შესახებ ლეონტი მროველი მხოლოდ მოქცევას ცნობებს იმეორებს [4,101]. წყაროს ცნობით იერუსალიმიდან დაბრუნებულ ელიოზის კვართი სწორედ სახლში მოაქვს: „სახლად ჩვენდა“ ამბობს სიდონია. სიდო-ნია და აბიათარი თავიანთ თავს ელიოზის უშუალო ჩამომა-ვლებად (იგულისხმება საგვარეულოს მიხედვით) თვლიან. სიდონია, როდესაც საუბრობს ელიოზის მიერ კვართის ჩა-მოტანასა და მცხეთაში მოტანაზე, ამბობს: „ელიოზ მოილო კვართი... მცხეთად, სახლად ჩვენდა“ [1,129]. დასტურდება ვარაუდი, რომ „ელიოზის სახლის საგვარეულო ფლობდა მღვდლობის უფლებას შთამომავლობით“ [9,41] თვითონ აბიათარიც ამბობს, რომ იყო იყო „ნილით ხუედრებული მღვდელი“ აბიათარი კი წარმოშობით ბენიამინის ცნობილი ტომიდანაა. ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ელიოზიც ბე-ნიამინის ტომს ეკუთვნოდა?

„მოქცევას“ დაწერის დროს ძველმა მცხეთელებმა ალბათ იცოდნენ ელიოზის სახლიც და ის „მცირე ბაგი-ნიც“, რომელიც ელიოზის სახლის მახლობლად მდგარა. აბიათარისა და წმიდა ნინოს დროს ეს უძველესი ნაგებობა სულ ცოტა სამსაუკუნენახევრისაა. აქ უნდა ყოფილიყო ის „სამარხვოც“, რომელშიც გადმოცემით დაკრძალული იყო ელიას ხალენი, ვინაიდან მხოლოდ ბაგინში შეიძლება ყოფილიყო საკურთხეველი, რომლის „ქვათა შინა ულპოლ-ველად“ განისვენებდა სინმინდე (უნდა შევნიშნოთ, რომ მოქცევამში ქვა გამოიყენება სამსხვერპლოს სინონიმად!).

სამარხვოს დანიშნულება კი შემდეგ იყო: ცნობილია, რომ როგორც ადრე, ისე ახლაც, იუდაური რელიგიის მიმ-





დევრები ხმარებიდან გამოსულ თორას ნაწილებს, ან სხვა სარიტუალო ნივთებს ან მათ ნარჩენებს წვავენ ან მარხავენ. ელინისტური ხანიდან მოყოლებული ამ წესის გამოყველა სინაგოგასთან არსებობდა სპეციალური სათავსო, სადაც ამ ნივთებს მარხავდნენ. სწორედ ამ სამარხოვოს გვერდით იდგა ელიოზის სახლიც. ზოგიერთი მკვლევარი მიუთითებს, რომ ეს სამარხო ელიოზის სახლის სარდაფი უნდა ყოფილიყო. თუ ეს ასე იყო, მაშინ IV საუკუნისთვის ეს შენობა უკვე დაკარგავდა საცხოვრებელი სახლის ფუნქციას. ხოლო სიდონია და აბიათარი ცხოვრობდნენ სახლში, სადაც თავის დროზე ელიოზის კვართი მოუტანია – ე.ი. ეს ორი სხვადასხვა შენობაა – ელიოზის სახლი, სადაც ცხოვრება არ შეწყვეტილა IV საუკუნეშიც და სამარხო, რომელსაც მიუღია მონესრიგებული არქიტექტურული ფორმა და გამხდარა „მცირე ბაგინი“, რაც თავისთავად გულისხმობს მცხეთაში „დიდი“, ჩვეულებრივი ბაგინის, ამ შემთხვევაში სინაგოგის არსებობასაც. ამ მცირე ბაგინის, ანუ სამარხოვოს გვერდით მდგარა ელიოზის სახლიც. სწორედ ამ ბაგინის კონსეკრეცია ხდება ნინოს მიერ. მისი მდებარეობა და არქიტექტურული სახე ხატოვნად არის აღნიერილი წყაროში: „ხე იგი კილამოა ამშვენებდა მას, რამეთუ გარდა-ეთხნა რტონი მისი ყოველსა მას სტოგასა ბაგინისასა“. სტოგა, იგივე სტოა ანტიკურ არქიტექტურაში იყო გრძელი გალერეა, პირტიკი, რომლის ერთ-ერთ გრძივ მხარეს სვეტების რიგი გასდევდა. „როგორც ჩანს, სტოას არქიტექტურული ფორმის გამოყენება სინაგოგაში მიუთითებს მის კავშირს ელინისტური ხანის არქიტექტურასთან. ვარაუდობენ, რომ იერუსალიმის ტაძარი, რომელიც რომაელებმა დაანგრიეს 70 წელს, სწორედ ასეთი ხუროთმოძღვრული ტიპის იყო [8, 142]. ამრიგად, მცხეთაში, მსგავსად დასპორის სხვა ქვეყნებისა, არსებობდა „სავსებით პროფესიული ეპოქის შესატყვისი და საერთაშორისო სტანდარტების არქიტექტურა, რაც ასახავდა, როგორც მცხეთის, ისე მასში მოსახლე ებრაული თემის კულტურული ცხოვრების საერთო დონეს“. საინტერესოა, რომ ბერძენი ავტორების თხზულებებში „სტოა“ ბაზილიკის სინონიმადაც იხმარება [17, 82-83]. ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ მცხეთაში უძველესი ბაზილიკური შენობის არსებობაც. ამ ადგილზე, ე.ი. ძველი მცხეთის დასავლეთ ნაწილში მტკვრის პირას ახლა მცირე ცალნავიანი ეკლესის უსახო ნაშთია შემორჩენილი. კედლის აღმოსავლეთის ფრაგმენტს ეტყობა, რომ მისი წყარო არაერთხელ შეიცვალა. მასში გამოყენებულია ანტიკური ხანის კვადრებიც. დღეს ამ ადგილს ფრიად

შთამბეჭდავი სახელი „გეთსიმანია“ ჰქვია. კედელი, რომელიც შემორჩენილია, ძალიან ადრეული და განდაგურებული ეკლესის ფუძეზეა ამოყვანილი. მის წყობაში გამოჩენდა უადრესი სირიული ეკლესიებისთვის დამახასიათებელი დაბალი, ყოველმხრივ პროფილებული კანკელის ფილები, რომელიც IV საუკუნეს თუ არა V საუკუნეს განეკუთვნება. გამოკვეთილია „ტრადიციული“ სურათიც. ადრეჯრისტიანული ეკლესია, კვლავ წინარე ქრისტიანული ნაგებობის ნაშთებზეა დაშენებული [13, 23]. აქ სადღაც, ქალაქის დასავლეთ ნაწილში, მოგვთა კართან, მტკვრის ნაპირას, მცირე სამლოცველოსთან (ბაგინთან), მცხეთელ პურიათა გარემოში იყო ელიოზის სახლი.

რაც ელიოსმთებულია თავისთავად ის ფაქტი, რომ ებრაული დიასპორა თაობათა მანძილზე ინახავდა ხსოვნას, როგორც წინასწარმეტყველ ელიას ხალენის, ისე ქრისტეს კვართის მცხეთაში მოტანისა და მისი ადგილსამყოფელის შესახებ. ამ სინმინდების მცხეთაში არსებობას განსაკუთრებით წმ. ნინო აქცევს ყურადღებას, ვინაიდან ორივე სინმინდე სიმბოლურად ასახავს ორ ეპოქას: – წმ. ელია წინასწარმეტყველის ხალენი – ძველ აღთქმას, ქრისტეს კვართი – ახალ აღთქმას. ორივე სინმინდის სიმბოლური დანიშნულება ხდება ერის ცნობიერების ზიარება მარადიულობასთან, რითაც, ბუნებრივია, მოხდა საქართველოს ეკლესის განსაკუთრებულობის ხაზგასმაც. უნდა აღვნიშნოთ, როგორც ქრისტეს კვართის, ისე წმინდა ელია წინასწარმეტყველის ხალენის მცხეთაში არსებობა სწორედ მაშინ გაცხადდა, როდესაც ქართლი უდიდესი არჩევანის წინაშე დადგა. იგი ან წარმართული კერპების ერთგული უნდა დარჩენილიყო, ან მონინავე ქრისტიანული იდეები ელიარებინა. საჭირო იყო, ქართლის მოსახელობას ერწმუნა, რომ ქრისტიანობის ქადაგება შემთხვევითი მოვლენა კი არ იყო, არამედ ამ სინმინდების აქ არსებობა მიანიშნებდა ამ ქვეყნის ღვთივრჩულობაზე, შემთხვევითი არც ის იყო, რომ ქართველ ებრაელებს – „პურიათა ქართველთა“ ქართულმა ისტორიულმა ტრადიციამ განსაკუთრებული სტატუსი შეუნარჩუნა – ისინი არიან მართლები, მათ ამოიცნეს მესია და არ გაისვარეს ხელი წმინდა სისხლით.

რაც შეეხება წმ. ელია წინასწარმეტყველის ხალენის ქართლში მოხვედრას, ისტორიული წყაროები მისი შემოტანისა და შემომტანის შესახებ დუმს. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ რა გზით შეიძლებოდა მცხეთაში მოხვედრილიყო იგი.

აღიარებული ფაქტია, რომ ებრაული დიასპორის პირველი დასახლებანი ქართლში ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აოხრების თანამედროვეა. წყაროებზე დაყრდნობით ებრაელთა საქართველოში შემოსვლის რამდენიმე ეტაპი გამოყენებით და ეს დავუკავშირეთ პალესტინაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ მოვლენებს. საუკუნეთა მანძილზე ებრაული დასახლებანი ქართველთა ისტორიული სამმაბლოს, ვითარაცა ერთიანი ისტორიულ-გეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ორგანიზმის განუყოფელ წარილებად იქცა. ისინი მშვენივრად მიესადაგა ჩვენის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ისტორიულად განსხვავებულ სტრუქტურას და არასოდეს გასჩენიათ სეპარატისტული ზრახვანი*. ჩვენ ვფიქრობთ, რომ წმინდა ელია წინასწარმეტყველის ხალენი შეიძლება შემოეტანა ებრაელი ლტოლვილების ერთ-ერთ ნაკადს, რომლებიც გარკვეულ ისტორიულ მომენტში გამოვიდნენ პალესტინიდან და გამოიყოლეს ყველაზე ძვირფასი რამ (იგულისხმება ელიას ხალენი). მაგრამ ვიცით,

რომ ებრაული უძველესი დასახლება მცხეთის საქალაქო რაიონის გარეთ მდებარეობდა (შემდეგში, იგი, მართალია, ითვლება მცხეთის ერთ-ერთ უბნად, მაგრამ იმ დროისთვის ტერიტორიულად თვით ქალაქში არ მოაზრებოდა), კერძოდ ხერკში. მაში, საიდან ან როდის გაჩნდა ტრადიცია ხალენის მცხეთაში არსებობის შესახებ?

ცნობილია, რომ წმ. ელიას ხალენი მეტყველეობით ელისე წინასწარმეტყველს ერგო, ხოლო ეს უკანასკნელი ცხოვრობდა და ალექსანდრე სამარიაში. იუდეისა და ისრაელის გაერთიანება აღარ მომხდარა. ისრაელის სამეფო ასურელების რისხვამ შეინირა ძვ. წ. VIII საუკუნეში. მოსახლეობის ნაწილი ამონებდა, ნაწილი – ასურელებმა წაიყვანეს ტყვედ, ნაწილმა კი იუდეის სამეფოს შეაფარა თავი. ალბათ დევნილებმა ელიას ხალენი სხვა სინმინდებთან ერთად სწორედ იუდეაში გახიზნეს. ძვ. წ. VI საუკუნეში ახალპატონის მრისხანე მეფე ნაბუქოდონისორ II-მ დაიპყრო იუდეა და მოსახლეობა ბაბილონში გადასახლა. მათ ადგილზე კი სხვადასხვა ჯურის კოლონისტები ჩამოასახლა – მოგვიანებით აღზევებულმა სპარსეთის სამეფომ დაამხო ბაბილონის ძლიერება – მეფე კიროსმა ნება დართო ებრაელებს, დაბრუნებულიყვნენ საშმობლოში და თან წალიტი იერუსალიმიდან ხალხთან ერთად დატყვევებული ტაძრის სინმინდენი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ელიას ხალენს არ მოუწია „ბაბილონის ტყვეობაში“ ყოფნა. იგი შეიძლება ებრაელი ლტოლვილების იმ ნაკადმა ნამოიღო პალესტინიდან, რომლებიც ნაბუქოდონისორის რისხვას მცხეთაში გამოერიდნენ: „ქრისტეს შობამდე 600 წლით ადრე ისრაელიდან ჩამოდის ებრაელების დიდი კოლონია, რომელთაც ჩამოაქვთ უდიდესი სინმინდე – ხალენი წმინდა ელია წინასწარმეტყველისა. ხალენის ჩამოტანა თითქოს იყო წინასწარმეტყველი, უფლის კვართის ჩამობრძანებისა და ყოვლადწმინდა ლვთიმშობლისათვის საქართველოს წილვდომობისა“.

„მოქცევა“ ებრაელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკადად მიიჩნევს ელიოზისა და აბიათარის უშუალო წინაპრების მოსვლას, რომელიც თარიღდება ძვ.წ. 169 წ. (გ.მელიქიშვილის მიხედვით) ან 136 წ. (ე.მამისთვალიშვილის მიხედვით). ძვ.წ. 175 წ. სირიის ტახტზე ავიდა ანტიოქე IV (175-163 წწ.). მან ებრაელები კანონგარეშედ გამოაცხადა და აპეარა ყოველგვარი მოქალაქეობრივ-პოლიტიკური უფლებები. აკრძალა სინაგოგაში სიარული, ლოცვა და სხვა. მოითხოვა, ებრაელებს თაყვანი ეცათ ზევსისთვის და ელაპარაკათ მხოლოდ ბერძნულად. მეფის ბრძანებით დაწვეს ებრაული წმინდა წიგნები და დაანგრიეს ტაძრები. მოსახლეობა სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა მტერს (მაკაბელთა 1,63-63, 11,19-22). ამდენად, ყველაზე ძლიერ დევნას აღბათ სასულიერო წოდება განიცდიდა. ამიტომ არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ ცნობილი გვარი ბენიამინის მუხლიდან მოდის ქართლში და იღებს ბაგინზე მღვდლობის უფლებას. უტყუარი ცნობებით (როგორც წერილობითი, ისე არქოლოგიური) | საუკუნეში მცხეთაში ებრაული დიასპორის არსებობა დასტურდება, ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ მცხეთაში დასახლებულ ერთ-ერთ ნაკადს შეიძლება თან მოეტანა ხალენი, რომელიც პალესტინიდან საფრთხეს გამოარიდეს**. ყოველ შემთხვევაში | საუკუნის | ნახევარში ელიას ხალენი უკვე მცხეთაშია და მისი დაფვლის ადგილი წმინდა ადგილად არის შერაცხული. ამ ადგილმა მიიღო „სამარხვო“-ს და მცირე ბაგინის სახელნოდება. წმ.წინოს მიერ მცხეთაში მოქცეული ქრისტიანული თემი*** მას ერთ-ერთი წმინდა ადგილად აღიარებს, განსაკუთრებით მას

შემდეგ, რაც მოხდა მისი კონსეკრეცია – მასზე ჯვრის აღმართვა. იუდაური რელიგიის აღმსარებელთაოვის ამ წმინდა ადგილის დაკარგვა სიმბოლურად სოლომონის ტაძრის დანგრევის ტოლფასი იყო – უძლიერესი ებრაული თემი იმღება და მცხეთიდან მთელს კავკასიაში იფანტება – ხდება დიასპორის დიასპორაში გადასვლა – ეს იყო ქრისტიანობის ბრწყინვალე გამარჯვება.

ამჟამად წმ. ელია წინასწარმეტყველის ხალენის არსებობას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია განსაზღვრავს სვეტიცხოვლის ტაძარში, ე.წ. ელია თეზბიტელის სამლოცველოში, სადაც დღეს წმ. ელიას სახელობის ჭაც მდებარეობს. სამლოცველოს დასავლეთის კედლის საძირკველში ივარაუდება ხალენი, რომელიც ისევე, როგორც ქრისტეს კვართი, უფლის მეორედ მოსვლამდე იქნება დაცული. წმ. ელია წინასწარმეტყველის ხსენებას ქრისტიანული ეკლესია 20 ივნისს (ახ.სტ. 2 აგვისტო) აღნიშნავს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბრძანებს: „ებრაელებმა ქართველებს ... უდიდესი სიწმინდე ჩამოგვიტანეს – წმ. ელია წინასწარმეტყველის ხალენი. ეს ის სამოსია, რომელიც ელია წინასწარმეტყველმა თავის მოწაფეს – ელისეს დაუტოვა, როცა იგი ცეცხლოვანი ეტლით ამაღლდა ზეცად. დიახ, ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე, რაც ებრაელებს გააჩნდათ, მათ საქართველოში ჩამოიტანეს“ [5,2]. „ეს ის ხალენია, რომელმაც გააპო მდინარე იორდანე და სხვა მრავალ უდიდეს სასაულს აღასრულებდა. სწორედ ეს ხალენი იქნა ჩამოტანილი მცხეთაში, საკურთხევლის მარჯვნივ (იგულისხმება სვეტიცხოვლის საკურთხეველი) არის წმინდა ელია წინასწარმეტყველის სახელობის ტრაპეზი. ჩვენი წინაპრები ამბობდნენ, რომ სწორედ აქა დაფლული ეს დიდი სიწმინდე“ [6,6].

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დიდი სიწმინდე წმინდა ბერძნულად ელია წინასწარმეტყველის ხალენი არის ერთ-ერთი უდიდესი სიმბოლო საქართველოს ეკლესიის განსაკუთრებულობისა და სტილური უდიდეს სასაულს აღასრულებდა. სწორედ ეს ხალენი იქნა ჩამოტანილი მცხეთაში, საკურთხევლის მარჯვნივ (იგულისხმება სვეტიცხოვლის საკურთხეველი) არის წმინდა ელია წინასწარმეტყველის სახელობის ტრაპეზი. ჩვენი წინაპრები ამბობდნენ, რომ სწორედ აქა დაფლული ეს დიდი სიწმინდე“ [6,6].

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დიდი სიწმინდე

წმინდა ბერძნულად ელია წინასწარმეტყველის ხალენი არის ერთ-ერთი უდიდესი სიმბოლო საქართველოს ეკლესიის განსაკუთრებულობისა და ძველ დედაქალაქ მცხეთაში ქრისტეს კვართან ერთად ერთად მისი არსებობა უდიდესი მადლია.

დავით ჩოჩიშვილი



სვეტიცხოვლის ტაძარი, წმინდა ელიას ჭაც

...შურსა და ცილზე ამაღლებული...

საუკუნეებს უდეა გაუძლონ...

იშვიათად რგებია მწერალს ერის ისეთი სიყვარული, როგორიც მას ხვდა წილად.


„...ბავშვობიდანვე მიყვარდა კლდესთან ბრძოლა, საფეხურების ჭრა, თავქვეშ ბალიშის მაგიერ ქვის ამოდება და ფიქრი“, – წერდა იგი. საეთად დარჩა მთელი ცხოვრების მანძილზე. მისი საფიქრალი კი ყველგან და ყოველვის სამშობლო იყო. ამ ფიქრითა და დიდი გარჯით შეიქმნა უკვდავი „გმირთა ვარამი“, რომელსაც მწერალმა მთელი შეგნებული ცხოვრების საუკეთესო წლები შეალია. ბრწყინვალე მოთხოვნები „უგზო ქარავანი“, „კრწანისის სევდა“, ჰეროიული დრამები „მეფე ერეკლე“, „დავით ალმაშენებელი“, რომლებიც კარგა ხანს ამშვენებდა მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენას...

ერის ისტორიულ ძეგლებს ხომ უანგარო მოქიონახულედ და შუბოსან დარაჯად ედგა! მთამსვლელობასთან წილადიარი, სხვებსაც ურჩევდა ქვეითად მოევლოთ საქართველოს მთა-ბარი, ეს „მიჯაჭვული ამირანის“ მხარე... შეგნებული მოგზაურობა უკვე თავისთავად შემოქმედება არისო, იცოდა თქმა. სწორედ მოგზაურობის სიყვარულმა დააკავშირა იგი ჯაფარიძების ოჯახთან. ლეგენდარული ალიოშა ჯაფარიძის თოკის მეწყვილეც არაერთხელ ყოფილა კავკასიონზე, უვალ ბილიკებს როცა კვალავდნენ... შემდეგ მარტომაც ბევრი იარა, იღვანა, ცხოვრების ათასი ძნელბედობა გამოიარა, მაგრამ ალიოშას ხატება გულიდან ვერ ამოილო... „არიან ადამიანები, რომელთა არსებობას ცხოვრებიდან მათი წასვლის შემდგომაც უშუალოდ გრძინობა, როგორც ცხოვრების შეუწყვეტელ ნაწილს. მთაში ხომ ალიოშას სულ ცოცხლივ განვიცდი“, – წერდა იგი.

...საქართველოს ბუნება, მისი წარსულის დიდებული ძეგლები თუ მღვიმე-გამოქვაბულები მრავალ საკვირველებათა და თავისებურებათა უშრეტი წყაროა. ვინ იცის, რამდენი უძველესი ძეგლი ან მღვიმე, სხვა მეცნიერული თუ ესთეტიკური მონაპოვარი მოელის თავის მკვლევარსა და პირველ აღმოჩენს...

სწორედ აქ, მიუვალ ქვაბებში უნდა ვეტებოთ „ქართლის ცხოვრების“ დაფანტული ფურცლები, მამა-პაპათა სისხლით დაპეურებული ხატ-სალოცავები და საპრძოლო დროშებით... წერდა იგი, და არა მარტო წერდა, ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძებთან, ატე წესინვერიძესთან, კოტე ჯავრიშვილთან, გვივი ყალაბეგიშვილთან, სარგის ცაიშვილთან, რეზო ინანიშვილთან და სხვა ჭეშმარიტ მამულიშვილებთან ერთად ექცებდა, იკვლევდა და პოულობდა კიდეც... მღვიმეში მიკვლეულ ხელნაწერთა ფრაგმენტები და აბუხალოს უაღრესად საინტერესო ქობთავის ფრესკები, ბეთლემისა და ხვამლის ქვაბ-სახი ზრდებში მიკვლეული ერის მატერიალური ფასეულობანი ამის ჭეშმარიტი დასტურია. მარტო თრეხვის გამოქვაბულის ხსენება რად ღირს, როცა 1957 წელს ატე წესინვერიძესთან და გივი გაფრინდაშვილთან ერთად „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ავტორის, ლეონტი მროველის სამყოფიდან მეთორმეტე საუკუნის წარწერიანი ქვა-ჯვარი ჩამოიტანა! სამწუხაროდ, ბ-ნ ლევანს სიცოცხლეში ხელისუფლების-გან ჯილდო არ ღირსებია. ერთადერთი, საპატიო სიგელი გასცა კულტურის სამინისტრომ ლეონტი მროველის სამყოფში წარწერიანი ქვა-ჯვარის აღმოჩენის გამო.

მწერლის დაბადების 70 წლისთავის საიუბილე დღე-ებში რევაზ ჯაფარიძე წერდა: „ლევან გოთუას ხელით გაკეთებული საქმე ჩვენს მთებზე გადმომდგარ უძველეს ციხე-კოშკებსა და მონასტრებს გვაგონებს, რომლებმაც



ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

საუკუნეებს უნდა გაუძლონ“.

ჭეშმარიტად!.. ბატონო რევაზ!

მცირალი და მთამსვლელი

„... ყველას და ყოველთვის ვეკითხებით დაბადების წელსა და დაბადების ადგილს. მაგრამ ალბათ, ეს არ ეხება მწერლებსა და მთამსვლელებს. მწერალი თავისი პირველი წიგნით იბადება, მთამსვლელი კი მწვერვალზე პირველი ასვლით. ლევან გოთუა მწერალიც იყო და მთამსვლელიც. ის ერთდროულად დაიბადა, როგორც მწერალი და როგორც მთამსვლელი. მყინვარვერის მხარეში, ხდეს ხეობაში იგი 1937 წელს პირველად ავიდა შავანაზე. ამ ასვლას მიუძღვნა თავისი პირველი წიგნი – „ხდედალეულნი“. ყოველი მთამსვლელი თავისებური მოვლენაა. არავის ესმის, რატომ დავდივართ, რისოვის დავდივართ, რა გვიზიდავს ველურ ბუნებაში, თოვლისა და ყინულის სამყაროში. არავის გაუხსნია მთამსვლელის სულიერი სამყარო. ცდები ბევრი იყო, ყველა ცდა – უნაყოფო; მაგრამ იყო მხოლოდ ერთი გამონაკლისი – ლევან გოთუა. ერთმა ევროპელმა მთამსვლელმა დანერა თავისი გრძელი ცხოვრების ისტორია და თავისი ცხოვრების გზას სახელად დაარქვა „ბრძოლა არაფრისთვის“. ჩვენებური მთამსვლელი ასეთ წიგნს არ, უფრო სწორად, ვერ დანერდა. ვაჟას ქვეყანაში, იქ, სადაც ფარცხალა გორებია, ადრე თუ გვიან უნდა გამოჩენილიყო ლევან გოთუა. მრავალი წლის წინ, ერთმა ცნობილმა ქართველმა კრიტიკოსმა დაწერა გამოკვლევა „ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“. იქ ვაჟა იყო მთავარი. ლევან გოთუამ დაწერა „ვაჟას სამყაროში“, მას თავისუფლად შეიძლება ეწიდოს, „მთამსვლელის სული ესთეტიკურ სახეებში“. ნაწარმოები, სადაც ერთმანეთს შეერწყა მთამსვლელი და ბუნება, მთამსვლელი და მთები. ვაჟას მინდაბა წაშალა საზღვარი ადამიანსა და ბუნებას შორის. ლევან გოთუასთან ყველა მთამსვლელი მინდა იყო.

კარგად მახსოვეს, როგორ მოვიდა ლევან გოთუა ალპი-ნიშმში. გამოჩენდა ბრგე ვაჟყაცი, და როდესაც შევხედე, პირველი, რაც გავიფიქრე, ეს იყო: როგორ გაუძლებს მას კლდის ერთი ციცქა საყრდენები და ნაპრალების არასაი-მედო თოვლის ხიდები-მეთქი. მაგრამ გაუძლეს. ლევანი დადიოდა, და კარგადაც დადიოდა. ჩვენმა დიდმა მთამს-ვლელმა ალიოშა ჯაფარიძემ შეამჩნია ის, თავის ჯაფუფში ჩარიცხა და მასთან ერთად გაიარა ქართველ მთამსვლელთა პირველი დიდი ტრავერსი – მაჩხაფარიდან ზესხომდე, თეთრი უცნობი, კოტე მარჯანიშვილი, საბა-სულხანი... ჩვენს მთამსვლელობაში ტრადიცია დამკვიდრდა: საქართველოს მწვერვალებმა მიიღეს დიდ ქართველთა სახელები. ტრადიციამ, რომელიც დაიწყო რუსთაველის მწვერვალით კავკასიონზე, შემდეგ კავკასიონს გადაბიჯა და ვაჟას სახელი აიტანა 6980 მეტრის სიმაღლეზე ტიან-შანის მთებში. ასე შეიქმნა ვაჟას – მწერლისათვის დადგმული უმაღლესი ძეგლი მსოფლიოში, მთამსვლელებს მწვერვალებზე გამარჯვება უხარით. ლევანისთვის არც მწვერვალზე გამარჯვებით გამონვეული სიხარული შეგვიტყვია, არც დამარცხების სიმწარე. მისთვის სიხარული უკვე ის იყო, რომ მთებთან იყო. დადგებოდა სადმე უფსკრულის თავზე, იყურებოდა შორს, უსასრულო სივრცეში და ამპობდა მხოლოდ: რა დიდი და ლამაზი ყოფილა სამშობლო ჩემი. პორიზონზე კი სჩანდნენ სიშორის ბურუსში გახვეული მწვერვალები, ხეობებში მოხეტიალე ღრუბლები და დღის ვარსკვლავები; ვარსკვლავები, რომელთაც მხოლოდ მთამსვლელები ხედავენ.

მრავალი მთამსვლელი ყოფილა კავკასიონზე, მაგრამ მთა მართლაც ცოცხალი არსება რომ ყოფილიყო, მას მრავალთაგან უთუუოდ დაამასხოვრდებოდა ერთი – ლევან გოთუა. ერთი იმიტომ, რომ იშვიათად არიან ადამიანები, რომლებსაც ასე ესმით მისი, როგორც ლევან გოთუა...“

თარგიგინებული

(მოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში, მწერლის დაბადებიდან 70 წლისთვისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე წარმოთქმული სიტყვა)

დაუვიცყარი შეხვედრები

ჭარმაგობის ხანაში წავიდა ჩვენგან ფუტკარივით მშრომელი, საზოგადოებრივი ქველმოქმედებით აღსავსე, დიდ მწერალი ლევან გოთუა – აზრი, ფარი და ხმალი ქართული ეროვნული კულტურისა. ძნელია, წარმოიდგინო, რომ ეს გოლიათი აღარ გაივლის რუსთაველის პროსპექტზე, არამაზში აღარ შემოგვევებება მისი კეთილი ღიმილა.

1958 წელს, ივლისის თვეში, ლევან გოთუა გეგეჭკორში ჩამოვიდა ჩვენ სახელოვან მსახიობ სერგო ზაქარიაძესთან ერთად. იმჯერად ისინი მარტვილისა და ეგრისის მთის ღირსშესანიშნაობის მოსახილავად გვეწვივნენ. საღამო უამი იყო, პირდაპირ მარტვილში ავიდნენ. ბინდამდე შეხარიდნენ მარტვილის მონასტერს. არავინ შეუწუხებიათ, არავისთვის უცნობებიათ ჩამოსვლა, ჩამავალ მზის სხივებს მარტვილის ეზოში შეხვდნენ, მთვარის შუქზე მგზავრულ ვახშამს შეექცნენ.

მარტვილის ძეგლის მცველი, მხცოვანი პედაგოგი, ან განსვენებული ნიკოლოზ ისიძე, ძეგლის კარების ჩასაკეტად ავიდა. ეზოში ნაგვიანევი მგზავრების შეხვედრამ გააოცა – „ვინა ბრძანდებით, დალოცვილებო, განასახლ-კარი არა გვაქვს, რომ აქ, ამ ცვარსა და ნამში, არ გაგათვევინოთ?! – იკითხა მან.“

ისინი ფეხზე წამოდგნენ და თავაზიანად შეავლეს თვა-

ლი დარბაისელ მოხუცს.

– თქვენ ბატონი ნიკოლოზი ბრძანდებით? – იკითხა ლევანმა, – ჩვენ ერთი უბრალო მოგზაურები ვართ, საქართველოს მთასა და ბარში დავდივართ, ვტკებით ჩვენი ქვეყნის სილამაზით.

– ვერ გაპატიიებთ, ბატონებო, ვინც არ უნდა იყოთ, სახლი აქვე მაქვა, ორს კი არა, ოც კაცს მოვასვენებ და გაუუმასპინძლდები, მენვიერ შინ, – გულით შესთხოვა მასპინძელმა. თანაც სახეზე აკვირდებოდა უცნობებს, რომელთა სახეებს მთვარის შუქი ანათებდა, ბოლოს ხელგაშლილი მივარდა ლევანს, გულში ჩაიხუტა და მთრთოლვარე ხმით შესძახა:

– ლევან გოთუა ბრძანდებით, ბაბა! ვაი, ჩემს მოსწრებას, ვაი, სირცევილო, ასეთი საამაყო კაცი, ასე უჩუმრად შემოსულხართ.

– თქვენს შეწუხებას მოვერიდეთ, ბატონი ნიკოლოზ, ტყბილი ხმით შეებასუხა ლევანი, – ეს ჩვენი სახელოვანი მსახიობი სერგო ზაქარიაძეა.

მოხუცმა კიდევ უფრო გაიხარა და გულით შესთხოვა, მიეღოთ მისი მასპინძლობა...

სულ ათიოდე წუთი დასჭირდა მოხუცს, სახლში შეერბინა და დატვირთული უკანვე დაბრუნებულიყო ხონჩით. ხის განიერ ხონჩაზე მრგვალად მოხარშული დედალი, (ცხელი ჭადები, ყველი და მწვანილი ეწყო. უკან შვილიშვილი მოსდევდა სავსე ხელადითა და ჭარაქით ხელში.

– რახან აგრეა, აქ მაინც ვივაბშებ თქვენთან ერთად. იქნებ, სიმყუდროვე დაგირღვიერ, მაგრამ მაპატიით მოხუცს, შეიძლება რამდენიმე წელი კიდევ მაცოცხლოს მთვარიან ღამეში ამ უცნაურმა ვახშმობამ.

მარტვილის მცველის მასპინძლობამ სტუმრები ძალზე ააღელვა, გვიანობამდე საუბარში გაატარეს დრო. შემდეგ მოხუცი სახლში წავიდა, სტუმრები კი კარავში შევიდნენ.

ჯერ კიდევ ბინდში წამოადგა თავზე მოხუცი მოგზაურებს და სთხოვა, შინ სტუმრებოდნენ. მათ ნიკოლოზ ოსიძის სახლში ისაუზმეს და ზურგიანთებაკიდებული, რაინის ცენტრისაკენ ჩაუყვნენ გზას.

ასობით კაცი შეკრებილიყო მათ შესახვედრად, ყოველგვარი ორგანიზების გარეშე. სიტყვები არ თქმულა, მიტინგი არ გახსნილა, ხალხი თვითონ შეიკრიბა, გამოხატა სიყარული და პატივისცემა თავისი სახელოვანი შეიღების მიმართ. შემდეგ ისინი ტეხურის ხეობით ლებარდისაკენ გაემგზარებენ. გზადაგზა ტეხურის ხეობის ღირსშესანიშნაობით ტებებოდნენ. მეორე დღეს ლებარდები იყვნენ. ჩემთან ახალგაზრდები მოვიდნენ და მახარეს: ლევან გოთუა და სერგო ზაქარიაძე ამოვიდნენ და შენ გვითხულობენ. ამ დროს ისინი უკვე ჩემს კარავში უახლოვდებოდნენ. მე აღტაცებული შევყურებდი თეატრალური ხელოვნებისა და მხატვრული სიტყვის დიდოსტატებს.

– გივი ელიავა! თქვენი მეგზურობა გვირჩიეს ლებარდები, – გაღიმებული სახით მითხორა ლევან გოთუა.

ის საღამო ლებარდეს მიდამოების დათვალიერებას მოვანდომეთ. ტყბილი მუსაიფით დააბიჯებდნენ ისინი ვიწრო ბილიკებზე. იგემეს მუავე წყალი ავიდნენ „დიდლალის“ გადასახედზე.

ალპური იალაღები და წიწვიანი ტყეების მშვენიერება თვალს ხიბლავდა. დიდხანს აღტაცებით შესხაროდნენ ტეხირგოლას სანახებს. მწყემსებთან ვისამხრეთ და გვიან საღამოს ისევ ლებარდები დაგბრუნდით.

არასოდეს დამავიწყდება ის ღამე. ლევანი სერგოს მზრუნველობით უღებდა კერძებს, ურჩევდა ისეთ საჭმელს, რაც მის ხმას არ ავნებდა.

— უნდა მოვუფრთხოებილდეთ მის ხმას და თვითონ მის ჯანმრთელობას, იგი ჩვენი თეატრალური კულტურის მშვენებაო, — ჩუმად მითხრა ლევანმა.

ეს უბრალო ლინი და ვახშამი როდი იყო, ეს იყო თა-
ვისებური აკადემიური გაკვეთილი, რომლის მსგავსს ვერ-
სად ვერ მოისმენს კაცი.

– ჩვენ, იქ დამსწრებმა, ვიგრძენით თუ რაოდენ სწამ-დათ და უყვარდათ იმ დიდ ადამიანებს ერთმანეთი.

მეორე დღეს კვლავ მთებში იარეს, გეოლოგიურ პარტიას შეხვდნენ, ნახეს მათი შრომის შედეგებიც. ხოლო საღამოს – გეგეჭკორისაკენ წასვლის სურვილი გამოთქვეს. ჩეგოლას გადასახვევთან, ვერბა ლოდზე გაეშალა საგანგებო სუფრა სტუმრებისთვის მწყემსის ტანსაცმელში გადაცმულ ერთ ჩემს მეგობარს. მწყემსური სიუხვე და დაუდევრობა ეფინა მაღლიან სუფრას. ლევანმა სიცილით ხელი მომკიდა და მეგობრული ალერსით მითხრა: „რა გითხრა, გივი ელიავა, ეს რა უცნაური რამ მოგვიწყვე-

თო". ლოდის გონიოებზე ანკესტი ჩაეყარათ, რომელზე-
დაც კალმახები ირწეოდნენ. ხმელეთზე ცეცხლი ენთო და
ელარვი მზადდებოდა. ზღაპრული რამაა, – სთქვა სერ-
გომ და კიდევ მოილზინა გულიანად.

დღიდან შევრჩით სუფრას აღტაცებულნი, სასმისი სასმისზე იცლებოდა. ტყბილ სადღეგრძელობს ამბობდნენ. საღამოს ისინი გეგეჭკორისაკენ დაუყვნენ.

მას შემდეგ გეგმულობრივის რაიონში კიდევ ბევრჯერ იყვნენ ლევან გოთუა და სერგო ზაქარიაძე, მაგრამ ის პირველი შეხვედრა ისე სამახსოვრო იყო, რომ, როდესაც ისინი უკვე აღარ გვყვანან, მომინდა ჩემი შთაბეჭდილების გამხელა და თხრობა.

გივი ელიაზა

გეგეტკორის მხარეთმციუნების მუზეუმის დოკუმენტორი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
საქართველოს ბუნება, №3, მარტი, 1973 წ.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

მეცნი მიმდევა!

ამას ნინათ თბილისიდან სწრაფი ფოსტით ახალი გაზეთები მივიღდე – **ახალი ერა**, იბერია-სპექტრი, ახალი შვიდი დღე, ასავალ-დასავლი, სვანეთი, ევრაზია-ექსპრესი. გაზეთების კითხვა არც დამიმტავრებია, **ასავალ-დასავალში** ერთმა წერილმა უმაღლ კალამი ამაღლებინა...

ამ გაზეთში ორი რუბრიკა მომწოდეს კვირაცინოსნები და ვინ ვინ არის?!

როგორც წვეთი წყლის ანალიზით
შეიძლება გაიგოთ მთელი ზღვისა და
ოკეანის ქიმიური შემადგენლობა, ასევე
იმ ერთი ფრაზით შეგიძლიათ ბევრი რამ
შეიტყოთ კვირგვინოსნებზე; მეორე რუ-
ბრიკა კი მთლიანად წარმოაჩენს პიროვ-
ნებას, მის ინტელექტს, მსოფლმხედველობას, მრწამსს,
თუ რა თამა უნდა, რესპონდენტი გულწრფელია.

ამა წლის 23-30 აპრილის მეჩვიდმეტე ნომრის სტუმარი პროფესიული ნორარ ლომოური ბრძანებულა.

ჟურნალისტის გაფრთხილებაზე – თქვენი თითოეული სიტყვა იწერება, და ამდენად, თქვენსავე ნათქვამზე მართლმასაჯულებისა და ისტორიის წინაშე პასუხს აგებთ – პიროვნების შეფასებისას ყოველთვის ვაგებ პასუხს ჩემს ნათქვამზე ნებისმიერ დონეზე, – რისით აცხადებს პროფესიონალი.

ბატონი ნოდარ ლომიური მეოთხედი საუკუნის წინ გავიცანი არქეოპლისის გათხრებზე, სენაკის რაიონის სოფელ ნოქალაქევში, რომელსაც პროფესორი პარმენ ზაქარაია სელმძღვანელობდა. სიამოვნებით ვისმენდი ბატონი ნოდარის საუბრებს როგორც ექსპედიციის სამეცნიერო შედეგებზე, ისე საერთოდ, ისტორიის საკითხებზე; მის პატივსაცემად გამართულ სუფრაზეც ვყოფილვარ, გულწრფელად დამილოცავს; გაზეთებშიც არაერთი სტრიქონი დამიბეჭდავს როგორც ნოქალაქევის აღმოჩენებზე, ისე ექსპედიციის თითოეულ მონაწილეზე.

ამ ათიოდ წლის ნინ ჩვენი ქვეყნის დაქცევა რომ დაიწყო, პროფესორი ლომოური სულ სხვა ამპლუაში წარ-



ჯუმბერ ჯიშვარიანი

მოჩინდა ფართო საზოგადოების წინაშე. შეიარაღებული გადატრიალების კვალ-დაკვალ დასტამბულ მის წერილებს რომ ვისხენებ, ახლაც მზარავს; მაგრამ ის, რაც გაზეთის ამ ნომერში ამოვიკითხე, ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ვერ წარ-მომედგინა, ადამიანში ამდენი ლვარძლი და ბოლმა თუ იყო დაბუტიბული.

პირდაპირ შემაძრნუნებელია მისთვის
არასასურველი პიროვნებების ლომოური-
სეული შეფასება – არარაობა, აბსოლუ-
ტური არარაობა, არანორმალური, გა-
რენარაო...

რ ჯიშვარიანი ისტორიკოს პროფესორს ბიძლია ერთხელ მაინც რომ გადაეფურცლა, ამონ-კითხავდა, – პატივი და უპატიობა სიტყვებშია, და კაცის დამლუპველი ენაა. ასევე უსამართლობაა შეურაცხყოფა გონიერი გლახაკისა და უჯეროა ხოტბის შესხმა ცოდვილი კაცისათვის (სიბრძნე ზირაქისა, თავი მეოთხე, 14; თავი მეტე, 22).

რამდენადც დიდი ხარ, იმდენად დაიმდაბლე თავი
შენი და უფლის წინაშე მაღლს იპოვი, — გვასწავლის სა-
ხარება. მაგრამ არა! პროფესორ ლომოურს ხელთ შოლ-
ტი ჩაუბლაჯავს და უტლამუნებს მარცხნივ თუ მარჯვნივ
ყელას, ვინც მის აზრს არ იზიარებს.

პროფესორ გურამ შარაძის შეფასებისას ბრძანებს, – უარყოფითი პიროვნებაა, რომელსაც ეროვნული ოვალსა-ზრისით სასიკეთო არაფერი გაუკეთებია; პირიქით, მრა-ვალი დანაშაული მიუძღვის ერის წინაშე.

კაცი ეროვნულობას უწეუდებს პროფესორ გურამ შარაძეს, თავად კი მხოლოდ ისღა დარჩენია სატრაბახოდ, — ეროვნული ხელოსუფლება იარაღით დაგამხეო!

ეს იმას ჰეთავს, საჭურისი კაზანოვას მამაკაცურ პო-
ტიენჯიას უწუნებდეს...

სასახლილოა, სატირალი რომ არ იყოს.

სხვათა შორის, რევოლუციონერი პროფესორი იმ მუზეუმის დირექტორი ბრძანდებოდა, სადაც ეროვნული სა-

განძური ინახება. სწორედ ის საგანძური, თავის დროზე თავგაცხელებულ ორჯონიკიძეებსა და მახარაძებს რომ გაარიდა პირველმა ეროვნულმა ხელისუფლებამ და **მუნეტნი დვორში** გადადნობას გადაარჩინა; უცხოეთის მინაზე კი საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვა საქართველოს მეჭურჭლეთუსუცესად შერაცხულმა სულგანათებულმა ექვთიმე თაყაიშვილმა; ხოლო როცა უამი დადგა, უკლებლივ ჩამოუტანა საქართველოს...

...მეორე ათასწლეულის მიწურულს, როდესაც ზოგიერთი რეგვენი ქართველის მხარდაჭერით ამ საგანძურს კვლავ საფრთხე დაემუქრა, პროფესორმა გურამ შარაძემ პირველმა დაარისხა განგაშის ზარები! ხოლო საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორი, პროფესორი ნოდარ ლომოური ოკეანისგალმელი, ვიღაც ავანტიურისტი გუროვის ბანაკში აღმოჩნდა, რომელიც დღემდე პათოლოგიური გააფთრებით იბრძის, ერის სინმინდები როგორმე საზღვარგარეთ გაიტანოს!

კაცმა რომ თქვას, ვიღაც უცხოტომელი გუროვის მცდელობა რად უნდა გაგვიკირდეს, — იგი საქმოსანია და მხოლოდ თავისი ფინანსური ინტერესები ამოძრავებს; გამაოგნებელი ბატონი ლომოურის განცხადება იყო — მე დირექტორი ვარ და ექსპონატებს სადაც ჩავთვლი და რამდენი ხნითაც ჩავთვლი საჭიროდ. იქ გავიტანო! ამას აცხადებს პირველება, რომელიც ეროვნული სიმდიდრის პირველი ჭირისუფალი უნდა იყოს! (?)

ასე რომ, დიდი მადლობა პოეტსა და უურნალისტს, ქალბატონ ბელა შალვაშვილს, რომელმაც **დემოკრატიული რევოლუციის რაინდს** საშუალება მისცა. ბოლომდე გაშიშვლებულიყო ერის წინაშე!

რამდენადაც მახსოვს, ბატონ ზურაბ ჟვანიას საჯაროდ არასოდეს განუცხადებია, — პუტინის დროს იარაღით ხელში ვიპრძოდიო. მაგრამ დახეთ, რა ტექნიკურად **ჩაუშვა** ბატონმა პროფესორმა — ერთად ვიპრძოდითო ძველი ხელისუფლების დასამზობად.

ბატონ მუხრან მაჭავარიანს კი პროფესორი ლომიური გაეკეცულა — უაღრესად დიდ პატივს ვცემო, ერთ-ერთი უნიფირერესი პოეტიაო, მაგრამ მრნამსი დაუნუნა, — გული ძალიან დამწყდა, რომ თავის დროზე ულირსი პოზიცია დაიჭირაო პოლიტიკურ ასპარეზზე.

ეტყობა, ბატონ პროფესორს ღირსებაზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს...

საპარლამენტო არჩევნების წინ კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების კონფერენცია გაიმართა. საზოგადოების თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ვახტანგ ბოჭორიშვილმა კონფერენციაზე განსხვავებული პოზიციის პარტიებიც მოიწვია. შეერება გრიბოედოვის თეატრის დარბაზში გაიმართა.

პრეზიდიუმში პარტიების ლიდერებთან ერთად ბატონი მუხრან მაჭავარიანიც ბრძანდებოდა.

იმ დღეს, ბატონ მუხრანს კრინტიც არ დაუძრავს, მაგრამ ხალხით გადაჭედილმა დარბაზმა სწორედ მრნამსისთვის, პოზიციისთვის, ეროვნული სულისთვის ისეთი ოვაცია გაუმართა საყვარელ პოეტსა და ღირსეულ მამუ-

ლიშვილს, ჭერი ლამის ჩამოიქცა...

— დუმილი რეკავს! — უმაღ გამახსენდა პოეტის სიტყვები...

... ხუთი წუთი გრძელდებოდა ოვაცია...

... იმ ხუთისთვის ლირდა სიცოცხლე...

— ოჯგურ ნუ ჩაიდენ ცოდვას, რადგან ერთის გამო ვერ გადარჩები დაუსკელი (სიბრძნე ზირაქისა, თავი 8).

პროფესორმა ლომოურმა არ იკარა, ეროვნული ხელისუფლების დამხობაში რომ დაიდო ლომის ნილი! (რო-

გორც თავად ბრძანებს, შეიარაღებული გადატრიალების იდეოლოგი ბრძანებულა!) ამდენი წლის შემდეგ, როცა ლამის პუტჩისტებიც მოეგნენ გონს და ინანიებენ, როცა თითქოს ეროვნული შერიგების პროცესი დაიწყო, იგი კვლავ **დემოკრატიული რევოლუციის** სამრეკლოდან რეკავს და რომის პაპზე უფრო კათოლიკობას იბრალებს...

...ისეთი არაფერ გამიკეთებია, წინაპრებისთვის ჩრდილი მიმეურნებინოს, ან შეიღებისთვის ვიყო სამარცხვინო, — თავს იმშვიდებს პროფესორი ლომოური.

სულო ცოდვილო! იმაზე მეტიც ცოდვა რა უნდა ჩაედინა, როცა პროფესორმა კაცმა კალაბი გვერდზე მოსროლა, ხელში ავტომატი აიღო და თავისი ერის უდიდეს ნაწილს, ეროვნულ ხელისუფლებას, ქვეყნის პირველ პრეზიდენტს ტყვია დაუშინა!!! და ამით დღემდე ამყობს!

ეტყობა, პროფესორ ლომოურს დაავიწყდა, როგორ დაიკვანწებოდა მხარზე ავტომატგადაკიდებული, ახალგაზრდა მხედრიონელებით გარშემორტყმული, როცა საქართველოს რესპუბლიკის რედაქტორი შემოიჭრა, გაზეთის რედაქტორის, ქალბატონი აბაიშვილის დასაპატიმრებლად...

აკი დაუფასდა გარჯა, — წყალობის ხალათი ებოძა, — საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სავარძელში ჩაესვენა! ხოლო როდესაც მისი დირექტორობის უამს, მუზეუმის დარბაზებიდან თუ საცავიდან ხელოვნების რამდენიმე ძვირფასი ნიმუში უკალოდ გაქრა, ხელები გაასავავა, რა ჩემი ბრალია, დაცვა არ მივარგაო...

— პაპის ნაცამბა ტყემალმა შვილიშვილს კბილები მოკვეთაო, — გვასწავლის ხალხური სიბრძნე.


არა მგონია, მის შვილებს ეამაყებოდეთ პროფესორი მამის ნამოქმედარი ბოლო ათწლეულში. მე კი მგონია, რუსთაველზე წელგამართულად გასვლის შანსი მოუსპო მათ.

ურჯულო მამას შვილები გაკიცხავენ, რადგან მის გამო ჩაცვივდნენ სირცხვილში (სიბრძნე ზირაქისა; თავი 21, 7).

როგორც ენებოს! დაე, ეგონოს დემოკრატიული რევოლუციის რაინდს, რომ მხოლოდ ისაა მართალი, სხვა კველა მტყუანია...

ლმერთი განსჯის მართალს და მტყუანს, როცა კველა ფერს და ყოველ საქმეს დაუდგება იქ თავისი უამი (ეკლესიასტე; თავი 3, 7).

ჯუმბერ ჯიშკარიანი
აშშ, ჯორჯიას შტატი, ახალი ერა



მუხრან მაჭავარიანი

თბილისის ფუნიკულიორი

შვეიცარიელი ინჟინრის ბლოშის სახელი დაკავშირებულია თბილისის ფუნიკულიორის მშენებლობასთან.

1905 წელი. გაზეთმა „ივერიამ“ (N1) თავის მკითხველს აცნობა: ტბილისის ფუნიკულიორი თოთქმის მზად არის, გამართულია სადგურები, დაგებულია რელსები და სამოძრაოდ დაყენებულია მეტად კონტია ვაგონები. ვაგონების მოძრაობა დაიწყება კვირას, 2 იანვარს. ვაგონებს ავტომატური მანქანები აქვს, რომლის მეშვეობითაც ყოველ წუთს შეიძლება ვაგონის გაჩერება, თუნდ თოკი, რომელიც ვაგონს იჭერს, განყდეს კიდეც. ასე რომ, მოძრაობის დროს არავითარი საშიშროება არ არის მოსალოდნელი.

11 იანვარი. ფუნიკულიორი. მამა დავითის მთაზე ფუნიკულიორის მოწყობის საქმე უკვე მთავრდება. ამ იანვრის შუა რიცხვებში დანიშნულია ვაგონების გამოცდა. ვაგონების გამოცდის შემდეგ მოწყობას დაათვალიერებს ტფილისის გუბერნატორისგან დანიშნული განსაკუთრებული კომისია, ინუინერთა, ელექტროტექნიკა და ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის ნარმომადგენლებისგან შემდგარი. ფუნიკულიორის მოქმედების დაწყება განზრაბულია მარტის მეორე ნახევარში.




20 თებერვალი. გუშინ, 19 თებერვალს, ფუნიკულიორის საზოგადოებამ სთხოვა ტფილისის გამგეობას შეამოწმონ აშენებული ლიანდაგი ტექნიკურად.


25 თებერვალი. როგორც კომისია მოწმობს, ვაგონს ასვლაჩამოსვლაში ექვს-ექვსი წუთი სჭირდება. გზაში ვაგონების შესაჩერებელი მანქანაც – ტორმოზები კომისიამ მოიწონა. დაქანებული მანქანა საუენ-ნახევარზე შეუჩერებით უცბათ. ვაგონში მოთავსდება 50 კაცი. ფასი ასვლა-ჩამოსვლის 20 კპ. დაუნერებიათ.

1 მარტი. მამა-დავითის მთაზე ამყვანმა საზოგადოებამ აცნობა ქალაქის გამგეობას, ფუნიკულიორი მზად არის დადლეს, 1 მარტს, დაიწყებს ნესიერ მიმოსვლას.

ასე ვერ მოხდა. გაზეთ „კავკაზის“ მიხედვით (18 მარტი) ვაგონების მოძრაობა წმინდა დავითის მთაზე დაიწყებოდა კვირას, 20 მარტს, მაგრამ 19 მარტს, ამავე გაზეთში გახსნის დღედ უკვე 27 მარტი გამოცხადდა.

27 მარტი. ელექტრული ფუნიკულიორის გახსნა წმ. დავითის მთაზე შედგა დღეს, 27 მარტს, დილის 10 საათზე ზედა და ქვედა სადგურებში ნირვა და ვაგონების მოძრაობა. ფუნიკულიორი პუბლიკისთვის გაიხსნება 2 საათი-





დან, მანამდე კი ვაგონები განკუთვნილი იქნება მოწვეული პირებისათვის.

და, მართლაც, თბილისის ფუნიკულიორის საზეიმო გახსნა 1905 წლის 27 მარტს შედგა. გაზეთ „კავკაზი“ წერდა: ორივე სადგურები დრომებით იყო მორთული. დილის 10 საათისთვის ფუნიკულიორის ქვედა დარბაზში თავი მოყვარეს დაპატიუებულმა პირებმა. მოვიდნენ ქალაქის თავი, გამგეობის ნევრი, სხვადასხვა დანესებულების ნარმომადგენლები და უურნალისტები. კურთხევის დაწყების წინ, საზეიმო ცერემონიალზე სიტყვა ნარმოთქვა მამა დავითის ეკლესიის მღვდელმა ო. მაჭარაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა ფუნიკულიორის თაოსნებს და მშენებლებს. კურთხევის შემდეგ სტუმრები ვაგონში შევიდნენ.

ვაგონის წინა ბაქანზე მოთავსდნენ ო. მაჭარაშვილი, ქალაქის თავი, ფუნიკულიორის მშენებელი ბლოში, ბელგიის ვიცე-კონსული ბატონი აივაზოვი და სხვები, როცა ვაგონის წინა გაჭიმული ლენტი გაიჭრა, ქალაქის თავმა თქვა: ქალაქ ტფილისის მცხოვრებლების სახელით მივესალმები ამ ბრწყინვალე ნარმოებას და ტფილისის ფუნიკულიორს გახსნილად ვაცხადებ.

გაისმა სასიგნალო ზარები და ვაგონები დაიძრა.

ამავე დროს ზედა სადგურიდან მეორე ვაგონმა დაიწყო დაშვება.

ნელა მიწევდა ვაგონი ზევით. სტუმრების წინ იშლებოდა თბილისის და მისი გარეუნების ლამაზი ხედი, კავკასიის მთების პანორამა და ბოლოს გამოჩნდა შორეული ყაზბეგის მოთეთრო ხილვა.

6 წუთის შემდეგ ვაგონი ზედა სადგურთან გაჩერდა.

ერთსულოვანი „ვაშა“, მუსიკამ დაუკრა შემხვედრი მარში. გაისმა სიმღერა და მღვდელმა წმინდა წყლით შემოუარა სადგურს და სამანქანო განყოფილებას. სადგურის დათვალიერების შემდეგ სტუმრები ავიდნენ ზემოთ, მეორე სართულზე, სადაც ვრცელ დარბაზში შესთავაზეს საუზმე და შამპანური, საუზმეზე ნარმოთქვეს სადღეგრძელები.

იმ საზეიმო დღეს თბილისის ფუნიკულიორი მთელი დატვირთვით მუშაობდა...

პეტერბურგში გამომავალი უურნალი „ნივა“ (1905, N38) თბილისის ფუნიკულიორზე წერდა: ეს შესანიშნავი ნაგებობა მოწყობილია ცნობილი უცხოური ფუნიკუ-

ლიორების მსგავსად. დაახლოებით ასეთი რამ არსებობს ქვედა ნოვგოროდში, მაგრამ ვერც კი შეეძრება წმინდა დავითის მთაზე აგებულ გზას. ამჟამად, თბილისის ფუნიკულიორი დიდი წარმატებით სარგებლობს თბილისის მცხოვრებთა შორის და წარმოადგენს ქალაქის ერთ-ერთ ღირშესანიშნაობას, რომლითაც ასე მდიდარია საქართველოს დედაქალაქი.

დიახ, 1905 წელს, თბილისმა საუკეთესო ნაგებობა მიიღო და ფუნიკულიორი სავიზიტო ბარათი გახდა...

თბილისის ფუნიკულიორის გახსნას დიდი ფერწერული ტილო მიუძღვნა წიკო ფიროსმანმა.

1905 წლის გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე“ (N69) წერდა: ფუნიკულიორი მორაობაში მოჰყავს 60-70 ძალის გაზგენერატორს და 96 ძალის ელექტროძრავას. ყველა მანქანები დამზადებულია შვეიცარიის ქარხნებში.


და კიდევ მნიშვნელოვანი სტრიქონები – ფუნიკულიორის გზის პროექტი, რომელიც 1899 წელს შეიქმნა, 1900 წელს დაამტკიცა ქალაქის დუმამ... ფუნიკულიორი აშენდა ინჟინერ ბლოშოს მიერ.

ასე რომ, 1899 წელს ბლოშომ არა მარტო შეადგინა ფუნიკულიორის გზის მშენებლობის პროექტი, არამედ შემდეგ თავად ხელმძღვანელობდა მის მშენებლობას.

ცხადია, ინჟინერი თავის პროექტში გაითვალისწინებდა შვეიცარული მოწყობილობების გამოყენებას. ფუნიკულიორის გახსნის დროს, ერთი ვაგონიც შვეიცარული ნარმოების იყო.

ნიკო ნიკოლაძე და თბილისის ფუნიკულიორი

დიახ, თბილისის ფუნიკულიორი, რომელიც 1905 წლის 27 მარტს საზეიმოდ გაიხსნა, გარკვეულწილად წიკო ნიკოლაძის სახელთანაა დაკავშირებული. როდესაც დიდმა წიკომ შეიტყო ფუნიკულიორის მშენებლობის შესახებ, ძალიან დაინტერესდა და დაუკავშირდა ფუნიკულიორის



ნიკო ნიკოლაძე



ძველი ფუნიკულიორი



პროექტის ავტორს, შვეიცარიელ ინჟინერ ბლოშოს.

ნიკო ნიკოლაძემ გადაწყვიტა, თავისი წვლილი შეეტანა ფუნიკულიორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის ესტაკადისთვის საჭირო რეინა-ბეტონის სამუშაოების შესრულებაში. ამ საქმეში მას კარგი გამოცდილება ჰქონდა, თუნდაც 1884-1886 წლებში სურამის გვირაბის გაყვანის დროს, იქ რეინა-ბეტონის დიდი სამუშაოები შესრულდა.

როგორც ჩანს, ნიკო ნიკოლაძის შეთავაზება მიიღო შვეიცარიელმა ინჟინერმა.


2003 წლის გამოცემულ „თბილისის ენციკლოპედიაში“ ვკითხულობთ: ფუნიკულიორის მშენებლობაში დიდი

წვლილი შეიტანა ნიკო ნიკოლაძემ, რომლის ინიციატივით სწრაფად შესრულდა რეინა-ბეტონის სამუშაოები ესტაკადისათვის". ცხადია, ნიკო ნიკოლაძე არაერთხელ შეხვედრია ინჟინერ ბლოშოს.

ნიკო ნიკოლაძე ყველას აოცებდა თავისი გაპედული გეგმებით და პროექტებით. საინჟინრო-ეკონომიკური სიღრმითა და სიძლიერით, არ ჩამოუვარდებოდა თავისი დროის მეცნიერებს.

ნიკო ნიკოლაძე გახლდათ ტექნიკური პროგრესის მამამთავარი საქართველოში.

ანდრე კარბელაშვილი



ძველი ფუნიკულიორი



ზღაპარი სინამდვილედ იქცა...

პარკ დისნეილენდს ბიზნეს მაგნატის, კინორეჟისორის, ფილანტროპის, ამერიკის ანიმაციურ ინდუსტრიაში მნიშვნელოვანი ფიგურის, უოლტ დასნეის სახელი დაერქვა. 1955 წლის 17 ივნისს გაიხსნა მსოფლიოში პირველი ზღაპრის ქალაქი. დისნეილენდის პროექტისთვის 17 მილონი დოლარი იყო საჭირო. უოლტის ძმა და ერთგული კომპანიონი პროექტის განხორციელებას სიგიურ მიიჩნევდნენ, ურჩევდნენ, – გონიერ მოდი, უოლტ! ვის სჭირდება ეს ატრაქციონები, ჩვენ ხომ სრულიად გავკოტრდებით?! თუმცა არაორდინალური ადამიანის დარწმუნება შეუძლებელი იყო...

დისნეილენდის და პირტავენტურას გასართობი პარკები ატრაქციონებზეა გათვლილი. მთაწმინდის პარკის უპირატესობაა თბილისის ხედები, ანდა, გამწვანება, ეკოლოგიურად სუფთა გარემო – კულტურისა და დასვენების პარკში თოქმის ყველა კომპონენტია...

თბილისის ფუნიკულიორი, ქალაქის სავიზიტო ბარათი, ტოპ ორეულშია.

მოქანდაკე ირაკლი უვანისა თქმით, ცხოვრება მართლა ერთი წუთია, აქ ვიდექით და ქვეყანა თავისი ეგონა. ათი წლის წინ, ვერ წარმოვიდგენდი, ბადრის ქანდაკების მომზადებას!..

2004 წელს ფუნიკულიორის რეაბილიტაცია ბადრი პატარაკაციშვილმა წამოიწყო. აღდგენით სამუშაოები 2012 წელს დასრულდა. მთაწმინდის პარკის მშენებლობაში 25 მილიონი ლილარის ინვესტიცია განხორციელდა.

**ზღაპარი სინამდვილედ იქცა...
გმადლობთ, ბატონო ბადრი!**



უოლტ დისნეი

შესასვლელში ბატონი ბადრის მომღიმარი სურათი შევნიშნე. მეცნატს ბევრი ჩანაფიქრი ჰქონდა... მაგრამ...

მთაწმინდის პარკის გენერალურ დირექტორს, გელა დილმელაშვილს თავის სამუშაო კაბინეტში შევხვდი.

– როგორ დაიწყო მთაწმინდის პარკის ისტორია?

– პარკი თბილისის დასავლეთიდან მთაწმინდის ქედზე, ზღვის დონიდან 270 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს და დედაქალაქის ყველაზე მაღალი ნერტილია. XIX საუკუნემდე არ არსებობდა ურბანული განაშენიანება, XVIII-XIXს.ს. დასაწყისში მთაწმინდის ფერდობზე გაშენებული იყო სამეფო და დიდებული ბაღები. XIX ს-ის დასაწყისიდან მთაწმინდის რაიონი და მისი მიმდებარე

ტერიტორია თავადი გაბაშვილების სამფლობელო იყო. თბილისის თვითმმართველობას სურდა, ზედა პლატოზე განვითარებულიყო სატრანსპორტო საშუალება. ტრამვაის სოფელ კოჯირამდე უნდა ევლო. თუმცა ჩანაფიქრი იდეის დონეზე დარჩა.

– რატომ გადაწყდა ზედა პლატოს განვითარება?

– საუკეთესო კლიმატი, ზაფხულში, როცა თბილისში ცხელა, აქ სიგრილეა. როცა ქვემოთ თოვლჭყაპია, ჩვენთან თოვლი დევს. დღეს ქალაქის პარკი დაბინძურებულია, ავტომანქანების გამონაბოლექს ვსუნთქავთ, არ გვაქვს სათანადო გამწვანება და უსახური სახლების მშენებლობის ბუმია, ზედა პლატოზე უანგბადით გაჯერებული გარემოა. საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში უნდა ყოფილიყო კულტურისა და დასვენების პარკი, სწორედ იმ დროს, საქართველოში ჩამოვიდა პოლონელი ადვოკატი ივანე პოლტორაცი. მან ცოლად შეირთო ნადეუდა გაბაშვილი, პოლტორაცის პირველი ქორწინებიდან ჰყავდა ვაჟი ილია პოლტორაცი, რომელიც პარიზში ცხოვრობდა. სწორედ მან აღმოაჩინა ბელგიური ფირმა, საქართველოში სოლიდური თანხა გამოაზავნა, რომ მთაწმინდაზე ფუნიკულიორი გაემართათ. საქართველოში ჩამოვიდა ბელგიური ანონიმური საზოგადოების წევრი, ინჟინერი ალფონს რობე, რომელმაც მთაწმინდის მიწების ნაწილი შეიძინა და 1896 წელს ფუნიკულიორის გაყვანის იდეა წამოქრა. 1900 წელს ქალაქის თვითმმართველობამ ხელშეკრულების სტუმრის გადაადგილებაზე ზრუნავს.

ვაგონის წინა ბაქანზე ცოლ-ქმარი და პატარა გოგონა მოთავსდნენ.

– რა გქვია? – ვკითხე ექვსი წლის გოგონას.

– იანა.

– იანა, ახლა ატრაქციონები გამორთულია. ზაფხულში ყველა ამუშავდება.

– დედა, მინდა ატრაქციონებზე დავჯდე, ზაფხულში ჩამომიყვან? – კი, შვილო, ახლა ეშმაკის ბორბალთან მივიდეთ, თბილისის ხედებს შევავლოთ თვალი და პარკი დავათვალიეროთ, – უპასუხა დედამ.

ვაგონი ზედა სადგურზე გაჩერდა. ტურისტები პარკის კიბეებს აუყვნენ. მე კი ადმინისტრაციული შენობისკენ გავემურე.



ბა დადო ბელგიურ ანონიმურ საზოგადოებასთან. სწორედ ეს საზოგადოება ორმოცდახუთი წელი გაუწევდა ფუნიკულიორს ექსპლუატაციას, შემდეგ უსასყიდლოდ გადასცემდა ქალაქს. პროექტის ავტორი იყო შევეიცარიელი ინჟინერი ბლოში. მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ ბელგიელი და იტალიელი ინჟინერები: ი. რაგოლერი და ა. ფონტანა-როსი. ეს იყო პირველი საბაგირო-სალიანდაგო გზა რუსეთის იმპერიაში. ფუნიკულიორის ზედა და ქვედა სადგურების შენობები აშენდა თბილისელი არქიტექტორის ა. შიმეევიჩის პროექტით, ზედა ორსართულიან სადგურს რუსული კლასიციზმის სტილი ჰქონდა. ზედა და ქვედა სადგურს შორის მდებარეობს შუა სადგური, აქედან შესაძლებელია მთაწმინდის პანთეონში მოხვედრა.

— როდის დაიწყო ფერდობების გამნვანება?

— 1920 წელს დაიწყო მთაწმინდის პარკის მოშენებული ფერდობების ახალი ნარგავებით გამნვანება. აქ ბუჩქებიც არ იყო... აი, ეს კედარები (მთაწმინდის პარკის ლანდშაფტის სიმბოლო), ციმბირიდან ჩამოიტანეს. მკითხველებს როგორც არ უნდა გაუკვირდეთ, პარკის კეთილმოწყობის სამუშაოებში აქტიურად იყო ჩართული ლავრენტი ბერია.



— რა ფართობი უკავია მთაწმინდის პარკი?

— დაახლოებით ოც ჰექტარზეა გაშლილი. უნიკალურია თავისი ხედებით, ლანდშაფტით, იშვიათი ნარგავებით, ხეებით, ბუჩქებით, სიმწვანითა და სუფთა პარკით, პარკის ძირითადი ტერიტორია უკავია მრავალნალვან წინვოვან და ფოთლოვან ხეებს. ზოგიერთი, კერძოდ: ფიჯვი, კედარი, კვიპაროსი და ტუია პარკის ასაკისაა. აქ მრავლადაა ფოთლოვანი მცენარეები: მუხა, ჭადარი, იფანი, ცაცხვი, იუდას ხე, საპნის ხე, ცხენის წაბლი, აკაცია, ველური ბრონეული და სხვა.

1930 წელს დაპროექტდა საზოგადოებრივი და გასართობი ნაგებობები. პარკი გაიხსნა 1938 წლის 24 ივლისს და სიმბოლურად იოსებ სტალინის სახელი ეწოდა. მთავარ მოედანზე დაიდგა მისი ძეგლი. იმავე წელს ქართველი არქიტექტორების ზაქარია და ნადეჟდა ქურდინების პროექტის მიხედვით, აშენდა რესტორან ფუნიკულიორის შენობა (თანაავტორი ა. ვალაბუევი). მას შემდეგ, ქალაქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს...

— სატელევიზიო ანძა პარკს დამატებით ფუნქციას სძენს...

— დიახ. 1972 წელს აშენდა ახალი სატელევიზიო ანძა — სიმაღლე 276, 5d. 1959 წელს ამუშავდა საბაგირო გზა რუსთაველის გამზირი — მთაწმინდის პლატფორმა. სიგრძე — 906მ. სიჩქარე 18,1 კმ/სთ. გამტარუნარიანობა 500 მგზა-



ვრი საათში. 1970 წლის დასაწყისში აშენდა ახალი ქვედა სადგური (არქიტექტორი გ. ბათიაშვილი, ტ. ქუთათელაძე). მოეწყო ფერად ვიტრაჟებიანი ფართო ღიობი (ავტორი ვ. ქოქიაშვილი 1980 წ.). 90-იან წლებში მიტოვებული მთაწმინდის პარკი, რესტორნის შენობა ფუნიკულიორით და საბაგირო გზით უპატრონოდ იყო და განადგურდა.

მეცენატ ბადრი პატარკაციშვილის მონძომებით, პარკმა თანამედროვე იერსახე შეიძინა. ეს მისი სოციალური პროექტი იყო, ტერიტორია 49 წლით იჯარითაა გაცემული. მასშტაბური განახლების შედეგად, პარკს კულტურისა და დასვენების ფუნქცია დაუბრუნდა, რაც ათწლეულების წინ ჰქონდა. ბატონ ბადრის სურდა, ტერიტორია სამჯერ გაეზარდა. მისი გარდაცვალების შემდეგ, ოჯახს პარკი ჩამოართვეს, თუმცა დაიბრუნეს და ისევ დიდი ინვესტიცია ჩადეს. ასე რომ, მთაწმინდის პარკი თბილისის და საქართველოს სიმბოლოა. რაც მთავარია, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

საუბარში მთაწმინდის პარკის მარკეტინგისა და გაყიდვების მენეჯერი, ია თარხან-მოურავი ჩაერთო.

— რატომ არის პარკი ტურისტებისთვის მიმზიდველი?

— უნიკალური ხედები, თბილისის ანძა, ატრაქციონები, გიგანტური ბორბალი, გასართობი ობიექტები, რესტორანი ანდერვილი, რესტავრაციის შემდეგ, ფუნიკულიორი ვიზუალურად შეიცვალა, აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით... მგზავრები სამ წუთში ავლენ პარკში, მსგავსი სატრანსპორტო საშუალება არ მოიძებნება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. იმართება მასშტაბური ღონისძიებები, გვაქვს დაბადების დღის ცენტრი, კაფეები, რესტორნები, ქორწინების სახლი, სარელაქსაციო ზონები და სადღესასწაულო ცენტრი. პლანეტარიუმი, ვიდეოთამაშები, ტირები. სხვადასხვა სახის გამოფენები, იმართება ფესტივალები, საახალწლო ღონისძიებები, თბილისობის დღესასწაული. ვთანამშრომლობთ საჯარო სკოლებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, თეატრებთან. ვთავაზობთ, პარკში ჰქონდეთ დამატებითი ფილიალები. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე საბავშვო ცენტრი ასტრეკის ბალისთვის დაიწყო თეატრის მშენებლობა.

— გაქვთ თუ არა კვლევა, რამდენი ტურისტი მოდის მთელი წლის მანძილზე?

— შაბათ-კვირას და დასვენების დღეებში 15 000, ხოლო ჩერულებრივ დღის 10 000. რაც მთავარია, სტატისტიკა მზარდია და ყოველ წელს ვიზიტორთა რაოდენობა მატულობს...



პარკი დაყოფილია ექსტრემალურ, საბავშვო და საოჯახო ზონებად. ატრაქციონებს შორის სიდიდით და მასშტაბურობით გამოირჩევა გიგანტური ბორბალი, რომლის დიამეტრი 62 მეტრს შეადგენს. ატრაქციონიდან თბილისის ერთ-ერთი საუკეთესო ხედი იშლება.

მთაწმინდის პარკში თანამედროვე არქიტექტურა ძევლთანაა შერწყმული. მთავარი შემოსასვლელის გიგანტური კონსტრუქცია, ანიმაციური ფილმების გმირები, ატრაქციონების ულამაზესი ვიზუალი, სტუმრებს ზღაპრულ და ჰარმონიულ გარემოს უქმნის.

პარკში შენარჩუნებულია თავდაპირველი გეგმა, კერძოდ: ცენტრალური ალია და შუაში მოქცეული მთავარი მოედანი, რომელიც ღონისძიებების მთავარი ლოკაციაა. აქვე მდებარეობს ამფითეატრი, რომელიც რვაასამდე ადამიანს იტევს. ალიას ერთი მხრიდან, უერთდება ბერძნულ-რომაულ სტილით მორთული სიყვარულის ქუჩა და მეორე მხრიდან, ქართულ ტრადიციულ არქიტექტურულ სტილში გადაწყვეტილი, აიგნებიან-როკულებიანი ქართული ქუჩა.

მთაწმინდის პარკი IAAPA (გასართობი პარკების და ატრაქციონების საერთაშორისო ასოციაციის) წევრია. ორგანიზაცია ყოველ წელს ახდენს ატრაქციონების ტექნიკური უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამის სერტიფირებას.

ბატონი გელა, პარკის ადმინისტრაცია ვიზიტორების მიმართ ყოველთვის იჩენს ყურადღებას. ეს თქვენი დამსახურებაა, რა პროფესიის ხართ?

პირველ ცხოვრებაში ექიმი ვიყავი. დავამთავრეთ თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი, დერმატო-ვენეროლოგის განხრით, წარმატებული ექიმი გახლდით. 2011 წლიდან მთაწმინდის პარკში ესაქმიანდ, 2014 წელს დავინიშნე გენერალურ დირექტორად. საავადმყოფოში პაციენტებთან მქონდა ურთიერთობა, აქ კი ჯანმრთელ ადამიანებს ვუყურებ და ვაბედნიერებ, ხელფასასაც ვიღებ – იცინის. ბატონი ბადრი საოცარი პატრიოტი იყო. ქალაქელ კაცს განსაკუთრებით უყვარდა მთაწმინდის პარკი. სურდა, მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული ყოფილიყ



გელა დილმელაშვილი

– ქართველები ამბიციურები ვართ, ამიტომ საუკეთესო უნდა იყოს... როდესაც უცხოელ ინვესტორებს არწმუნებ, – საქართველო მიმზიდველი ქვეყანაა. გეკითხებიან, – შენ რა პროექტებს ახორციელებ? ამიტომ, შენ უნდა უჩვენო მაგალითი – ასე ფიქრობდა და მოღვაწეობდა...

რა გეგმები გაქვთ?

– ადამიანს ყოველთვის აქვს განვითარების შესაძლებლობა. გვაქეს ტაქტიკური (ორი წლის ინტერვალში), ასევე სტრატეგიული გეგმები, თუ რა იქნება 10-15 წლის შემდეგ. ჩვენი მიზანია, სერვისები უფრო ინტენსიური იყოს, ხუთი წელიწადში, დამატებით ხუთი ჰექტარით გავაფართოოთ. პარკის ადმინისტრაციის გავლენა პერიფერიულ ზონებში განაწილდება. ბოლო ათი წლის განმავლობაში ბალანსი დარღვეულია. ვხედავთ ქალაქში მომრავლებულ რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს. გაჩნდა ეკოლოგიური პრობლემები, იერსახე შეიცვალა, რაც დიდ დისკომფორტს გვიმნის. გვაქვს თბილისის ზედა პლატო, სადაც სუფთა ჰაერია. გვსურს წარმოვაჩინოთ ქართული სოფლები – ოქროყანა. წავეისი, კოჯორი. მოენყოს ეკოსახლები, იქირაონ და დაისვენონ ქალაქის მცხოვრებლებმა. ზაფხულის სეზონზე ხელმისაწვდომი ფასები შევთავაზოთ, შემდეგ, მთელი წელი უცხოელ ტურისტებს მოვემსახუროთ. ჯერ იდეის დონეზეა, ბიუროკრატიული პროცესებია გასავლელი...

რამდენი თანამშრომელი გყავთ?

– სამასი. ზაფხულის სეზონზე დამატებითი პერსონალია. პარკის მოვლა სოლიდურ თანხას საჭიროებს. ელექტროენერგიას და წყალს კომერციულ ფასად ვყიდულობთ. ქალაქ თბილისის მერიასთან და GWP-თან მიმდინარეობს მოლაპარაკება, 1000 კუბიდან 300 უფასო იყოს, ან თითოეულ კუბში ნაკლები გადავისდოთ.

– ევროპული ტიპის პარკს სალიანდაგო გზის გარდა, აქვს საპარკო მარშრუტი, რომელიც გაჩერებულია.

– დიახ, ქალაქის თბილისის მერიამ ეს საკითხი დღემდე ვერ მოაგვარა. პროექტი ოთხი წლის წინ უნდა ჩაება-





რებინათ, საბაგიროს კონსტრუქცია ავსტრიაშია და ვერ ჩამოგვაქს.

– რუსთაველის 52-ში არსებული საპარკო საბაგირს შენობა და მიმდებარე ტერიტორია სავალალო მდგომარეობაშია.

– ქ. თბილისის ვიცე-მერის, ირაკლი ხმალაძის არა ერთი დაპირების მიუხედავად, ვერ მოხერხდა, ე. გაბაშვილის 6-ში მცხოვრებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება. ტერიტორია მერიამ უნდა შეისყიდოს, რომ ქვედა სადგური ამოქმედდეს. ბოლოს გვითხრეს, – 2018 წლის დეკემბრის თვეში ჩაგაბარებთ, თუმცა ისევ დაპირებად დარჩა... მთანმინდის პარკი დოტაციაზეა, პატარაციმულების ოჯახი აფინანსებს. მეტრო რუსთაველის ტერიტორია ქალაქის საკვანძო ადგილია. ტრანსპორტი ყველა მიკრორაიონიდან მიდას. დამთვალიერებელი სამ წუთში კომფორტულად ამოვა. პარკი და ქალაქის ბიუჯეტი დიდ შემოსავალს კარგავს.

– რატომ არ აკამაყოფილებენ მათ მოთხოვნებს?

– ამბობენ, რომ ბინათმფლობელები მეტ თანხას ითხოვენ, ვიდრე რეალურად ღირს. ეს ჩვენ არ გვეხება, ქალაქ თბილისის მერიამ უნდა მოაწესრიგოს. რედისონის მიმდებარე ტერიტორიას განიხილავდნენ, შემდეგ ისევ ძველი მარშრუტი გადაწყდა. საქალაქო სასამართლოს მივმართეთ სარჩელით, ქ. თბილისის მერიის მიმართ რამდენიმე მილიონის ზარალის პრეტენზია განვაცხადეთ, მოსამართლემ ჩვენი მოთხოვნა დააკმაყოფილა. მიუხედავად ამისა, ოპტიმისტურად ვართ განწყობილი, რომ საპარკო საბაგირო მალე ამოქმედდება, ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

ე. გაბაშვილის 6-ში ათამდე ბინათმფლობელია. ქალაქ მერიის რჩევით, მიმართეს ლევან სამხარაულის სახლობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. ექსპერტის დასკვნაში მითითებული თანხა საბაზრო ლირებულებაზე ნაკლებია. თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მათ ქონებას ექპორტურების საფრთხე ემუქრება. თუ მობინადრეების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, დავა სასამართლოში გაგრძელდება. ქალაქ თბილისის 2019 წლის ბიუჯეტი ერთ მილიარდ ლარს შეადგენს, ამიტომ მესაკუთრების სურვილი უნდა გაითვალისწინოს!..

Welcome tu Planetarium, it is very good – მომსახურე პერსონალი, ცისანა მელიქიძე ტურისტებს პლანეტარიუმში ეპატიუება...

– შიდა ინტერიერი გლობუსის ფორმისაა, სავარძელში

კომფორტულად მოთავსდებით, ზედა სივრცეს ცის თაღის ფორმა აქვს, შვიდ წუთში გიამბობთ, კოსმიურ პლანეტებზე და პლანეტა დედამიწაზე. მოკლემეტრაჟანი ფილმები მეცნიერულ დონეზეა მომზადებული და მოზარდების გონიეროვანი განვითარებას უწყობს ხელს. პლანეტარიუმის გვერდით დინოზაგრების მაკეტებია განთავსებული.

უცხოელ ტურისტებთან ერთად ცის თაღს ავხედე...

– ბაბუ, პლანეტებზე გვიამბე.

– მარია, მთვარე დედამიწის გარშემო ერთი თვე დადის, მთვარეს მოძრაობის დროს დიდი ჩრდილი დაყვება. ხშირად ეს ჩრდილი დედამიწაზე მოხვდება, იქედან დაინახავენ, როგორ ფარავს მთვარე მზეს... ჩვენ კი მთვარიდან ჩვენსავე ჩრდილს დავინახავთ, რომელიც დედამიწას ატლანტიკის იკეანიდან აზიამდე დაფარავს. როგორ მუშაობს ახალი ტელესკოპი, ადვილად პლულობ პლანეტებს?..

– კი, უკვე მივმართე, რომ მზის დაპირებას ვუყურო...

– მარია, ტელესკოპი ატლანტის იკეანეზე შეაჩერე, ჩვენი ჩრდილი უკვე მოსჩანს... აი, ეს შავი ლაქა მთვარის ჩრდილია, ამ ჩრდილქვეშ ვხედავთ, როგორ გადის მთვარე მზის პირდაპირ.

– ბაბუ, ეს ჩვენი ჩრდილია, შეხედე, ჩრდილმა ხმელეთს მიალწია.

– მართალი ხარ, ახლა ჩვენი ჩრდილი ძველ და საინტერესო ქვეყანას საფრანგეთს მოეფინა, გამყინვარების დროს აქ ხალხი ცხოვრობდა.

– ახლა ჩვენი ჩრდილი იტალიას უახლოვდება. თითქოს იტალიის კუნძული სიცილიას ფეხბურთის ბურთივით ურტყამს ფეხს.





– ბავშვებო, სიცილილიდან ამომავალ კვამლს დააკვირდით... თქვენი აზრით, რა არის ეს?

– მთვარეზე ასეთი ორთქელი არასდროს მინახავს, ხანძარი ხომ არ არის?

– კარგი მოსაზრებაა, მაგრამ ეს ხანძარზე გაცილებით დიდია. ვულყანი ედნა ამოფრქვევას იწყებს. ამ უფსკრულს იქით კრატერიდან ამომავალ ლავას ხედავთ, მიწისქვეშ გადამდნარი ქვები, ლავის სახით მიედინებიან და ირგვლივ ჯებირებს იკეთებენ, რომელსაც ვულყანს ვუწოდებთ. ზოგიერთი ვულყანი ამოფრქვევამდე დიდხანს აგროვებს წნევას. ამ დროს, მთელი მთა ქრება და იქ უზარმაზარი ხერელი ჩნდება... მთვარეზე ვულყანის წარმოსაქმნელად სიცხე აღარ დარჩა. კრატერები მეტეორებთან შეტაკების შედეგად გაჩნდა. მეტეორები დედამინაზე ცვილიდა, დროთა განმავლობაში ვულყანმა ისინი დაფარა.

– რა მოხდება, თუ დედამინას დიდი მეტეორი შეეჯახება?

– წარმოიდგინეთ, დედამინაზე 65 მილიონი წლის წინ მოხვდით. მაშინ პლანეტა სულ სხვანაირი იყო, ტროპიკული, ადამიანების ნაცვლად, აյ დინოზავრები ცხოვრობდნენ. ამ დროს, მზის სისტემაში ერთი დიდი მეტეორი მოძრაობდა. ატმოსფეროს გარღვევის შემდეგ, მეტეორი ოკეანეში ჩავარდა და ფსკერს მიაღწია. წყლის ნაკადი ცისკენ აიჭრა, ამ შეტაკებამ მთელი პლანეტა შეცვალა. აფეთქების შედეგად ტალღებმა ჰაერი გააცოცხლა და ცხელი ქარები წარმოქმნა, რომლებმაც ირგვლივ ყველაფერი ფერფლად აქცია. შემდეგ მტვერმა და წყალმა მთელი პლანეტა მზისგან დიდი ხნით დაფარა, რასაც მცენარეების სიკედილი მოყვა. დინოზავრებიც მაღე დაიხოცნენ, დედამინაზე ცოცხლებს შორის წვრილ-წვრილი არსებები დარჩნენ. ისეთები, როგორიცაა ჩიტები და ძუძუმწოვრები.

– ალბათ, დინოზავრებს ძალიან შეეშინდათ... ახლა სად არის ჩვენი ჩრდილი?

– მზის დაბნელება ახლა თურქეთის დასავლეთით, მთაზე გადის, მდინარე ევფრატის გავლის შემდეგ, სპარსეთის ყურეში მოხვდება, ბოლოს ოკეანეში ჩაეშვება.



– ბატუ, ჩვენი ჩრდილი ისევ ოკეანეში დაბრუნდა, ყველგან საინტერესო ისტორია მოვისმინეთ. დედამინა არ გენატრება?

– რა თქმა უნდა, დედამინა ჩვენს ფანჯარაში ყოველთვის შემოანათებს...

– მთვარის სუსტი მიზიდულობის შემდეგ დედამინაზე ვერ დაბრუნდები?

– მარია, თითოეული ადამიანისათვის სახლი ის ადგილია, სადაც თავისი ოჯახი ელოდება. მთავარია, თქვენთან ერთად, კიდევ მრავალი წლის გატარება შევძლო...


ცის თაღი ჩაქრა. ტურისტები დინოზავრების მაკეტებს ათვალიერებდნენ, ისევ გაისმა ქალბატონი ცისანას ხმა – Welcom tu Planetarium...

ფუნიკულიორის ზედა სადგურისკენ გავემართე. გზადაგზა ვათვალიერებდი ფოთლოვან ხე-მცენარეებს...

გაზაფხულზე მრავალწლოვანი ნარგავები ისევ მწვანედ შეფერადდება, ატრაქციონები ამოქმედდება და ევროპული ტიპის პარკს ისევ ბევრი ტურისტი ეწვევა...

ლელა სურმავა





საუბარი საკუთარ თავთან...

— ვინ ხარ შენ? რას წარმოადგენ? რა გინდა, რისთვის მოსულხარ ამ ქვეყნად? რა აზრი აქვს შენს ცხოვრებას? ან, აქვს კი აზრი საერთოდ?

— აბა, როგორ გითხრათ... ვფიქრობ, ერთი უბრალო ადამიანი ვარ, დიდად არაფრით განსხვავებული სხვების-გან, ვცხოვრობ ჩვეულებრივად ჩემს ქალაქში, ჩემს თბილისში, სადაც დავიბადე და გავიზარდე. მყავს ოჯახი, შვილები, ახლობლები, მეგობრები. მაქვს ჩემი საყვარელი საქშე — მწერლობა და მგონია, მაქვს ამის ნიჭიც, ღმერთისგან ბოძებული, რისთვისაც უზომოდ მადლობელი ვარ. ვწერ ლექსებს, პიესებს, პირადად მე, სწორედ ამაში ვხედავ ჩემი ცხოვრების აზრს, მაგრამ ეს აზრი დღეს-დღეობით საკმაოდ ბუნდოვანია, რადგან ვერ ვმუშაობ, ვერაფერს ვერ ვაკეთებ...

— რატომ? რა გიშლის ხელს? რა არის მიზეზი?


— ვფიქრობ, მიზეზი მაინც ერთია, სულიერი სიმშვიდე დავკარგე.

— რის გამო?

— განა შეიძლება ამის კითხვა? იმის გამო, რაც ჩვენ განვიცადეთ და გადავიტანეთ უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე, რამაც მოიტანა სექტემბერ-ოქტომბრის მდელ-ვარება და ბოლოს დეკემბერ-იანვრის სისხლისძვრა... ეს წელწინადი იყო ნადგილი კოშმარი. კოშმარი, რომლასგანაც ჯერ ვერ გამოისულვარ, ჯერ კიდევ ბოლომდე არ მაქვს გაცნობიერებული რა მოხდა, ყოველივე ამის გაანალიზებას დრო სჭირდება, დრო და მშვიდ, სალი გონება. ერთი რამ კი ცხადია, ეს იყო ტრაგედია, რომლის მონამე და ერთგვარი მონანილე მეც ვიყავი.

— თავისთავად ეს წელიწადი იყო ტრაგედია?

— ვფიქრობ, არა. ეს იყო საუკუნოვანი ეროვნული ტრაგედიის ბოლო აქტი, უზომოდ მწარე და ამავე დროს, აბსოლუტურად ლოგიური, რადგან დრამატურგიას თავისი კანონზომიერება და მეცნიერება აქვს. ეს იყო ქართველი ერის დიდი ტრაგედია ბოლო აქტში სატანური ნიღბის ჩამოცლით. ალბათ, ამიტომაც არ დასრულდა ტრაგედია 9 აპრილს, რადგან ბოლომდე უნდა ჩამოსცლოდა ნიღბის სატანას, უნდა მომხდარიყო მხილება ბოროტებისა,




მამუკა სალუკაძე

ეშმაკისა, რომელმაც არა ვინმე კონკრეტულ ადამიანში დაისადგურა, არამედ, ჩვენდა სამწუხაროდ, ერის სულში სცადა შეღწევა და გაბატონება. ნანილობრივ მოახერხა კიდეც. მაგრამ, როგორც ჩანს, ბოლომდე განწირულნი არ ვყოფილვართ და მადლობა ღმერთს, რომ აღმოგვაჩენინა ეშმაკის მამხილებელი ძალა, თორემ ტრაგედია შეიძლება სულ სხვანაირად, სოდომ-გომორისეულად დასრულებულიყო.

— დასრულდა კი? განიდევნა ეშმაკი და განიწმინდა ერი?

— ვფიქრობ, თვით ტრაგედია დასრულდა და ისე დასრულდა, როგორც უნდა დასრულებულიყო — სისხლით, უბედურებით, საშინელებებით, თუმცა, ამავე დროს, ბოროტების მხილებით. ხოლო, რაც შეეხება ერის განწმენდას, ეს უკვე ტრაგედიის ნაწილი აღარ არის და არც შეიძლება იყოს, ეს უკვე ჩვეულებისეული დრამის თემაა,



ცხოვრებისეული დრამისა, რომელშიც ჩვენ, დღეის ამას იქით მოგვიწევს მონაწილეობა.

- **როგორ უნდა მოხდეს ეს განწმენდა, ან რა გზა არსებობს, გზა სიკეთისა?**

- გზა ერთადერთია, გზა ჭეშმარიტი ქრისტიანისა. პირველ რიგში უნდა აღდგეს რწმენა, რომელიც სამწუხაროდ, დაკარგული გვაქვს და სწორედ ულმერთობა იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ჩვენი უძედურებისა.

- **ვინ უნდა იკისროს მეგზურობა?**

- მე იმედი მაქვს, არიან ადამიანები, ვინც ამას შესძლებენ, მეტ-ნაკლებად მცოდნენი, განათლებულნი. ჩვენ გვყავს მეცნიერები, ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწენი, მათ უნდა იტვირთონ განმანათლებლობითი ფუნქციები. დღეს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განათლებას, ადამიანთა სულიერ აღზრდას. მჭიდრო კონტაქტები უნდა დამყარდეს ცივილიზებულ სამყაროსთან, რომლისგანაც ესოდენ შორს ვართ. ყოველ მიზეზგარეშე უნდა დავამყაროთ ურთიერთობები ადამიანებთან, რომ გაიღვიძოს ჩვენში ადამიანურმა გრძნობებმა, სიყვარულმა, სიკეთებმ, რომ აღვიდგინოთ სახე ადამიანისა, რომელიც, სამწუხაროდ, თითქმის დავკარგეთ. როგორდაც უნდა ამოვავსოთ უფსკრული, რომელიც ჩვენსა და მათ შორის არის. დიახ, სამწუხაროდ, არსებობს ეს უფსკრული და მოდით, თავს ნუ მოვიტყულებთ იმით, რომ ჩვენ ქართველები ვართ, რომ ჩვენ რუსთაველის, იმანე პეტრინის შთამომავლები ვართ, რომ ჩვენ ავაშენეთ ჯვარი, სვეტიცხოველი, ნიკორწმინდა, ლამარია; რომ ვმღეროდით მრავალუმიერს, ლილეოს, ზამთარიას, მირანგულას, ოდიოსას.



ეს ჩვენმა ღირსეულმა და სახელოვანმა წინაპრებმა შექმნეს, რომელთაგან ჩვენ ისევე განვხსვადებით, როგორც დღევანდელი ცივილიზებული ადამიანებისგან. როდესაც დღეს ვხვდები ვინმე ამერიკელს ან ინგლისელს, ან ფრანგს, ისეთი შეგრძნება მიჩნდება, თითქოს სხვა პლანეტიდან ჩამოსულს უყურებ, რადაც სხვა კონსტრუქციის არსებას. არადა, ისიც ადამიანია და მეც, სხვაობა აქვარაა - ის თავისუფალია და ამდენად ლალია, რადგან აქვს რწმენა, ჭეშმარიტად ვხედავ, რომ აქვს შესაშური ცხოვრების კულტურა, პროფესიონალური ინტელექტი; არადა, ხშირად მიგვრძნია, რომ აკლია ნიჭი, ტალანტი, ის, რაც ჩვენს ქვეყანაში უხვად არის, მაგრამ არის მიგდებული, მიკარგული, განუვითარებელი. სწორედ, ამ ნიჭს, რომელიც უდაოდ არის ჩვენს გენები, დღეს სჭირდება წარმოჩენა. უპირველეს ყოვლისა, ნიჭს უნდა მიეცეს გასაქანი და ამაზე უნდა იზრუნოს ჩვენმა მთავრობამ. უნდა იზრუნოს, რომ ყველა პირობა შეუქმნას ნიჭიერ ადამიანებს. ამ უმთავრეს სიმდიდრეს, ამ გენეტიკურ ნიჭს, როგორც ოქროს ფონდს, ისე უნდა გაუფრთხილდეს მას მომავალი ხელისუფლება, მას უფლება აღარ აქვს, დაუშვას იგივე შეცდომები, რაც წინა მთავრობამ დაუშვა!

- **რამდენად სერიოზული იყო ეს შეცდომები?**

- ამაზე შედეგების მიხედვით შეიძლება მსჯელობა, ჩემი აზრით, უამრავი შეცდომა იყო დაშვებული, მათ შო-

რის მეტად სერიოზულიც: კანონის იგნორირება, ეკლესიის დისკრედიტაცია, ხალხის შეგნებულად შეცდომაში შეყვანა, მოტყუება, კლასობრივი შუღლის დათესვა, რამაც საბოლოოდ სამოქალაქო ომი და ძმათა სისხლისლვრა გამოიწვია. ეს არის მიუტევებელი შეცდომები, რომელთა ფონზე უმნიშვნელოდ ჩანს საკანონმდებლო საქმეში, ეკონომიკაში, თუ საკადრო პოლიტიკაში დაშვებული შეცდომები...

- **როგორ გგონა, რამდენად შესძლებს ახალი მთავრობა თუნდაც კადრების პოლიტიკის სწორად გადაჭრას? არიან სათანადოდ მომზადებული სპეციალისტები, რომ გაუძღვნენ ამა თუ იმ სფეროს?**

- სპეციალისტები გვყავს, და თუ არა გვყავს, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება ამა თუ იმ დარგის სპეციალისტის, სახელმწიფო მრჩევლის სტატუსით მოწვევა, არაფერი ამით არ დაშვდება. თუმცა, ამას თავად გადაწყვეტს ახალი ხელისუფლება.

- **როგორი იქნება ეს ახალი ხელისუფლება, ან ვინ მოვა მის სათავეში?**

- ჯერ ერთი, დიდი მნიშვნელობა აქვს ნდობის ფაქტორს. რამდენად გვენდობა დღეს დასავლეთი, რამდენად გამოგვიწვდის დახმარების ხელს და რამდენად მოისურვებს საქართველოს მიღებას ცივილიზებულ ერთა ოჯახში. ამ მხრივ ჩვენ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გამოცდა, ვგონებ, დამაკმაყოფილებლად ჩავაბარეთ, როდესაც ჩანასახშივე აღვკვეცეთ დიქტატურა, მტკიცე უარი განვაცხადეთ ტოტალიტარიზმზე. ამრიგად, გამოვხატეთ ჩვენი ნება-სურვილი ცივილიზებული გზით წინსვლისა. ეს, რა თქმა უნდა, საკმაოდ მნიშვნელოვანი განაცხადი იყო. აღბათ, ერთგვარი ნდობა დავიმსახურეთ კიდეც. რაც მეტად მნიშვნელოვანია დღეს ჩვენი ქვეყნისთვის. მსოფლიოს კეთილგანწყობის გარეშე, გაგვიშირდება შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული კრიზისიდან თავის დაღწევა, და ვინძლო ამაოც კი აღმოჩნდეს, ესოდენ დიდი მსხვერპლი, რაც ერმა გაიღო...

- **იქნებ, შესაძლებელი იყო მსხვერპლის გარეშე?**

- აღბათ, არა. რაოდენ მწარეც არ უნდა იყოს, ყოველი ჩვენგანისთვის ის უბედურება, რაც თავს დაგვატყდა. ეტყობა, გარდუვალი...

- **რით შეიძლება ვინუგეშოთ თავი?**

- ნუერთ მხოლოდ რწმენაშია. ნუ დაგვავიწყდება, რომ მარიამისა და მართას რწმენამ აღადგინა ლაზარე მევდრეთით. დღეს, მკვდარია საქართველო. თუ ჩვენ მივმართავთ უფალს ხსნისათვის, მან ისმინა ჩვენი ვეღრება და ინება ლაზარეს აღდგინება მკვდრეთით, დანარჩენი ჩვენს ჭეშმარიტი რწმენაზეა დამოკიდებული. და თუ ფარისეულურად არ ვიტყვით, - **ჩვენთან არს დმერთი.** არამედ წრფელი გულით ვინამებთ ყოვლისშემძლეობას უფლისას, გადარჩება საქართველო...

როგორ შეხვდა მამუკა სალუქვაძე უცნაურ თუთიყუშს, უაკოს, რომელმაც გადაწყვიტა თავისი თავგადასავლებით მთელ მსოფლიოს შემოუფრინოს?..

– ოთხმოცი წელი ტყვეობაში გაუტარებია უბედურს, ახლა მაინც გაუშვით თავისუფლებაზე...

– როგორ გაუშვა, რას ბრძანებთ, ეს ჩიტი ყველაზე მეტად, 100 მანეთად მაინც გაიყიდება.

– მომყიდეთ. მე მოგცემთ 100 მანეთს – ვუთხარი. მართალია, სულ 150 მანეთი მქონდა დარჩენილი და კიდევ ერთ კვირას ვაპირებდი დასასვენებლად ყოფნას, მაგრამ იმდენად შეებრალა უაკო, რომ დასვენებას აღარ ვჩიტოდი. ფულიც არ დავიშურე.

– არა, ჩემთ ბატონო, 150 მანეთზე ნაკლებად არ გავყიდი. უცრად ვაჭრულმა სულმა გაილვიდა მოხუცში.

– რა გაეწყობა. გავიფიქრე მე. ჯიბები ამოვიზხიკე და კაპიკ-კაპიკ შევკრიბე უკანასკნელი ფული. ძლივს მოუყარე თავი 150 მანეთს და მოხუცს ჩავუთვალე.

– ფული მე, ჩიტი თქვენ. ღიმილით მითხრა ნავაჭრით კმაყიფილმა გამყიდველმა. გალია გამოვართვი და ბაზრიდან გამოვედი.

ასი თავი, ანუ ასი წიგნისგან შემდგარი სათავგადასავლო პოემა ბავშვებისთვის „თუთიყუშ უაკოს თავგადასავალი“, სადაც აღწერილია მთელი საუკუნის ამბავი და ასპარეზია ასი სხვადასხვა ქვეყანაა აღებული.

მამუკა სალუქვაძემ ჩანაფიქრი სისრულეში ვერ მოიყვანა. მოულოდნელი ავადმყოფობის შედეგად, თუთიყუშის მოგზაურობა შეწყდა...

– მოგეხსენებათ 90-იანი წლების რთული პერიოდი. მამუკა სულ ფიქრობდა ახალგაზრდებზე, განსაკუთრებით ბავშვებზე. ტელე-რადიომაუწყებლობაში მუშაობის დროს, გადაწყვიტა მოემზადებინა სატელევიზიო ვიქტორინა, დასჭირდა თუთიყუში. ბაზრობაზე იყიდა პატარა ცისფერი თუთიყუში და სახლში მოიყვანა. რამდენიმე გადაცემის მომზადების შემდეგ, გაუჩნდა იდეა, თუთიყუშს მოევლო მსოფლიო – საფრანგეთი, ამერიკა, ესპანეთი, რუსეთი, თურქეთი და სხვა.

ჩიტმა გალია განია და გაფრინდა. ვეძებდით, დავინახეთ ხის ტოტზე იჯდა, მამუკა ხეზე ავიდა, მაგრამ ვერ დაიჭირა. ისევ გაფრინდა. სნორედ, მაშინ დაიწყო უაკოს თავგადასავალი. თუთიყუში ყველგან სიძნელებს და უსამართლობას ხვდება. ამიტომ დაექტებს „სამართლის წიგნს“. მამუკას სურდა, გადმოეცა მეოცე საუკუნე. ბავშვებს შეესწავლათ უცხო სიტყვები, გეოგრაფიული ადგილები, ისტორიული მოვლენები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოქანდა ამერიკული ენციკლოპედია. ფიქრობდა, რომელი ქვეყანა აერჩია, რომელი წელი იყო საინტერესო. 1986-1987 წლებში ნაწყვეტები დაიბეჭდა ურნალ „დილაში“. როცა ახალ თავს დაწერდა, თავის მეგობრებს უკითხავდა. ერთ-ერთმა მეგობარმა, პატა მურვანიძემ გადაწყვიტა ყოველი თავი თითო წიგნად გამოეცა, ორი თავი დაიბეჭდა, კარგად არის ილუსტრირებული...

მამუკა მასტებაბურად მოაზროვნე შემოქმედი იყო. სამწუხაროდ, მხოლოდ 25 თავი დაწერა – სამშობლოზე, ადამიანებზე, ბავშვებზე მოფიქრალი კაცი უცებ გამოგ-

ვეცალა ხელიდან... შემდეგ ჩვენ შვილს, ლუკას ვთხოვე, ბოლო სტროფები დაეწერა:

სად გაქრა ჩიტი, არავინ იცის,
არც ასავალი, არც დასავალი.

თუ უაკთან ერთად სადმე ჩავარდით,
გთხოვთ, რომ გვაუწყოთ, ამ მისამართით:

თბილისი, იოსებიძის 49.

ქალბატონმა ლუიზა აფხაზავამ დამირეკა და მითხრა, – პოემის გაგრძელება მე დავწერე... გაოგნებული დავრჩი. მსგავსი რამ არასდროს მომხდარა, ოცდაათი წლის შემდეგ, პოეტმა უაკო გააცოცხლა.. დიდი შრომა გასწია, თუთიყუში საქართველოში ჩამოიყვანა და სამართლის წიგნი „ვეფხისტყაოსანი“ აპოვნინა...

დოდო იაშვილი

2011 წელს გამომცემლობა პალიტრა L- მა დაბეჭდა „თუთიყუშ უაკოს თავგადასავალი“. მამუკა ძალიან ადრე, 41 წლის წავიდა ჩვენგან... თუმცა დატოვა ოცნება: 1900 წელს დაბადებულ ჭვიან და ხალისიან თუთიყუშს, 2000 წლამდე უნდა ემოგზაურა და მოეყოლა ქვეყნების, მოვლენებისა და ადამიანების ისტორია. ყოველი თავი ერთი წელი და ერთი ქვეყანა უნდა ყოფილიყო, იქ მომხდარი მნიშვნელოვანი ამბებით, სახასიათო პიროვნებებთან შეხვედრებითა და ეპოქის დამახასიათებელი ინფორმაციით... ვერ აიხდინა ეს ოცნება... მართლაც, ქართულ ენაზე დიდი ხანია არ გამოსულა ასეთი წიგნი ყმაწვილებისათვის. გვეამაყება, რომ ეს საოცარი ნაწარმოები მამუკას ოჯახმა ჩვენ მოგვანდო.

მარიკა დარჩია




მხოლოდ დიდ პოეტს ძალუძს მსოფლიოს მთლიანობაში შეგრძნება და მისი ასახვა თავის მშობლიურ ენაზე, მხოლოდ დიდ პოეტს შეუძლია, შექმნას წიგნები გასახარებლად... ბავშვების გასახარებლად არაჩვეულებრივი სერიალი უცნაური თუთიყუშის უაკოს შესახებ, რომელიც ფერნანდო პოს კუნძულიდან მოფრინავს და მთელ მსოფლიოს შემოუფრენს თავისი თავგადასავლებით.

ტომ ბერთრანი ბრევარდის კოლეჯის პრეზიდენტი

მამუკას შემოქმედებით უშუალობაზე, სისუფთავესა და ბუნებისაგან „სულგაუმიჯნანისაზე“ მეტყველებს ზღაპრული ციკლი ჭვიან თუთიყუშ უაკოზე. ჩემი აზრით, ეს საოცარი პოემა-ზღაპარი ბოლო ათწლეულებში უანგარო და მნიშვნელოვანი საჩუქრარია ჩვენი პატარებისათვის. ნარმომიდგენია, რომელიმე ევროპული ქვეყნის პოეტს რომ დაეწერა ეს პოემა, რა სწრაფად მოხდებოდა მისი ეკრანიზაცია. რა სიუხვით გაჩნდებოდა მულტფილმებში შემეცნებით-გასართობი სერიალები, რამდენი რამ გაკეთდებოდა, რომ ამ ულამაზეს ნაწარმოებს მრავალი ქვეყნის ბავშვები გაეხარებინა.

მაკა ჯოხაძე მწერალი





ორი გურულის ცანები და უკავშირის თავმოსახავადი

ლუიზა აფხაზავა-თვალაძემ 1968 წელს დაასრულა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1969-1977 წლებში მუშაობდა საქართველოს ტელე-რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში. ჯერ საბავშვო რედაქციის „შტატგარეშე“ კორესპონდენტად, მერე გაზითის „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისის“ კორექტორად, შემდეგ საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთათვის რადიოგადაცემათა რედაქციის რედაქტორად. რადიოურნალს ახმოვანებდნენ არაჩვეულებრივი მსახიობ-დიეტორები. ქეთევან ლანდია, დავით სოკოლოვი, ლევან ყავლაშვილი, მერი მიქელაძე, ელენე ტაბლიაშვილი, თინა მგალობლიშვილი. უურნალისტურმა საქმიანობამ შეახვედრა დაუკინებარ ადამიანებს. ოსებ ნონეშვილს, დემან შენგელაიას, არნოლდ ჩიქობავას, ვახუშტი კოტეტიშვილს, ალექსი მაჭავარიანს, გიორგი ცაბაძეს, კობა გურულს, მუხრან მაჭავარიანს, სოფიკო ჭიაურელს და სხვა უამრავს, რომელთანაც საუბარი ახლაც საუკეთესო გაკვეთილებად მიაჩნია!..

ქალბატონი ლუიზა 1979 წლიდან ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა თბილისის 62-ე სკოლაში, იყო დირექტორის მოადგილე, იგი მოსწავლეთათვის დაწერილი მრავალი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციისა და საინტერესო ადამიანებთან შეხვედრების ავტორი გახლავთ (განსაკუთრებული მღელვარებით იგონებს ჰერეთის ალიბეგლოს მოსწავლებთან საკუთარი სადამრიგებლო კლასის დამეგობრებასა და ურთიერთსტუმრობას – ჰერეთსა და თბილისში!..)

2005 წელს პროფესიული საერთაშორისო კონკურსის („მასწავლებელი ყველა ბავშვს სჭირდება“), 2007 წელს მასწავლებელთა საშემოდგომო კონკურსის („ირმის ნახტომი“), 2017 წელს ლიტერატურული კონკურსის („გიორგი კეკელიძის ნიგნის – „ნერილები ღმერთს და მამაჩრემს“ წაკითხვის შემდეგ“) საუკეთესო ესეს პირველი ადგილის მფლობელია, 2011 წელს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრის მიერ გამოცხადებულ პიესების კონკურსში უიურის პრიზით დაჯილდოვდა. 62-ე სკოლაში ხელმძღვანელობდა ბეჭდვით გაზით – „ინტელექტუალი“. 62-ე სკოლის 75-ე წლისთავისათვის (2008წ.) მისი სცენარითა და რეჟისორობით შეიქმნა დოკუმენტური ფილმი. წერს ლექსებსა და მოთხოვობებს.

ჰყავს ქალ-ვაჟი, ვარდი და ზაზა, ორივე ინგლისური ენის ფილოლოგია. ვარდიმ ლატვიაში, რიგაში გააგრძელა სწავლა. ზაზამ მეორე პროფესიის დასაუკლებლად თბილისის „იესემი“ დაასრულა. ვარდი ინგლისურნოვან სტუდენტებს ქართულს ასწავლის, ხოლო ქართველებს – ინგლისურს. ზაზა თბილისის ერთ-ერთ ბანკში მუშაობს.



ან გარდაცვლილი მეულლე, ელდარ თვალაძე, სხვადასხვა სასწავლებელში კრიმინალისტიკას ასწავლიდა. განსვენებული მა, ნუგზარ აფხაზა, მწერალი და უურნალისტი იყო. მუშაობდა უურნალებში „პიონერსა“ და „თბილისელებში“, გაზით „ასავალ-დასავალში“, გამოცემულია მისი რამდენიმე საბავშვო წიგნი.

ქალბატონი ლუიზას ქალიშვილისაგან ერთი ნანატრი შვილიშვილი ჰყავს – ჯორჯა ელისაბედ კოლონა (ქართულად რომ ვთარგმნოთ, გვარი კოლონა „მესვეტეს“ ნიშნავს). გოგონა, დედასთან და იტალიელ მამასთან ერთად, იტალიაში ცხოვრობს. ჯორჯა თბილისში მოინათლა მართლმადიდებელ ქრისტიანად და უკვე საქართველოს მოქალაქეცა! წელიწადში მხოლოდ რამდენიმე-ჯერ ხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ ლუიზა ბებია სკაპითო ყოველდღე ესაუძრება შვილიშვილს და საკუთარ ლექსებს ყოველი თვის 13-ში უძღვნის. უკვე ალბომიც კი შეუქმნა. სხივჩამდგარი თვალებით წარმოთქვამს შვილიშვილისადმი მიძღვნილ პირველ ლექსს.

დილა თვალს ახელს და გარემო როცა ბრწყინვადება, შევი ზღვის პირით ადრიატიკისკენ ვფრინდები...

ან, როს დალლილი დღე სალამოს ბინდში მშვიდდება, ჩემი პანანა, მენ გეკუთვნის ჩემი ფიქრები...

იტალიურად მენ წმინდანის ხსოვნას ატარებ, მაგრამ უმეტეს, ჩემი ქვეყნის გადგას ნათელი!

რადგან შორსა ხარ ივერიის სანახებიდან,

დედამ გინწოდა საქართველოს ფარდის სახელი!

შენ ორი ქვეყნის მემკვიდრობა გარგო განგებამ!



დაიმახსოვრე – ორივეა შენი მშობელი!
დადგება დრო და მოგიხდება ამის გაგება,
მათ რომ ეკუთვნით, ისე განვლო წუთისოფელი!
ვიცი, იქნები ღირსეული მთამომავალი
და გელოდება წარმატება – ბევრი... მრავალი!.. (ლ.ა)

ახლა კი, ჩემთ ძვირფასო მკითხველებო, მსურს, გიამ-
ბოთ ორი გურულის, ლუიზა აფხაზავასა და მამუკა სალუ-
ქვაძის, საოცარ შემოქმედებით თანხველრაზე – 30 წლის
შემდეგ!..

ქალბატონი ლუიზა თავს პოეტად არ მიიჩნევს. მისი შე-
ხედულებით, მგოსნად მკითხველმა უნდა გალიაროს! ქარ-
თველებს კარგად გვახსოვს ახალგაზრდა უურნალისტი და
პოეტი, მამუკა სალუქვაძე, ინოლა გურგულიასა და ანზორ
სალუქვაძის ვაჟი.

ქალბატონმა ლუიზამ დაწერა მამუკა სალუქვაძის პოე-
მის გაგრძელება.

რატომ და როგორ შედგა ეს ლამაზი ტანდემი, მართლა,
იშვიათი მოვლენაა. აი, ამის თაობაზე გიამბობთ ჩემს ინ-
ტერიუში...

– უაკოს მოგზაურობა 1900 წელს დაიწყო და მხოლოდ
ოცდახუთი წელი გაგრძელდა, შემდეგ ის გაუჩინარდა. პოე-
მის დასასრულს მამუკას ვაჟი, ლუკა მოგვიწოდებს, – მოძე-
ბნეთ და გააგრძელეთ მისი თავგადასავალი...

– ნიჭიერი შემოქმედის, მამუკა სალუქვაძის, წარერებს
პერიოდულად ვეცნობოდი (პირადად არასდროს შეეხვე-
დრიგარ. მინხავს ფილმში.). ასევე დიდი ინტერესით წა-
ვიკითხე 2011 წელს მისი წიგნად გამოქვეყნებული პოემა
(ადრე საბავშვო უურნალებში იბეჭდებოდა.) – „თუთიყუშ
უაკოს თავგადასავალი“.

– უაკო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში „სამართლის
წიგნს“ ეძებს. მას ბევრი ფათერაკი გადახდა, თუმცა ოპტი-
მისტი ჩიტი ფარ-ხმალს არ
ყრის და წინ მიიწევს...

– უან უაკო, როგორც მა-
მუკა მოგვითხრობს, სანტა
ისაბელაში ცხოვრობდა, სწა-
ვლობდა. ჰყავდა მამაპაპი-
სეული ოჯახი და საცოლე,
მშვენიერი უორუეტა. ამ უკა-
ნასკნელმა საგმირო საქმეე-
ბის ჩადენა მოსთხოვა. უაკო
კუნძულიდან გაფრინდა.
სამწუხაროდ, განგსტერებს
გადაეყარა. ერთხელ ყური
მოჰკრა, ადამიანთა დასაჩა-
გრად ისინი როგორ მზაკვრულ გეგმებს ადგენდნენ. საი-
დუმლო რომ არ გამუდავნებულიყო, ავკაცებმა თუთიყუ-
შის მოკვლა გადაწყვიტეს. რომელ ქვეყანასაც არ შეე-
ფარა უაკო, ყველგან პოულობდნენ. თუმცა, ჩიტი კვლავ
შევლოდა თავს. ერთი ჭევიანი კაცის რჩევით, თუთიყუშმა
ძებნა დაუწყო ისეთ კანონთა კრებულს, ანუ „სამართლის
წიგნს“, რომელიც კაცობრიობას ბოროტებისაგან იხსინ-
და.

მამუკას პოემამ ისე მომზიბლა, უაკოს თავგადასავლის
დაწერა გადავწყვიტე. დავწერე. ცოტა ხნით დავისვენე. რამდენიმე თვის შემდეგ, ხელახლა მივუბრუნდი და ჩემი
აზრით, უფრო დავხვენე. მერე მამუკას ოჯახის ძებნა და-
ვიწყე. ჩავთვალე, რომ უაკოს ახალი მოგზაურობის შესა-
ხებ მამუკას შეიღებს უნდა სცოდნოდათ. მივაკითხე პირ-
ველი წიგნის გამომცემელს. სამწუხაროდ, ვერც ტელეფო-

ნი და ვერც მისამართი ვერ მაცნობეს. გადავწყვიტე, სო-
ციალური ქსელი გამომეყენებინა, faceboook-ის მეგობრების
დახმარებით მამუკას მეუღლე, გულისხმიერი ქალბატონი,
დოდო იაშვილი, ვიპოვე. დავურევე, ერთმანეთს შევხვ-
დით. კიდევ ერთი საოცარი დამთხვევა. აღმოჩნდა, რომ
დოდოც და მამუკაც უურნალისტებად მუშაობდნენ ტელე-
ვიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტში, სადაც – მე
(უფრო ადრე).).

– ჩიტმა დასერა მთელი მსოფლიო... სამი ათეული წლის
შემდეგ, ლაზმა ლაზარემ საქართველოზე მოასწავლა. თქ-
ვენ ვირტუალურად გვამოგზაურეთ ყველა კუთხეში, დედა-
ქალაქში. უკომ აქ, ჩვენს სამშობლოში იპოვა „სამართლის
წიგნი“ და ეს წიგნი „ვეფხისტყაოსანია“.

– მამუკას პოემა რომ დავასრულე და უკანასენელ
სტროფში წავიკითხე თხოვნა – უგზო-უკვლოდ დაკარ-
გული უაკის ამბავი თუ გსმენიათ, გვაცნობეთო, უცბად
სურვილი ამენთო (ლელა, კარგად გამოხატავს ეს ზმნა
ჩემს ემოციას!), ეს ჭევიანი თუთიყუში საქართველოში
ჩამომეყვანა! ჩამომეყვანა, რათა მძიმე წარსულისა და
საინტერესო კულტურის მქონე ჩემს ქვეყანას გაცნობო-
და. მით უმეტეს, რომ თურქეთში გაცნობილმა კეთილმა
ლაზმა გლეხმა, ლაზარემ, უაკს აცნობა, რომ კავკასიაში
მდებარეობს მისი სამშობლო.

– რატომ შეარჩიეთ „ვეფხისტყაოსანი“?

– ჩემი ყველაზე მთავარი გადაწყვეტილება ის გახლა-
ვთ, რომ უაკ უაკო აქ იპოვიდა „სამართლის წიგნს“. ამ
უკანასკნელს ხომ ბოროტებით შენწებული კაცობრიო-
ბისათვის სიკეთის ქმნა უნდა ესწავლებინა! ამიტომ დი-
დხანს არ მიფიქრია, მაშინვე მივხვდი, რომ ეს იქნებო-
და „ვეფხისტყაოსანი“! კალამი ავიღე, წინ საქართველოს
რუკა დავიდე, საქართველოში სამოგზაუროდ გეგმა შე-
ვადგინე და რამდენიმე თვეში (თან ვმუშაობდი, ოჯახში
ვსაქმიანობდი...), 2012 წლის
თებერვალში, უკვე დავას-
რულე მამუკა სალუქვაძის
პოემის გაგრძელება, როი
საერთო პერსონაჟით – უაკ
უაკოთი და უორუეტა უაკო-
თი. მხოლოდ, სრულიად ახა-
ლი, განსხვავებული, დამოუ-
კიდებული შენაარსისა.

– ასეთივე ჩანაფიქრი
ჰქონდა მამუკას?..

– სიზუსტისათვის (მკით-
ველი რომ არ დაიწევს), მა-
მუკა არსად არ ამბობს, რომ
„სამართლის წიგნი“ „ვეფხისტყაოსანია“. ეს ჩემი არჩევა-
ნია, ჩემი მიგნება, ოლონდ, რეალობაზე დაყრდნობილი –
შოთას უკვდავი პოემა ხომ კაცთა მოდგმის ამაღლებული
სულიერების საზრდოა!

– მკითხველებს კიდევ ერთხელ შევახსენოთ, რას გვასნა-
ვლის „ვეფხისტყაოსანი“?

– „ვეფხისტყაოსანი“ გვასნავლის ყველაფერს, რაც
ჭეშმარიტად ადამიანურია! გვასნავლის, მაგრამ, ჩვენ,
ქართველებს, სამწუხაროდ ცხრა საუკუნეა, ჩვენივე წია-
ღიდან აღმოცენებული მსოფლიო დონის ქმნილება ჯერ
კიდევ კარგად ვერ გაგვითავისებია! ჩემი (ციცი, სხვები-
საც!) უდიდესი სურვილია, რომ „ვეფხისტყაოსანის“ სიბრ-
ძნე ყმანვილებმა არა პედაგოგთა ძალდატანებით, არა-
მედ საკუთარი სურვილით შეიცნონ! ჩვენდა სავალალოდ,
გათავისებული კი არა, ბევრს თავიდან ბოლომდე წაკი-



ლუიზა ჰუკი და მონა ფერების თანამდებობაზე მოგვითხვება

თხულიც არა აქვს! მით უმეტეს, რაღა გასაკვირია, რომ ამ უნიკალურ პოემას სათანადოდ არ იცნობს მსოფლიოს ინტელექტუალური ნაწილი.

რუსთაველი გვასწავლის, რომ ადამიანი, განურჩევლად ეროვნებისა და რელიგიისა, გასაჭირში არ უნდა მიატოვო! არ იცრუო, არ იფლიდო! რომ საკუთარ შესაძლებლობებზე არც დამაკნინებელი და არც გაზიადებული შეხედულება არ უნდა გქონდეს. მტრის დასამარცხებლად ყველაფერი უნდა გააკეთო, მაგრამ, თუ შენზე გაცილებით ძლიერს უნდა შეერკინო, თავი უაზროდ არ შეაკლა, მოქმედების ხელსაყრელი დრო უნდა შეარჩიო, ტაქტიკა გამოიყენო. ყოველივე ამას კი ცოდნა სტირდება, ცოდნას – სწავლა! შოთა გვასწავლის და გვიჩვენებს, რომ ღვთისგან შექმნილი ადამიანი თავისუფალია!

შოთამ აღწერა ქვეყანა, სადაც მოყვასის ტკივილს უცნობნიც გრძნობენ, დემოკრატია შექმნა ისეთი,
„სად თხა და მგელი გვერდიგვერდ ძოვენ“!
რუსთველმა ყველა მოქმედი გმირი ძმობით ერთმანეთს დააკავშირა, გვიჩვენა, ერთმა მეორის ნაცვლად თვისი სიცოცხლე როგორ განირა! შეგვძინა ჩვევა სხვისი ვარამის საკუთარ გულის დარდად ჩნევისა, უწყვეტი ბრძოლა ბოროტებასთან და დიდსულოვნად მიტევებისა! (ლ.ა.)

ასე ამაღლებულად, ასე მთამბეჭდავად, ქმედებებითა და, თუნდაც, აფორიზმების სახით ნათევამი სიბრძნე, თანაც ამგვარად მრავალფეროვანი, როგორც „ვეფხისტყაოსანშია“, სადმე წაგიკითხავთ?!.. ეს ჭეშმარიტად, სრულყოფილების შეგრძნებაა!.. გულისყრით ვისმინოთ –

„ვინცა კაცმა ძმა იძმოს, თუ დაცა იდოს, ხამს, თუ მის-თვის სიკვდილი და ჭირსა თავი არ დაჰრიდოს!“

„ხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს, ჭირს მიუხდეს მამაცურად!“

„რასაცა გასცემ, შენია, რასც – არა, დაკარგულია!“ სიყვარული აღვამაღლებს!“

„ბოროტსა სძლია კეთილმანა, არსება მისი გრძელია!“

„მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოკურებ კიტრად, ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად!“

შემაჩერეთ!.. ველარ ველევი!..

დიახ, „ვეფხისტყაოსანი“ ჭეშმარიტად „სამართლის ნიგნია!“

– შოთას პოემა დღემდე არ კარგავს აქტუალობას...

– „ვეფხისტყაოსანი“ არ არის მხოლოდ ძეველი ლიტერატურული ძეგლი. ის ახლაც, XXI საუკუნეშიც, ჩვენი თანამედროვე. ჯერ ერთი, სხვა ქვეყნების იმავე დროის მწერალთა ნაწარმოებებისაგან განსხვავებით, მის წასაკითხად თარჯიმანი არ გვჭირდება. მეორე – არ არსებობს თემა, საკითხი, ღირებულებანი (ახლაც რომ გადაუწყვეტილია), ის რომ არ ეხებოდეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსანის“ პერსონაჟები XXI საუკუნის, ზოგიერთ, ეგ.ნ. ცივილიზებულ ადამიანებზე მაღლაც კი

დგანან! შოთას პოემის მოქალაქეები არა მხოლოდ ფიზიკურად არიან სრულყოფილნი, სულითაც და გონებითაც, დროის შესაფერისი განათლებითაც, პატრიოტიზმით, ჰუმანიზმით, გამრჯეობით, ჭეშმარიტი სიყვარულისა და გრძნობათა გამოხატვა-დაფარვის უნარითაც.

პიპერბოლიზაციასთან ერთად, რომელიც ცხოვრებას აღამაზებს, რომანტიულს ხდის, პოემაში სხვადასხვა ქვეყნის ჭეშმარიტად რეალური ყოფაა აღწერილი.

– როგორია უაკის მოგზაურობის მარშრუტი საქართველოში?

– უაკ უაკის საქართველოში სამოგზაუროდ სწორხაზოვან მარშრუტს, ან წრიულს ვერ ავირჩევდი. მსურდა, შეძლებისდაგვარად გაეცნო ყველა კუთხე. ენახა მთაც და ბარიც, შეხვედროდა სხვადასხვა მხარის ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლებს, უმუალიდ მიახლოებოდა მათს ღირებულებებს.

უაკი შემოვიყვანე საზღვრისპირა სოფელ სარფიდან. შემდეგ ვიხილეთ ბათუმი, გონიო... ისე ქალაქებისა და სოფლების ზუსტი თანმიმდევრობით ჩამოთვლას თქვენი ჟურნალის რამდენიმე გვერდი დასტირდება, ამიტომ მოკლედ გეტყვით. ვესტუმრეთ აჭარას, მესხეთ-ვაკეახეთს, ფშავ-ხევსურეთს, რაჭა-ლეჩხუმს, სვანეთს, სამეგრელოს, იმერეთს, ქართლს, თბილისა, გურიას და დავბრუნდით ბათუმში. უაკი, მეუღლითურთ, იქ დასახლდა.

– უაკომ და ავთანდილ მასწავლებელმა მთელი საქართველო შემოიარეს. ალბათ, სიმბოლურია პოეტ მიხეილ ქურდიანის შეფასება: მამუკა სალუქვაძე რუსთველისეულ ავთანდილს ჰეგავდა – „ყმა ტყბილი და ტყბილ-ქართული, სიკეთისა ხელის მხდელი“.

მერმეუნე უაკო, ჩვენს ჩვენს ფორტუნას, მაინც დავიჭერთ, როცა იქნება, თუ კი არსებობს ის, რასაც ვეძებთ – ასე ამხნევებს მამუკა... ქალბატონო ლუიზა, უაკომ იპოვა ის, რასაც ეძებდა?..

– მართლა, საოცარი დამთხვევაა, ლელა! მე რომ მამუკას პოემის გაგრძელება დავწერ, მაშინ პროფესორ მიხეილ ქურდიანის შეფასება არ მქონდა წაკითხული! თუ-თიყუშ უაკის გიდსა და მასწავლებელს ავთანდილი მაშინვე ვუნდოდე, სხვა სახელი არც მიძებინა... ახლა ვფიქრობ, ალბათ, „ვეფხისტყაოსანის“ უმაღლესი გონისა და გულის მქონე, პატრიოტი და პუმანური პერსონაჟის, ავთანდილის, გავლენით დავარქვი!

უაკი, ავთანდილ მასწავლებლისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ბავშვების დახმარებით, „ვეფხისტყაოსანის“ შინაარსს ზედმინევნით გაეცნო. მისი აფორიზმების სიბრძნეს ჩასწედა. საქართველოს ყველა კუთხეში უცნობ უცხოტომელს ისე გულიანად ხვდებოდნენ, დაიჯერა, ქართული სულის ღირებულება რომ გაახმიანი რუსთაველმა სიტყვითა და საქმით – „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია!“ მიხვდა, რომ მხოლოდ სიყვარული და ურთიერთთანადგომა გადაარჩენს ადამიანებს, რომ კაცობრიობა ბოროტებას მხოლოდ ამით დაამარცხებს!

ავთანდილ მასწავლებელმა „ვეფხისტყაოსანადე“ გაცილებით ადრე შექმნილი ხალხური, მართლა უნიკალური ბალადაც გააცნო. ეს იყო „ვეფხისა და მოყმისა“. ჩიტი



სუნთქვაშეკრული უსმენდა, რომ
ქართულ ფოლკლორში არის ამბავი
ვეფხვის და მოყმის შერკინებისა,
ორივე იყო მეტად ძლიერი,
ორივემ პოვა გზა იმ ქვეყნისა...
დედამ იგლოვა ვაჟუაცი შვილი...
ბუნაგა ესტუმრა ის ძუ ვეფხვისას,
უამბო თავის მწუხარებაზე
და თანაუგრძნო ჭირთა თმენისა... (ლ.ა.)

ქალმა მიუსამძიმრაო შვილის მკვლელის დედას?!...
ამ საოცარი თანამედრნობელობის შემდეგ დასკვნა, რომ
შოთას ნალვანი, მართლაც, ქარ-
თველი ერის სულის სიღრმე-სი-
მაღლის ნაყოფი იყო (სამწუხა-
როდ, ისტორიული ქარტეხილე-
ბის გამო, ზოგი ღირებულება
გაგვიფერმკრთალდა, ზოგს მტ-
ვერი მიეყარა... თუმცა, საბედ-
ნიეროდ, მთლად არ გამქრალა
და ხანდახან გაგვინთებს ხოლმე
ჩვენს ყოფას!.. ეს სხვა საუბრის
თემაა...).

უაკო საბოლოოდ დარწმუნ-
და, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სი-
კეთის მასნავლებელი, მართლა
„სამართლის წიგნია“. სწორედ
ის, რასაც მსოფლიოს სხვადასხვა
ქვეყანაში ექცებდა!

მამუკა რომ ცოცხალი იყოს, დარწმუნებული ვარ, არ-
ჩევანს მომინონებდა და კვერს დამიკრავდა.

– პოემა შეიცავს ენციკლოპედიურ ინფორმაციას. წარ-
მოაჩინეთ ყველა კუთხის ტრადიცია, სტუმარ-მასპინძლო-
ბა, ხუროთმოძღვრული ძეგლები, ქართველი მეფები, ვაზის
და ჩის კულტურა, მცენარეები, სამკურნალო კურორტები.
ბავშვები თამაშ-თამაშში ეცნობიან ჩვენი ქვეყნის წარსულ
და ბუნებრივ სიმძიდრეებს.

– პედაგოგი გახლავართ და ვიცი, როგორ ჯობია ცოდ-
ნის მიწოდება. ძალდატანება, ჩიჩინი, რაიმეს გაუაზრე-
ბლად დაზუთხვის მოთხოვნა, სასურველ შედეგს არ იძლე-
ვა... ისე, სიტყვამ მოიტანა და აქვე მოგახსენებთ, მცირე,
ოლონდ კარგად შერჩეული ეგ.ნ. საზეპიროებაც საჭიროა.
სრულიად უგულვებელყოფა არ არის მართებული. ზეპი-
რად სწავლა ავარჯიშებს მეხსიერებას, ამდიდრებს მხატ-
ვრული მეტყველების უნარს, აძლიერებს ემოციურობას.
სწავლება ამიტომა როული და სათუთი. მასნავლებელმა
საჭირო დროს, საჭირო ხერხი უნდა მოიშველიოს. ეს ყვე-
ლას არ შეუძლია.

პედაგოგობა (ამ სიტყვის ჭეშმარიტ მნიშვნელობას
ვგულისხმობ!), მხოლოდ თანდაყოლილი ნიჭის მქონეს
ხელენიფეხა... რა თქმა უნდა, ესეც არ კმარა! ქალმა თუ
კაცმა, ჯერ უნარი საკუთარ პიროვნებაში უნდა აღმო-
აჩინოს. მერე პედაგოგობის სურვილი უნდა გაუჩნდეს
(ძალდატანებით არჩეული პროფესია არაპროფესიონალს
გამოგვიცხობს). თუ ნიჭიც აქვს და ნებელობაც, მერე
მართლა უმალესი განათლება მიიღოს. ეს იმას ნიშნა-
ვს, რომ არა მხოლოდ საკუთარ საგანს უნდა ფლობდეს,
არამედ მონათესავე საგნებშიც ერკვეოდეს (მაგალითად,
როგორ ვასწავლი „აბო თბილელის წამებას“, თუ არ მე-
ცოდინება იმდროინდელი საქართველოს ისტორიული
მდგომარეობა?!). მოზარდთა ფსიქოლოგიასაც უნდა იც-
ნობდეს, ბავშვებს მათს გონებასა და სხეულში მიმდინა-

რე ასაკობრივი ცვლილებების გათვალისწინებით უნდა
ეპყრობოდეს. კიდევ ერთი, ყველაზე მთავარი – სხვისი
შვილი უნდა უყვარდეს!

ლელა, აი, რა რთულია პედაგოგობა!

– ჩვენი კუთხების ტრადიცია, კილო, კერძები, წეს-
ჩვეულებები – საქართველოს სიმდიდრეა და გაფრთხილება
ესაჭიროება...

– ტერიტორიით პატარაა ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ზო-
გიერთ ვრცელ სახელმწიფოს არ ჩამოუვარდება საკუთა-
რი ღირებულებებით.

არ ვამტკიცებ, რომ ნაკლი არ გვაქს! გვაქს და
დასაშეგბზე მეტიც! არც იმის
მომსრე ვარ, რომ ბავშვებს არ
ვასწავლოთ ნაკლის შემჩნევა
და მისი გამოსწორების გზები
არ ვაძებინოთ, მიმაჩინია, რომ
აღსაზრდელს ჯერ კარგი და
საუკეთესო უნდა ვასწავლოთ და
მხოლოდ მერე, გასაგებად, დასა-
ბუთებულად უნდა ავუქსნათ, რა
არის ცუდი. წინააღმდეგ შემთხ-
ვევაში, ის მანკიერების მიმდევა-
რი გახდება.

ვიცი, ვერ დავაჯერებ იმ სცე-
ნარისტებსა და რეჟისორებს, რომ
დანაშაულია, ნაკლის მხილების
მოტივით გადაღებული ფილმები,
ისეთი სერიალები, სადაც ოჯახის

ყველა წევრი, განურჩევლად სქესისა, ბილნისტყვაობს!..

ბილნისტყვაობა ცოდვის ჩადენის ტოლფასია! მაყურე-
ბელი, ყმანვილი, რომელსაც არ აუსნეს, რომ ამ ფილ-
მით მისი შემქმნელები ნაკლის გმობენ (თუ მართლა ასეა!),
მიიჩინებს, ოჯახსა და ნაცონბ-მეგობართა წრეში ასე
უნდა ისაუბროს, რომ უსაზიზლრესი ფიცით „დაამტკი-
ცოს“ საკუთარი ნათქვამის სიმართლე და არ მეტყველე-
ბს ევროპული ცივილიზაციის მემკვიდრე ქვეყნის შვილის
საკადრისად!

თუ მახილებელ ფილმს სთავაზობ ყმანვილს (რო-
მელიმე პერსონაჟის ან დაჯგუფების უკულტურობის,
გაუნათლებლობის სათვალსაჩინოდ!), უნდა განუმარტო,
უნდა აუსნა. ამას ჰქვია აღზრდა.

აღსაზრდელი საკუთარ ქვეყანას ყოველმხრივ უნდა
იცნობდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სრულყოფილ
მოქალაქედ, მით უმეტეს, პატრიოტად, ვერ ჩამოყალიბ-
დება.

საქართველოს ყოველ კუთხის საკუთარი და, ამავე
დროს, მსგავსი ისტორია აქვს. მინდა, ყველას ახსოვდეს,
რომ საუკუნეთა განმავლობაში სპარსი, თურქი, არაბ-
ი, ლეპი, მონღლონი, რუსი გვანგრევდნენ, გვწვავდნენ,
გვყიდნენ, მინებს გვტაცებდნენ (სამწუხაროდ, ახლაც!)...
ეს არ უნდა დავივინებოთ და ვიამაყოთ, რომ, მიუხედავად
ასეთი წარსულისა, დღემდე მოვედით – საკუთარი ენით,
დამწერლობით, კულტურით!.. მაშინ, როცა უძლიერესი
და უვრცელესი იმპერიები „აღიგავენ პირისაგან მიწისა“,
ჩვენ, მართლა, სხვასთან შედარებით, ერთი მუჭა ქართ-
ველები, გადავრჩიო! გაანალიზონ, რამ შეაძლებინათ ეს
ჩვენს წინაპრებს?! განა მაშინ არ იყვნენ გამყიდველები!
როგორ არა, მაგრამ მყარად იდგა უმრავლესობა და მისი
თითოეული წევრი სამშობლოს საკუთილდღეოდ ერთმა-
ნეთს მხარს უმაგრებდა! შესისხლხორცებული ჰქონდათ
შოთას შეგონება, რომ თუ გადარჩინა გინდა, „ჭირსა ში-



გან გამაგრება, ასრე უნდა, ვით ქვიტყირსა“, რომ „ოდეს კაცასა და ეჭირვოს, მაშინ უნდა მამა და თვისი!“

ქართველს ერთ ხელში თასი ეჭირა,

მეორეში კი – ბასრი მახვილი!

უფლის და მოძმის იმედი ჰქონდა,

ვერ აჩიქებდა მტერთა ქადალი!

თავს წებიერად ვერასდროს გრძნობდა,

მშვიდი ცხოვრება ხშირად არ ჰქონდა,

მაგრამ ჭკვიანი მეფეების დროს,

აშენებდა და თავი გაჰქონდა! (ლ.ა.)

მინდა, იამაყონ წინაპართა ნიჭისა და შრომის შედეგად ნაგები, ჩვენამდე მოღწეული არქიტექტურული ძეგლებით, განათლების უძველესი კერებით...

მსურს, მშობლიური პეიზაჟის აღქმა და მისით ტკბობა შეეძლოთ...

ძალიან მინდა, წინაპართა საუკეთესო ქცევები აღადგინონ, თუნდაც... ქართული სუფრის ფერმენი. უკაომ შეიცნო და აღტაცებული უხსნის საცოლეს –

უორუეტ, ქართული სუფრა, იცოდე,

არ არის თრობა დროს საკლავად.

ეს არის სიბრძნის აკადემია,

სიყარულის და ნდობის ბალადა! (ლ.ა.)

დანარჩენზე – წიგნში...

– ილა ჭავჭავაძე გვმოძლვოვავს, – ანმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა...

– ასეა! ჩვენი, აღმზრდელების, მიზანი, როგორც აღვ-ნიშნე, უნდა იყოს, რომ ბავშვებს, სხვა ღირებულებებთან ერთად, საკუთარი ქვეყნისა და ერის წარსული ვასნავლოთ, ანმყო დავანახოთ. მონათხოვით, რა თქმა უნდა, ვერაფერს მივაღწევთ. საუკეთესო საშუალება ისტორიული ძეგლებისა და ადამიანების მონახულებაა. ამიტომ ვამოგზაურებ უკაოს ანმყოსა და წარსულში, მცირხველებთან ერთად.

უამრავი გვაქვს ციხე-ტაძარი,

ჩვენი გენი არნია,

მამა-პაპათა გმირული სული

ციმ-ციმ ასწია!

მთელს მსოფლიოში იყო ცნობილი

კოლხელ რიტორთა აკადემია,

მაღალი დონის (როგორც იყალთოს,

გელათის, გრემის!) სხივთა მფენია!

თუ მათი სახე არ გვაქვს ნანახი,

თუ დავივინეთ ჩვენი წარსული,

კეთილ მომავალს ვერ ვეღირსებით,

გადაგვარდება გენი, ქართული! (ლ.ა.)

– სამეგრელოდან ჩანს წალკისებრი აფხაზეთი, ჩვენი ძირძელი კუთხე..

– ეს ყველას სატკივარია... ასეთი ტკივილი არ უნდა დავმალოთ. ოკუპაციაზე სტუმრებსაც უნდა ველაპარაკოთ. შინაურმაც და გარეულმაც უნდა იცოდნენ, რომ სამაჩაბლო და აფხაზეთი ცალკე ქვეყნები კი არა, საქართველოს სხეულის ნაწილია, ამჟამად რუსეთის მიერ ოკუპირებული! უკაომ ეს კარგად გაიგო.

– ავთანდილ მასნავლებელი და უკაო გურიას ენვიონენ, – აპა, შევდივარ ჩემს გურაში!.. ორ პოეტს „ადგილის დედა“ გეძახით... წლების შემდეგ, თქვენ შორის უხილავი კავშირი დამყარდა...

– ავთო მასნავლებელში, რა თქმა უნდა, საკუთარ თავს ვგულისხმობ. სახელი იმ წუთიდანვე დავარქვი, პოემის წერა რომ დავიწყე...

მამუკას პოემის გაგრძელების იდეა, შესაძლებელია, არა მხოლოდ უკაოს პოვნასა და „სამართლის წიგნად“ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცხადების სურვილმა წარმოშვა, არამედ მე და მამუკას „ადგილის დედის“ საერთობამაც განაპირობა. როგორც გითხარით, ამ უნივერსალური, ლიტერატურული და ფილოსოფიური, ნიჭის მქონე ახალგაზრდას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ მის ნაწერებს რომ ვკითხულობდი და ვკითხულობ, მგონია, ჩემიანია. ალბათ, უკაოს თავგადასავლის გასაგრძელებლად კალამი ამან ამაღებინა.

– ქალბატონო ლუიზა, გურული ბებია ცალკე ფენომენია. სინანულით ამშობთ, – დიდი ხანია, ალარა ჩემი ტკბილი ბებია. თუმცა, სევდას ისევ სიხარული მოყვება...

– მამის დედა არ მახსოვეს. დედის დედა, ჩემი ტკბილი, ფუტკარივით მშრომელი, ებე ბებია, მართლა, ხალხური სიბრძნის წყარო იყო. მოსნავლეობისა და სტუდენტობისას მასთან გურიაში ყოფნა უდიდეს სიხარულს მანიქებდა...

ამ რამდენიმე თვის წინათ გამოცხადდა „გურული ადგილის დედის“ მიერ გაზრდილი კიდევ ერთი თანამედროვე ნიჭირი ახალგაზრდა შემოქმედისადმი მიღდვინილი კონკურსი, „გიორგი კეკელიძის წიგნის – „წერილები ღმერთს და მამაჩემს“ – წაკითხვის შემდეგ“ დავწერე ესე. პირველი ადგილი მომაკუთხნეს.

გიორგი კეკელიძის, მოცულობით პატარა, მაგრამ საოცარი სიღრმისა და სიმაღლის მქონე წიგნმა კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ, როგორც წმინდა წერილები გვასწავლის, „ღმერთმა ადამიანი შემწა ხატად თუისად“, რომ, თუ გვაურს დაკარგული სასუფევლი დავიბრუნოთ, ქრისტიეს მცნებებით უნდა ვიაროთ!

პოეტის მამა ნამდვილად ღვთის ხატი ყოფილა. ეს კაცი, მიუხედავად იმისა, რომ „ვიღაცაცამ ეზო დაუსაზღვრა ცხრა ძირ ვენახად და მის თვალებში უსივრცობის დათესა განცდა“ (გ.კ.), მამისა და, ზოგადად, ადამიანის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა. ოჯახის გამოსაკვებად და მოყვარეთათვის გვერდში დასადგომად, რომ იტყვიან, წელებზე ფეხს იდგამდა. არც სულიერ და ფიზიკურ ტკივილზე, უქონლობასა და უძილობაზე არ წურუნებდა. არც ამქვეყნიდან წასვლისას დაცდენია საყვედური... ამიტომ პოეტს სჯერა, უფალი მამას „მეათე ცაზე აიყვანს და ღრუბლებზე დასვამს“ (გ.კ.). სჯერა, რომ მამა იმ დღიდან უფრო მეტად იქნება ვაჟიშვილის გვერდით, ვიდრე ადრე – „შენ ცოცხალი ხარ, მინდა და ცოცხლობ – თან გამომყევი, ახალ გზებზე წავიდეთ, მამა!“ (გ.კ.)

აი, ასე ამარცხებს სიკვდილს ღვთისხატობა!

ჩემი ბებია ყოველთვის მახსოვდა, მაგრამ გიორგი კეკელიძის ზემოთხსენებულმა წიგნმა სურვილი აღმიძრა, სხვათათვის მეც გამეცნო საკუთარ გოლგოთაზე საკუთარი ჯვრის უდრტვინველად მატარებელი ერთი, ჩვეულებრივი გურული ქალი...

დიდედა ხუთ შეიღს მარტო ზრდიდა... თოხნიდა, ბარავდა, ბოსტნეულსა და ხეზილს ახალგაზრდა, ღვინოს წურავდა, არაუს ხდიდა, ფრინველებსა და პირუტყველს ზრდიდა,



ლუიზა აფხაზია-თვალაძე თვალაძან ერთად

ჩაის ფოთლებს კრეფდა, აპრეშუმის ჭიას უვლიდა, ჭილო-ბებს ქსოვდა და ყიდდა... არ მახსოვს, ხმამაღლა ეთქვას – დავილალეო... ავადმყოფობისასაც კი არ კვნესოდა, მღეროდა – „დელი დელა, დელი დელა, ლოგინისთვის სადა მცხელა!“ იუმორისტივით ჰყვებოდა ცხოვრებისეულ მძიმე ეპიზოდებს. ცრემლითა და სიცილით ვისმენდი, როცა გვიამბობდა, ერთხელ მატარებელს რომ ძლივს მიუსწრო, გასაყიდად ჭილობების დიდი გორგალი ვაგონის საფეხურებში გაჭედა, ბილეთის ასალებად გაიქცა, ამ დროს რომ მატარებელი დაიძრა, მეოთხე ვაგონზე რომ ძლივს აიყვანეს, მერე როგორ ინაცვლებდა ყოველ სადგურზე თითო ვაგონით წინ და როგორც იქნა, ლანჩხუთის სადგურში დაერთა ბალნების „გამოსაკვებ“ ტვირთს!..

ყველა შვილს პროფესია მიაღებინა, დააოჯახა... შვილები დაიფანტებინა – მახინჯაურში, ბათუმშა და დედაქალაქში...

ბებია მარტო დარჩა... უმცროსმა ვაჟმა თბილისში წამოიყვანა, მაგრამ ვერ გაძლი, სოფელი ენატრებოდა... ზაფხულობით ჩავდიოდი მასთან...

– როის ჩამოით, ცა?! – წამოიძახა დიდებამ. – კიდოკაი, ჩაში არ გაგასტარიო, მითხრა და გულში ჩამიკრა... სიამოვნებით ჩავეფულე მის მხრებზე მოდებულ, შავშინდისფერკუბორულ შალში – დაფნის, მანდარინის, ლორთქო ბალაზის, კვამლისა და ჩაის დუყების სურნელი რომ ასდიოდა...

– მაქანე, ჯორკოსთან, პანა თუნგია, წყალი ამეიტანე საცივიდან. პწკალაზე ნელა ჩაი, ნენა! მანამდე, ა, ელანძე, გამოგიცხობ შენს საყვარელ ნაცრიან კვერს!

გაგისინჯავთ, წყავის ფოთლებში გახვეული, ნაკვერცხლებზე გამომცხვარი, ცივი, ანკარა ნაკადულის წყალგავლებული და მარილნასმული ცხელი მჭადი, ყველთან ერთად?! მე ამაზე გემრიელი არაფერი მიგემნია!.. მერე დიდედას ხელით დაკრეფილი, მოუღლემილი და გამხმარი ჩაის უკრომატეს ნაყენს (ტყემლის მურაბით) დავაყოლებით...

რა ქმნიდა იმ განუმეორებელ გემოს?! ბებიას ხელების სითბო, თუ მშობლიური მინის მადლი?.. ალბათ, ორივე ერთად!..

დიდი ხანია, ალარაა ჩემი ტკბილი ბებია!.. ხავსი მოედებოდა კერიას, სანახელს, ორეს... დაიშლებოდა ოგვადო, ჭილობის საქსოვი დაზგა... ეზოს სარეველა მოეძალებოდა... ალბათ, ინგრევა ოდა...

გულნატკენი იქნება „ადგილის დედა!“

შეუცვლელი იდგება დიდედას სახლის უკანაგორა... ერთი ფერდი ჩაის პლანტაციით დაუფარავს, მეორე – სასაფლაოთი... ბებიაც იქ განისვენებს (ქალ-ვაჟებთან და რძალთან ერთად)...

ყველაფერი მატერიალური წარმავალია... მხოლოდ სამყარო, წინაპართა ხსოვნა, მოგონებანი და სიყვარულია მუდმივი...

წარსულზე ოცნებიდან სკაიპის ხმამ გამომიყვანა... ჩემი შვილიშვილი, ჯორჯა ელისაბედი, სასაუბროდ მიხობდა იტალიიდან... ეს მოგონება, რომელიც გულში მიწრიალებდა, ჭეშმა-

რიტი მწერლის, გიორგი კეკელიძის, სიტყვამ ამომათქმევინა, ნადვილი შემოქმედის შემოქმედებამ დამანერინა... აი, რა ძალა აქვს სიტყვას!.. მით უმეტეს მაგიურ სიტყვას, მხატვრულ სიტყვას. მის მაგიურობას დრო ვერაფერს დააკლებს!

მიხარია, თუ შევძელი ამეხსნა, რატომ გავაგრძელე მამუკას პოემა.

– გისმერთ და თვალწინ მიდგას ჩემი ტკბილი გურული ბებია. ტატიკა (მარგალიტა ახალაძე), ასე ვეძახდი მოფერებით... მთელი ბავშვობა მასთან გავატარე. ხუმრობით მეტყოდა

– ჩემი „მოაგარაკე“ ჩამოვიდა. სულ ფუსფუსებდა, გემრიელ კერძებს ამზადებდა. ჩემი ნაგრამი – ასე გვეძახდა შვილშვილებს. საავადმყოფოში ყოფნის დროს, პაციენტები დალოცა, საწოლში დაწვა, დაიძინა და ცად ამაღლდა... უაკეთების მოგზაურობას

მე და ავთანდილ მასწავლებელი გურიით ვასურლებთ... ავთომ მეგობრებს ხელი მოხვია –

– ქი ამისრულდა ოცნება ჩქარა!

აპა, შევდივართ ჩემს გურიაში!.. სულმა დამტრია, წინ გეიბარა!..

გზას კრიმანჭულით მიუყვებოდნენ და პეიზაჟის ცქერით ლალობდნენ,

ჩაის ბუჩქებზე მსხდარი სკვინჩები მოლალურებთან ერთად გალობდნენ... აისის სხივი ეფინებოდა

სოჭებს და ნაძვებს, თელებს და ალვებს, დაფენებს, ბზებსა და ევკალიპტებს,

ციტრუსის ბალებს და ტუნგის ჭალებს, წყალება და შქერებს, მდინარის ჩქერებს,

თხმელაზე შეზრდილ უტკბეს ადესას, მსხალსა და ვაშლებს, ბალსა და ლელვებს,

გურული გლეხის ნახნავ-ზათესასა...

ცის კაბაღონზე მზე დიდდებოდა....

ლრუბლის ნაფლეთი ციდინ ქრებოდა...

ბელურა მტკვერში იქექებოდა...

ხის მოაჯირზე კატა თბებოდა...

და მერე, როცა მზე ჩადის ზღვაში,

კოლხეთის მინის დგება სურნელი...

ღამის ფრინველი დაუსტვენს ნაზად

და გადიშლება დროის ფურცელი!.. (ლ.ა.)

– ჩემი უაკუნა – ასე უნობებთ მას. როგორ შეგაყვარათ თავი?.. უცნაურმა ჩიტმა თბილისის ზოოპარკში იპოვა თავისი სატრფო, უორჯეტა. თუთიყუშებმა მთელი საქართველო შემოიარეს, შემდეგ კოლხეთში დაიდეს ბინა...

– უაკო შემიყვარდა თავისი შეუცოვრობით, ბრძოლისუნარიანობით, გონიერებით, სწავლის წადილით, დაჩარგულობითა თანადგომით. მერე კი, როცა ჩემი ქეყებანა შემოვატარე, „ვეზხისტებულისნის“ სიბრძნე გავაცანი, დაკარგული საცოლე აქ ვაპოვნინე, აქ დავასახლე, რა თქმა უნდა, ჩემიანი გახდა!

– უაკომ უნდა იცოდეს, ვინ ვინ არის და რა რა... ასეთი ჩანაფერი ჰქონდა მამუკას. რა მიზანი გაქვთ თევენ?..

– მამუკამ თავის პოემაში ისეთი მარშრუტით ატარა უაკო, რომ ქართველ ბავშვებს (სამწუხაროდ, სხვა ენე-



ლუიზა აფხაზავა-თვალაძე გიორგი კეკელიძე

ბზე, ჯერჯერობით, არ თარგმნილა.) საზღვარგარეთის უამრავი ქვეყნის გეოგრაფიის, სამახსოვრო მოვლენების, მსოფლიო ისტორიის ლირსეულ და უღირს ადამიანთა ქმედებების ენციკლოპედიური ცონდა მიაწოდა.

ჩემი მიზანი კი გახლავთ, მხოლოდ საქართველოს გეოგრაფიის, ისტორიის, ფლორის, ფაუნის, წეს-ჩემეულებების, მრავალფეროვანი კულტურის, შეძლებისადაგვარად, ჩვენება (რასაც ერთი წიგნი დაიტევდა).

მსურდა, ნათელყოფა იმისა, რომ დღევანდელი საქართველო ევროპის ძირძელი მხარის, კავკასიონსა და პირენეს შორის მდებარე პრეიბერიის, ნაწილია, რომ ქართველები მესამე საუკუნიდან ვალიარებთ ქრისტეს, რომ ბევრი ჩვენი ქალაქი, თუნდაც, ბათუმი, ქრისტეშობამდე ორ ათას წელს (ზოგი უფრო იქით) გაშენებულა, რომ ბერძნები ჩვენში ეძებდნენ სახელმწიფოს ძლიერების სიმბოლოს და ამიტომ გაიტაცეს კოლხეთიდან ოქროს საწმისი, რომ მედიცინა კოლხ ქალს, მედეას უკავშირდება, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა, რომ ქრისტეშობამდე ას ოცდაექვს წელს „აპრეშუმის მსოფლიო გზა“ ჩვენს ქვეყანაზე გადიოდა, რომ ხორბლისა და ვაზის უნიკალური ჯიშები გვაქვს, რომ...

დღელა, კიდევ მრავალი რომ... ყველაფერს აქ ვერ ჩამოვთვლი, უმჯობესია, მკითხველმა ჩემს პოემაში ჟაკარან ერთად ნახოს და მოისმინოს.

– სასურველია, ჟაკოს თავგადასავალის ეკრანიზაცია... ბავშვებს ზღაპრულ სამყაროში დააპრუნებას...

– გავიხარებ! დიდი ხანია, კარგი მუსტიბლიკაციური ფილმი არ გადაღებულა! არაჩეულებრივი იქნება ჟაკოების გაცოცხლება! ვიცი, ერთი რეჟისორი დაინტერესდა, მაგრამ ჯერ მეტი არაფერი...

თუმცა, თქვენ ახსენეთ „ეკრანიზაცია“, ღმერთმა გისმინოთ! მშვენიერი საბავშვო სერიალი გამოვა!

– ბრძნი კაცივით ფიქრობდა ჩიტი, ადამიანურ სითბოს ჩვეული – ეს სიბრძნე ორმა გურულმა დაანათლეთ... გჯერათ, ჟაკოს ფართო აუდიტორია გაიცნობს და შეიყვარებს...

– დიახ! ჟაკო ვუნდერჩიტია! ის პატარაობიდან კარგად სწავლობდა, უამრავი რამ აინტერესებდა, ყველაფერს სწრაფად ითვისებდა. თითქმის, მთელი მსოფლიო მოარა. იმდენი რამ ნახა, მოისმინა, განიცადა, რომ ახალგაზრდა ბრძენ თუთიყუშად ჩამოყალიბდა. იცოდა, რა უზიდოდა და სურვილის მისაღწევად, რა უნდა ემოქმედა. მიზანმიმართული ჩამოვიდა ჩვენს სამშობლოში.

ჟაკომ კარგად გაიცნო საქართველო, გაიგო მისი ღირებულება, ჩვენი თანამემამულების სულისა და გონის სიღრმე! სწორედ ამიტომ საცხოვრებლად ჩვენთან დარჩა. მეკითხებით, რატომ მაინცდამაინც კოლხეთშიო. რამდენიმე მიზეზის გამო... იმიტომ, რომ თავად გახლავართ კოლხი.

ჩემი სამშობლო მთლიანად მიყვარს, მასზე ცნება მუდამ თან დამაქვს, მაგრამ კოლხეთი სულ სხვა რამ არის – რადგან წინაპრის ფესვები აქ მაქვს! (ლ.ა.)

ნება მომეცით, ჩემს ჟაკოსთან ერთად მოვეფერო უძველეს კოლხებს –

ჩემო კოლხებო, დაგელოცოთ მშობელი მიწა, საცა გინდა ვიყოთ, რომ დაგვყვება მისი ჩვენება!

მიწა, რომელიც ფესვს გვიმაგრებს და ყველგან გვიკავს!

სხვა კუთხე მასთან უსახურად რომ გვეჩენება...

დავიქერებულვარ... მისი ხიბლი, ნეტავ, რა არის?!

ლაუვარდი ზეცა... ზღვა... მინდვრები – მონაქარგები...

მზიანი დილა... ცხელი დღე და, თუნდაც, ავდარი...

ენაკვიმატი გურულები... იდასახლები...

ქლიავისფერი მთები, რბილი, სამოთხის დარი (გალაკტიონის ლურჯი ეტლის თავშესაფარი)...

ცამდე აწვდილი კრიმანჭულის ტკბილი ჰანგები...

ჰო, ამ მშვენებას აჩუქერთმებს ხელი განგების! (ლ.ა.)

ჟაკ ჟაკომ და მისმა მეუღლემ, ურუჟეტამ, გულმხურვალედ შეიყვარეს მთელი საქართველო, მაგრამ დავასახლე კოლხეთში. იმიტომ, რომ ჟაკო იქიდან შემოფრინდა ჩვენს სამშობლოში. კიდევ იმიტომ, რომ მათი მასწავლებელი და გიდი გურული იყო. დავასახლე ბათუმში, რადგან უამრავი უცხოელი შემოდის, თუთიყუშ ჟაკოებს საშუალება ექნებოდათ, ინფორმაცია „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალურობაზე მთელს მსოფლიოში იქედან გაეტანებინათ. ასეც მოხდა!

ჟაკუნამ მალე მსოფლიოს ამცნო,

საქართველო რომ შემოიარა,

როგორ იპოვა „სამართლის წიგნი“,

რომელიც კურნავს სულის იარას! (ლ.ა)

მჯერა, ყველა ასაკის მკითხველი შეიყვარებს „გურული ადგილის დედის“ მიერ დალოცვილი ორი გულმხურვალე ქართველის ჟაკოებს!

ზრდასრულმა ადამიანმა საკუთარ თავში ბავშვი არ უნდა ჩაკლას! ეგზიუპერივით უნდა თქვას – „მე ჩემი ბავშვიბიდან მოვდივარ!“ მივმართავ ყველა მკითხველს –

ჩემი ძვირფასო მკითხველო ხალხო,

ხუთის, ათის თუ ასი წიგნის ბავშვო,

ჟაკოს ამბავი აქ დავასრულე...

არ დაგიმაღაბოთ, ცოტათო ვნალვლობ..

თუმც, სადარდელი, ნეტავი, რა მაქვს?!

თქვენც ხომ ჩემსავით იყავით მგზავრი!

ამ წიგნით მუდამ ერთად ვიქნებით,

გულწრფელ ლოცვას და კოცნას გიგზავნით! (ლ.ა.)

მე 75 წლის ბავშვი ვარ!

– და ბოლოს, ისევ ილია ჭავჭავაძე – ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს! ქართლის დედა ვედრებას შეისმენს!.. ასეთივე ოპტიმისტია სამართლის მაძიებელი მამუკას, თქვენი, ჩვენი და ყველა ბავშვის ჟაკო...

– ჟაკო გვასწავლის, მიზანი მხოლოდ საკუთარი ბეჭინიერება კი არა, კაცობრიობის კეთილდღეობა უნდა იყოს! მაშინ ვიქნებით ჭეშმარიტად თავისუფალნი!

მსურს, ამ წიგნმა მკითხველები დაარწმუნები ილიას ბრძნული ნათელამის ჭეშმარიტებაში – ანმეო შობილი წალიან, ჩვენი და ყველა ბავშვის ჟაკო...

შოთას პოემა გაუძენთილა

ამაღლებული სულით, ქართულით,

ხშირად მტრის მიერ, უხეში ხელით,

ფერფლნაყრილი და მტვერში დანთქმული...

მაგრამ „ნერილ არს, რომ იპერია,

გაბრწყინდება და აღორძინდება!“

ქართული გერი, ქართული სული

სრული დიდებით წარმოჩინდება! (ლ.ა.)

ამის მჯერა!

გმადლობთ, დრო რომ დამითმეთ!

ლუიზა აფხაზევა-თვალაძე

ნოემბერი. 2018 წელი

ლელა სურმავა

ეძიებდე და ჰქოვებდე...

ჩემს ახალგაზრდა მაითხველს!

შენ, ალპათ, ბევრჯერ ყოფილხარ ტურისტულ ლაშ-ქრობაში მეგობრებთან ერთად. გიმგზავრია მანქანით, მატარებლით, გემით. შეიძლება თვითმფრინავშიც იჯექი, მაგრამ ყოფილხარ მიწის ქვეშ – ბუნების იდუმალ სამყაროში? დამტკბარხარ ბუნების განუმეორებელი ნახელავის ცქერით? გინახავს თოვლზე უთეთრესი ქვის ყვავილები და ფარდები, ქვის „ტყეები“, ქვისა და ყინულის ლოლუები, ჭერიდან ჩურჩხელებივით რომ ეშვებიან? გადაგიცურავს მიწისქვეშა მდინარეები და ტბები? დაკიდებულხარ თოკით შაგხახადალებული უფსკრულის პირზე, რომელშიც ჩაგდებული ქვა დიდხანს მირახრახებს სიცარიელეში და ბოლოს სადღაც ჩაიკარგება?

თუკი ყოველივე ეს გაინტერესებს და არ გეშინია, მაშინ სამოგზაუროდ მოემზადე. ოლონდ, სანამ მოგზაურობას შეუდგებოდე, კარგად უნდა ივარჯიშო, შეისნავლობაგირზე გადაადგილება, ცურვა, ყვინთვა, კლდეზე ცოცვა. ყოველივე ეს მიწისქვეშ აუცილებლად გამოიგადება. პირველ ყოვლისა, უნდა დაძლიო სიბნელის შიში, რადგან მღვიმებს ძლიერ უყვართ შეშინება, განსაკუთრებით ახალბედებისა. აქ პატარა ნაპრალი უზარმაზარ სიღრუედ მოგეჩვენება, ორმო – უძირო უფსკრულად, დარბაზი კი ისეთ სიცარიელედ, რომელსაც არც ჭერი აქვს და არც კედლები. მღვიმეში ხშირად არარსებული მოგეჩვენება. ზოგჯერ სწორედ ის მოგელანდება, რაც ყველაზე უფრო გაშინებს. ამიტომ უნდა დაძლიო სიბნელის შიში და ყური შეაჩვით სიჩუმეს, უნდა ისწავლო სიჩუმის მოსმენა.

მიწის ქვეშ მოგზაურობისას უნდა იქნიო თოკის კიბე ვერტიკალური მონაკვეთების დასაძლევად, რეზინის ნავი – მდინარეებისა და ტბების გადასაცურად; მშრალად შენახული ნათურების მარაგი, ვინაიდან მიწის ქვეშ ძლიერი სინესტეა და ნათურა ხშირად გამოდის მწყობრიდან, განათების საშუალება კი სასიცოცხლოდ აუცილებელია, რადგან იქ ისე ბენელა, რომ თვალთან მიტანილ თითსაც კი ვერ დაინახავ. იქ ნამდვილი უკუნეთა, მარადიული წყვდიალის სამეფო. სამაგიეროდ, თუ მიწიქვეშ სამოგზაუროდ გულდასმით მოემზადები, ნანახითა და განცდილით უთუოდ კმაყოფილი დარჩები. რას არ ნახავ იქ: ვრცელ მიწიქვეშა დარბაზებსა და დერეფნებს, წყლით სანახევროდ ამოგსებულ გვირაბებს, რომელშიც ნავით გაისეირნებ, ქვის ჩურჩხელებსა და კელაპტრებივით აღმართულ სტალაგმიტებს, მოგუგუნე ჩანჩქერებსა და მომწვანო-მოშავოდ აფერადებულ უძირო ტბებს, ჭერზე ცაცეპით თავდაღმა ჩამოკიდებულ დამურებს, მშრალ გუბურებში მიმობნეულ მღვიმურ მარგალიტებს... მღვიმის შესასვ-

ვუძღვნი შვილიშვილებს – ელენეს, სოფოს და ილიას ბაბუ



ლელთან კი – პალეოლითელი ადამიანის ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობის ამსახველ საგნებსაც შეიძლება წააწყდე. მაგალითად, ქვის ცულებს, კაჟის ანატკეცებს, საფხეებს, შუბის წვერებს, მოკლული და შეჭმული ნადირის ძვლებიც შეიძლება გამოერიოს, რომელიც ძალზე შორეულ წარსულში ცხოვრობდა და დღეს მთელი დედამიწის ზურგზე აღარსად მოიპოვება (მამონტი, ბენვიანი მარტორქა, ბიზონი, მღვიმური დათვი და სხვა).


ეს მასალები დიდ დახმარებას გაუწევს მეცნიერებს დედამიწის წარსულის ბოლო მონაკვეთის, ანუ მეოთხეული პერიოდის გამოცანების ამოცნობაში. ასე რომ, შენ სასარგებლო საქმის გაკეთებაც შეგიძლია.

განსაკუთრებით ყურადღებით უნდა ათვალიერო მღვიმის ჭერი და კედლები. ვინ იცის, იქნებ პალეოლითელი ადამიანის მხატვრობასაც წააწყდე. ამას კი ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის. განა ასევე შემთხვევით არ აღმოჩინა ესპანელმა მარსელინო საუტურლამ მხატვრობის უბრნებინვალესი ნიმუშები აღტამირას მღვიმეში? მას შემდეგ ხომ მსოფლიოს ასზე მეტ მღვიმესა და ფარდულში მიაკვლიეს მღვიმური მსატვრობის ნიმუშებს.

ვინ იცის, რამდენ საიდუმლოს ინახავს ჩვენი მიწისქვეშეთი.

არანაცლებ საინტერესოა მღვიმები ისტორიული თვალსაზრისითაც.

იმ შორეულ საუკუნეებში, ქვეყნის შიგნით შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური აშლილობისა და ბარბაროსული ერების განუწყვეტელი თავდასხმის უამს, მღვიმები და ქვაბ-სახიზარები ერის ფიზიკური განადგურებისაგან გადარჩინისა და მატერიალურ-კულტურული ფასეულობათა დაცვის ერთი უმთავრესი საშუალება იყო. დამპყრობთა განუწყვეტელი შემოსევებით განაწამები ქართველი ერი წლების მანძილზე კვეთდა ქვაბქალაქებს. უფლისციხე, ვარძის ქვაბთა ქალაქი, დავით გარეჯის უზარმაზარი კომპლექსი და სხვა მრავალი ხომ ამის ჭეშმარიტი დასტურია!



ქართველი მთამსვლელებისა და არქეოლოგების გაბე-
დულმა ექსპედიციებმა ბევრი მნიშვნელოვანი რამ შესძინა
მეცნიერებას. მაგალითად, თრეხვის გამოქვაბულში აღმო-
აჩინეს ქართული ეპიგრაფიკის მნიშვნელოვანი ძეგლი –
ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი გამოჩენილი ის-
ტორიკოსის ლეონტი მროველის წარწერიანი ქვა.

დიდი მოვლენა იყო ლეგენდარული ბეთლემისა და
ხვამლის საიდუმლოების გახსნა, რაც სასიქადულო მა-
მულიშვილების ალიოშა და ალექსანდრე ჯაფარიძეების
ხელმძღვანელობით განხორციელდა.

ქობთავის მღვიმეში მიკვლეულ ხელნაწერთა ფრაგმენ-
ტები და აბუხალოს უაღრესად საინტერესო ფრესკები,
ბეთლემისა და ხვამლის ქვაბსახიზრებში ნაპოვნი ერის
მატერიალური და კულტურული ფასეულობანი ხომ თითო
საიმედო მარჭვალია ერის ისტორიის გრძელ ჯაჭვში, რო-
მელიც სამწუხაოოდ, ავტედობის უამს აქა-იქ წყდებოდა
კიდეც. ვინ იცის, რამდენი ეროვნული განძი, ძვირფასი
ხელნაწერი თუ ხელოვნების ნიმუში დაიკარგა უკვალოდ.
საფიქრალია, რომ ბევრი მათგანი მღვიმე-სახიზრებშია
დამალული და ელის თავის აღმომჩენებს. ამიტომ საჭი-
როა, ჩვენი მინისქვეშეთის, მღვიმებისა და ქვაბ-სახი-
ზრების გეგმაზომიერი, განუწყვეტელი და დაკვირვებული
კვლევა. მართლაც, რა უნდა იყოს იმზე დიდი ბედნიერე-
ბა, როცა საშუალება მოგეცემა, სიცოცხლე დაუბრუნო
ერის მატიანის დიდი წიგნიდან გაფანტულ თუნდაც ერთ
ფურცელს.

მაშ, ეძიებდე და ჰპოვებდე...

კარლსბადის მღვიმე – ბუნების საოცრება

ოპაიოს შტატის ქალაქ ცინკინატიდან დასავლეთის
მიმართულებით ორიათასი კილომეტრი გავიარე, რათა
საკურამენტოს ქედის აღმოსავლეთით მდებარე ბუნების
საოცრება – კარლსბადის მღვიმე მენახა...

ვრცელ შესასვლელ დარბაზში ხალხი ირევა. ისინი კრ-
ძალვით დადიან, ფეხაკრეფით, როგორც ტაძარში, ჩუმად
საუბრობენ.

დარბაზის ცენტრში სალაროებია, ხელმარცხნივ – ჩქა-
როსნული ლიფტები, რომლებიც უმაღ ჩაგიყვანენ სამასი
მეტრის სილომეში...

გამიხარდა, როცა მითხრეს, მღვიმეში მარტო შემეძლო
შესვლა და დათვალიერება (ცხადა, მკაცრად დადგენილი
მარშრუტით).


ვიდრე ლიფტთან მიხვალთ, მარცხნივ, კედელზე მაღა-
ლი, ხმელი, ტიპური კოგბოის უზარმაზარი ფოტოსურათი
ჰქონდა.

„ჯიმ უაიტი“ – ვეკითხულობ წარწერას.

აი, თურმე როგორი ყოფილა ეს გამბედავი, ჯიუტი
კაცი, რომლის სახელიც განუყრელად არის დაკავშირებუ-
ლი კარლსბადის მღვიმესთან.

კარლსბადის მღვიმე ჯიმ უაიტს არ აღმოუჩენია; მის
დაბადებამდე ამ მხარეში ღამურების მღვიმედ წოდებულ
ადგილებს ახლოსაც არავინ ეკარებოდა, მაგრამ XX სა-
უკუნის დასაწყისში გამოჩენდა ჯიმ უაიტი, ჩეულებრივი
მწყემსი ბიჭი, რომელმაც გამეფებული ცრუნწმენებისა
და შიშის მიუხედავად, მღვიმების გამოკვლევა განიზრა-
ხა და უზარმაზარი გამოქვაბულის ძირითადი დარბაზე-
ბი მარტოდმარტომ შემოიარა! მრავალი წლის მანძილზე
სრულიად მარტო იყვლევდა მინისქვეშა ლაბირინთებს,
რადგან ვერავინ დაითანხმა, მღვიმეში გაჰყოლოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, შეძლო მღვიმის უნიკალობა-
ში დაერწმუნებინა ადგილობრივი ხელისუფლება და ამე-



კარლსბადის მღვიმე

რიკის მთავრობა, რაც იმდონისთვის ნამდვილი გმირობა
იყო...

ცნობისმოყვარე ჯიმ უაიტმა პირველად ოცი წლის
ასაკში შედგა ფეხი მინისქვეშეთში. იმ დღისთვის საფუ-
ძლოანად მოემზადა – მოიმარგა თოკები, მავთულები,
რომელსაც მინის ნაკვეთების შემოსალობად ხმარობდნენ;
ნავთის ლამფა; ხის ტოტები თოკის კიბის საფეხურებად
და მღვიმეში ჩაეშვა.

თვალი მაღა შეაჩვია სიბნელეს. ნელა მიიწევდა წინ.
ლამფის შუქი ოდნავ წვდებოდა მღვიმის ნესტიან კედლე-
ბს.

რაც უფრო ღრმად შედიოდა, უჩვეულო სანახაობა მა-
ტულობდა. ჯიმის თვალწინ მინისქვეშეთის ზღაპრული
პეიზაჟი გადაიშალა!

მღვიმეს დასასრული არ უჩანდა.

ფანტასტიკური ფორმების ჭვრეტით გართულმა მოგ-
ზაურმა დროის შეგრძნება დაკარგა. უცებ ლამფის ფითო-
ლი შეფარფატდა და ჩაქრა. ნავთი გამოილია!


ირგვლივ სამარისებურმა სიჩუმემ და წყვდიადმა დაი-
სადგურა!

ეს წუთებია ყველაზე კრიტიკული მღვიმების მკვლე-
ვართა ცხოვრებაში! თვალის გაფართოებულ გუგეებთან
ნარინჯისფერი წრეები იწყებენ როკვას! თითქოს სიჩუმე
გესმის! თითქოს სიბნელეს ხედავ! რა თქმა უნდა, პარა-
დოქსია, მაგრამ ამის წარმოდგენა მხოლოდ მას შეუძლია,
ვისაც მღვიმეში თუნდაც ერთხელ ჩაქრობია მაშუქი...

ჯიმი მიხვდა, თუ ლამფაში ნავთის ჩასხმას ვერ შე-
ძლებდა, ვერასოდეს გამოაღნევდა მღვიმის ლაბირინთუ-
ბიდან...

უკუნეთ სიბნელეში სათადარიგო ქილიდან ლამფაში
ნავთი ჩასხსა. ჯიბეში ფრთხილად მოიძია ასანთის ძვირ-
ფასი ღერები.

რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ ფითოლი აინთო.
სუსტმა წარინჯისფერმა შუქმა უმაღ გაფანტა წყვდიადი...



ჯიმს გადარჩნის იმედი გაუჩნდა.

კარგად იცოდა, რომ ნავთი დიდხანს არ ეყოფოდა, საჭირო იყო სწრაფად გაელნია აქედან!

ჯიმი თავქუდმოგლეჯილი გავარდა გასასვლელისკენ! არად დაგიდევდა საფრთხეს, ყოველ ნაბიჯზე რომ იყო ჩასაფრებული... უცეპ თავით შესაძა სტალაქტიტის. თვალებიდან ნაკვესებმა დაკვესა. სისხლმა იფეთქა. თვალში თბილი ნაკადი ჩაეღვარა...

დარტყმებმ ცივი შესაბივით იმოქმედა. სწრაფად მოეცვა გონს და დინჯად გაემართა გასასვლელისკენ. როგორც იქნა, იმ ადგილამდე მიაღწია, სადაც თოვის კიბე ჰქონდა დატოვებული...

ბანაკში მწყემსები უნდობლად ისმენდნენ მის მონათხრობს უზარმაზარ მინისქვეშა დარბაზებსა და ულამაზეს ქვის ლოლუებზე, ყველაფერი ჯიმის მონაჩრად ჩათვალეს,

არც ქალაქ ედის მცხოვრებლებმა დაიჯერეს მწყემსის ნაამბობი; თუმცა აღმოჩნდა კაცი, რომელსაც ჰქონდა წიგნი მამონტის მღვიმეზე. ამ წიგნში დაახლოებით ისეთივე ჩანახატები იყო დაბეჭდილი, როგორზეც ჯიმ უაიტი საუბრობდა.

წიგნი რომ უნახავს, ჯიმს დაბეჯითებით უთქვამს – ჩემი მღვიმე უფრო ლამაზი და გრანდიოზულიაო.

ათი წელი გავიდა იმ დღიდან. ერთ დღეს ჯიმს ორმა ახალგაზრდამ მიმართა თხოვნით – მღვიმე ეჩვენებინა. თავგადასავლების მაძიებელი ახალგაზრდები მანქანით მოგზაურობდნენ კონტინენტზე. შემთხვევით აღმოჩნდნენ ამ მიდამოებში და ადგილობრივი მცხოვრებლებისგან შეიტყვეს უცნობი მღვიმის ამბავი. მათ ადგილობრივი ფოტოგრაფი დაითანხმეს, რომ ჯგუფს გაპყოლოდა...

ფოტოგრაფის მიერ მღვიმეში გადაღებულმა სურათებმა სენსაცია გამოიწვია!

ყინული დაიძრა! 1922 წელს ჯიმისთან ერთად ცამეტი მოხალისე ჩაეშვა მღვიმეში. ისინი აღფრთოვანებულები იყვნენ ნანახითა და განცდილით.

მღვიმე ქალაქის სიმაყდე იქცა!

მალე ქალაქ ედი კარლსბადი ეწოდა.

თუ ადრე ჯიმს სასაცილოდ იგდებდნენ, ახლა დიდი და პატარა თავის სამსახურს სთავაზობდა. ვაშინგტონში ბარათი აფრინეს; მოითხოვდნენ – ჯიმის მღვიმე ეროვნულ პარკად, ან ნაკრძალად გამოეცხადებინათ.

ხელისუფლებამ ისეთივე სკეპტიციზმი გამოიჩინა, როგორიც ადრე ქალაქის მცხოვრებლებმა...

ბოლოს კარლსბადის მოქალაქეებმა ადგილობრივ სენატორებსა და კონგრესმენებს მოთხოვეს, საქმეში ჩარეულიყვნენ...

1923 წლის დასაწყისში აშ-ს მიწების სამმართველომ



ქანების სპეციალისტს – რობერტ ჰოლს დაავალა, მღვიმის შესახებ არსებული ცნობები შეემოწმებინა.

ჰოლის ვარაუდით, საკითხის შესწავლას ერთი თვე მაინც დასჭირდებოდა; მაგრამ მღვიმეში ერთხელ ჩაშვებაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ პასუხი მოემზადებინა.

რობერტ ჰოლი ხელისუფლებას სთავაზობდა, კარლსბადის მღვიმეს ეროვნული პარკის სტატუსი მინიჭებოდა. ამის შემდგომ მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა.

1923 წლის 25 ოქტომბერს აშ-ს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის ძალითაც კარლსბადის მღვიმე ეროვნულ პარკად გამოცხადდა. (საინტერესო პარალელი – წყლის მღვიმის კეთილმოწყობასაც საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის ხელმოწერა დასჭირდა).

დაიწყო მღვიმის კეთილმოწყობა. ჯიმ უაიტი მღვიმის მთავარ მცველად დანიშნეს.

დღეისთვის კარლსბადის მღვიმის დამთვალიერებლები, ყოველგვარი რისკის გარეშე ეშვებიან სამასი მეტრის სიღრმეში.

ექსკურსია, რომელსაც მთელი სიცოცხლე ვერ დაივიწყებთ, რომ საათს გრძელდება.

ცნობილი ექიმი და სპელეოლოგი, ამერიკის დასავლეთის მღვიმებზე ზედამხედველობის ყოფილი დირექტორი, პროფესორი იულიამ ჰოლიდეი, თავის წიგნში – „თავგადასავლები მინისქვეშეთში“ – წერს: კარლსბადის მღვიმის აღწერა შეუძლებელია; ეს ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება! საკმარისია ითქვას, რომ იგი უდიდესია ამერიკაში და სულ რამდენიმე მღვიმე თუ შეედრება დედამიწაზე და ისიც ნაწილობრივ!

კარლსბადის მღვიმეს ყოველდღიურად ათასობით ტურისტი ათვალიერებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან.

რვა საათს დაედიოდა მღვიმის ტალანებსა და დარბაზები, და დავილალე... არა – ფიზიკურად, არამედ – ემოციებისგან. ორმოცი წლის მანძილზე რამდენიმე ასეული მღვიმე მოვინახულე საქართველოში, ყირიმში, ურალში, შორეულ აღმოსავლეთში; ვნახე ბულგარეთისა და ჩეხეთის, სლოვაკეთისა და უნგრეთის ულამაზესი მღვიმეები, მაგრამ კარლსბადის მღვიმეს გრანდიოზულობით, ნაღვენთი ფორმების სიუხვითა და მრავალფეროვნებით მხოლოდ იტალიის ცნობილი მღვიმე – ფრასასი თუ შეედრება, ისიც ნაწილობრივ.

ბუნებას მთელი ფანტაზია აქ, კარლსბადის მღვიმეში დაუხარჯავს!..

ჯუმბერ ჯიშკარიანი კარლსბადი, ნიუ-მექსიკოს შტატი

სიკათის მთასვარი პატი...



გიგა ბათიაშვილი

ამბობენ, სამყაროს ჩუმი სიკეთე მართავს. სიკეთის მთესველი კაცი კი, ბრძენია, მისი ყოველდღიურობა ამშვენებს ჩვენს ყოფას, ანერნიერებს ადამიანებს...

საქართველოს ყოველთვის ჰყავდა რჩეული ადამიანები. მათი გვარის დასახელების დროს, არ არის აუცილებელი, მისი თვისებების წარმოჩენა. გვარს-სახელები აუდერებენ მფლობელის ღირსებებს, ნაცნობ თუ უცნობ თანამოქალა-ქებში აღძრავენ პატივისცემას და მონიშებას.

XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში ეს ადამიანები ქართულ საქმეს ემსახურებიან. დღეს კი, უკვე იშვიათობაა, გასახარელი – აღმოჩენის დროს და მისაბაძი სხვებისათვის...

ქართული საქმე, არ ნიშნავს, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას. ეს არის ადამიანური თვისებების გამოვლენა, ეროვნული ღირსების დასაცავად.

ბატონი ბიჭიკო ასკურავა ასეთი ნიჭითაა დაჯილდო-ებული. ჩვენს თანამოქალაქეს, პროფესიულად წარმატე-ბულს, მართლაც მკურნალს, შესწევს უნარი, დაეხმაროს გაჭირვებულ ადამიანებს, რომლებსაც მორალური, ფიზი-კური თუ მატერიალური პრობლემები აქვთ. არა მარტო მოტეხილობას თუ სხვა დაავადებებს კურნავს, პაციენტე-ბის მიმართ წარმოუდგენელი რენტგენული თვისებები ახა-სიათებს, ხშირად თხოვნის გარეშე, ეხმარება და შეღავათს უწევს, მნიშვნელობა არა აქვს, ხანდაზმულია თუ ახალგა-ზრდა. ასეთი კაცი იმსახურებს პატივისცემას. შეიძლება მას მხარში არ ამოუდგე, როცა სჭირდება?! ბატონი ბიჭიკო არავის არაფერს არ თხოვს...

სიამოვნებით დავწერე მისი წარდგინება თბილისის სა-პატიო მოქალაქის წოდების მისანიჭებლად. რა თქმა უნდა, მას არ უთხოვია, სამეცნიერო წრეში მოიფიქრეს.

მკურნალის მოლგანების შედეგია – ხებრად განწი-რული ადამიანების გამართული მოძრაობა და ფსიქოლო-გიური გამოჯანმრთელება. მის სახელს სულ თან სდევს მა-დლიერება და სიყვარული, არა მარტო ჩვენი, არამედ სხვა ქვეყნების მოქალაქეების.

ასეთია ყოფილი სპორტსმენი, ველოსიპედისტი, დღეს, კი, წარმატებული მკურნალი, ამ სიტყვის სრული მნიშვნე-ლობით.

ჩვენი დამეგობრება არ უკავშირდება რაიმე განსაკუ-თრებულ შემთხვევას – ან ფეხმოტეხილი მივედი, ან მას დასჭირდა პროექტის მომზადება. ამ კაცში უნიკალური თვისებები ამოვიკითხე, ჩემს მიმართ თავიდანვე გამოა-ვლინა დიდი პატივისცემა და ყურადღება. შემდეგ ფეხიც მოვიტეხ და მისი დახმარებაც დამჭირდა. ასე მოვყვებით დღემდე... ცხოვრება რთულია, მაგრამ ბედნიერებაა, რომ არსებობს, რადგან ბევრ რამეს დაგანახებს, ამ სიჭრელეში კი ჭეშმარიტებას აღმოაჩენ.


მკურნალის ცხოვრებას თან სდევს ირაკლი ასკურავას გარდაცვალებით გამოწვეული დიდი ტეივილი. რა სასიხა-რული ამბავიც არ უნდა მოხდეს, დევება წამი, როცა მის თვალებში, ზოგჯერ ცრემლიანში, ზოგჯერ უცრემლოში, კითხულობ, რომ მას არაფერი არ ახარებს. ასეთივე გან-ცდა აქვს მის დედას, მაღლა ჩიტაისა. ირაკლი საოცარი ბიჭი იყო, პაციენტების მიმართ სულ ყურადღებას იჩინდა.

საბედინეროდ, ბატონ ბიჭიკოს ჰყავს საუკეთესო შეი-ლიშვილი, დათო ასკურავა. ზაფხულში დამიკავშირდა, მცხეთაში ბაბუს დაბადების დღეზე დამპატიუა. გული ამო-ჩუყდა, იმ ღამეს შეჯიბრზე მიდიოდა საზღვარგარეთ, მიუ-ხედავად ამისა, ახალგაზრდა ბიჭმა ყველაფერი მოასწრო. დათო უკვე გამარჯვებული იყო, მნიშვნელობა არ ჰქონდა, იქ რა შედეგს მიაღწევდა.

ასე რომ, სიკეთის მთესველი კაცი ყველაზე ნიჭიერია. ღვთის ნაჩუქარი თვისება და შინაგანი მოთხოვნილებაა, დაეხმარო მას, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება. ეს ადა-მიანი იმსახურებს, იყოს თბილისის საპატიო მოქალაქე. მიიღოს არა მოჩვენებითი, არამედ ნამდვილი სიხარული.

ბატონი ბიჭიკო, გისურვებთ, დიდხანს გაგყვეს ჯანი, მრავალი წელი შესძლოთ, სიკეთის თესვა, ადამიანების თა-ნადგომა. თქვენი კვალი და სახელი ჩვენ სამშობლოს სულ სალბუნად დაედოს.

გიგა ბათიაშვილი
არქიტექტორი, თბილისის საპატიო მოქალაქე



ბიჭიკო ასკურავა

მკურნალი საუკეთესო ფსიქოლოგია...

ნიუ-იორქში მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტმა თა-მარ კახელაძემ თრივე კოჭის მძიმე მოტეხილობა მიიღო. ოპერაციის შემდეგ, თბილისში ჩამოვიდა. მეგობრების და დედის ჩჩევით, ბიჭიკო ასკურავასთან დაიწყო მკურნალო-ბა...

კანადის საზღვართან არის ქალაქი პითაკა, ულამა-ზესი ბუნება და რამდენიმე ტბა. იქ არსებულ კორნე-ლის უნივერსიტეტში სწავლობს ჩემი ვაჟი. სტუდენტები ეჯიბრებოდნენ, ორი ახალგაზრდა ერთმანეთს დაეჯა-ხა, ჩემმა შვილმა ტვინის შერყევა მიიღო. ერთი კვირა საწოლში იწვა, მის დასახმარებლად ჩავედი. ნიუ-იორქში ვპრუნდებოდი, ნახევარი საათით ადრე, საცხოვრებელ სახლთან კიბეებზე ჩავდიოდი, ბოლო საფეხურებზე დიდი დაშორება იყო, ნაბიჯი გადავდგი, მოხრილი ტერფები ჰაერში დარჩა და გადავვარდი, დაცემის შედეგად ორი-ვე ტერფი მოვიტეხ. ხმამალლა ვყვირიდი, – ღმერთო ჩემო!.. მოვიდა სასწრაფო დახმარების ჯგუფი, გადამი-ღეს რენტგენის სურათი, მარცხენა ფეხზე კოჭს ზემოთ მოტეხილობა მივიღე. ხოლო მარჯვენაზე ერთ-ერთი ძვა-ლი გაბზარული და მყესები მოტეხილი მქონდა. საავად-მყოფოში მკურნალობის შემდეგ, დაიწყო რეაბილიტაციის პროცესი, მომხსნეს თაბაშირი, ჩამაცვეს ორთოპედიული ჩექმა, მეორე ფეხზე უფრო პატარა მეცვა. ერთი თვის შემდეგ ნიუ-იორქში დავპრუნდი. მივმართე კოჭის და ტერფის სპეციალისტს, შემდეგ მეორე ქირურგთან გა-დავამოწმე, დამინიშნეს ოპერაცია, დაცილებული ძვლები სწორად არ შეხორცდება. ორივე მხარეს ჩასვეს პლასტ-მასის ფირფიტა და ხრახნით დააფიქსირეს. ოპერაციიდან მესამე დღეს უმოძრაობის შედეგად, ფილტვებზე თრომბი მივიღე. ისევ საავადმყოფოში აღმოვჩნდი, ჩამიდგეს ფილ-ტრი, სულ ეტლში ვიჯექი. ემიგრანტისთვის ეს ნამდვილი ჯოჯოხეთია, რადგან იქ სამსახურზე ხარ დამოკიდებუ-ლი. ჩოჩილას დახმარებით გადავადგილდებოდი. დავიწყე ვარჯიში, ფიზიური თერაპია, სახლში მოდიოდა ექიმი და დღეში სამჯერ მავარჯიშებდა. სანოლში ერთი დღეც არ გამიტარებია, სულ ვიჯექი, ხელებს და ფეხებს ვამოძრა-ვებდი. 6 იანვარს თბილისში ჩამოვედი.

– ქალბატონო თამარ, ოპერაციას აშშ-ში სოლიდური თანხა 70 000 დოლარი დასჭირდა. შემდეგ ბიჭიკო ასკურა-ვასთან მიხვედით. რატომ, იქ სასურველი შედეგი ვერ მიი-ღეთ?

– შედეგით და რეაბილიტაციის პროცესით კმაყოფი-ლი ვარ. მეც ამ უბანში გავიზიარდე, ხშირად ვხედავდი ამ ძვირფას კაცს. საინტერესო ადამიანია, რომელსაც ხედვის დიდი დიაპაზონი და მკურნალის ფსიქოლოგია აქვს. პრო-ფესიით თერაპევტი ვარ, შემ პირებთან და აუტისტ ბავშ-ვებთან ვმუშაობ. სამ წლამდე ტვინი ბოლომდე არ არის ინფორმირებული. თუ ბავშვს მცირე პრობლემა აქვს, მის საციილები, სიარულში გამოვლინდება. ამ ჯაჭვში შეი-ძლება ერთი როგორ სუსტი იყოს, რაც არღვევს ბალანსს, ან უბრალოდ, სჭირდება გამყარება. სპეციალური პრო-გრამის საშუალებით, ვამოწმებთ ხელის თუ ფეხის მო-ტორიკას, ვიწყებთ განსაკუთრებულ სამუშაოებს, მნიშვ-ნელოვანია, ხელების მოძრაობა, ტვინს ავარჯიშებს. ამი-ტომ საუკეთესო საშუალებაა ხატვა და ჭრა. ბავშვობიდან მსურდა კერვა, მაგრამ ბებია მიშლიდა, ფიქრობდა, რომ ზინგერის მანქანას გავუფუჭებდი – იცინის. ბავშვს სულ



თამარ კახელაძე

უნდა ესაუბრო, დაეხმარო, სწრაფად რომ განვითარდეს.

– რა დაავადება აუტიზმი?

– ეს არის კომუნიკაციის ნაკლებობა. მათ არ აქვთ ბაშვებთან ურთიერთობის უნარი, ვერ შედიან კონტაქტ-ში, მარტო თამაშობენ. ჩაკეტილი ცხოვრობენ თავიანთ სამყაროში. თუ ეს პრობლემა დროულად არ აღმოიფხვრა, სერიოზული აუტიზმი ვთარდება. არსებობს თანდაყო-ლილი და შეძენილი აუტიზმი, ასევე გინეტიური, მაგრამ ეს ექიმებმა ჯერ ვერ ახსნეს. დღეს, ყველა მშიბლის პრო-ბლემაა კომპიუტერული თამაშები, ბავშვი საზოგადოები-დან იზოლირებულია, არ აინტერესებთ, რა ხდება გარშე-მო, აქედან იწყება აუტიზმი. სწორედ ასეთ ბავშვებთან ვმუშაობთ.

– როგორი შედეგები გაქვთ?

– გააჩნია ხარის. აუტიზმს ბევრი განშტოებები აქვს, არსებობენ ნიჭიერი ბავშვები, რომლებსაც ასპერგემის სინდრომი აქვთ. ესეც აუტიზმია, ყველა დიდ ადამიანს ჰქონდა ასპერგემის სინდრომი, მაგალითად ნიუტონი. ისინი გენის იყვნენ, მართალია, სხვაგვარად განი-ხილება, თუმცა აუტიზმის ქოლგაში შედის. არიან გაფან-ტული გონების ბავშვები, ხშირად ამბობენ, ნიჭიერია, მა-გრამ ზარმაცი. სიზარმაცეც დარღვევაა, თუ ნიჭიერია, ის აუცილებლად მიხვდება, რომ უნდა ისწავლოს. აუტიზმში მნიშვნელოვანია თვალებით კონტაქტი, როცა სახელით მიმართავ და თვალებში არ შემოგხედა, ეს უკვე ნაკლია. მთავარია, თუ როგორ მოგყვება ბავშვი... მე და ბატონ-მა ბიჭიკომ ამ თემებზეც ვისაუბრეთ. ადამიანს ყოველ-თვის თვალებში ვუყურებ, მკურნალში საოცარი სიღრმე დავინახე. მომენტისა, თუ როგორ წარმოდგება – ჩაცმის

სტილი, სამაჯურები, სამკაულები. ეს მის ხასიათზე მეტყველებს. მის შესაძლებლობებს იმდენად ბევრი განშტოება აქვს, შეუძლია მთელი სამყარო დაიტიოს. მას ხომ უამრავ ადამიანთან უწევს ურთიერთობა, რაც კარგი გამოცდილებაა. ცნობილია სამი როული პროფესია – უურნალისტები, პედაგოგები და რეჟისორები, ისინი მრავალმხრივი ფსიქოლოგის ადამიანები არიან. მკურნალის პროფესიაც როულია. მას შესწევს, პაციენტს თავისი ფსიქოლოგით დახვდეს, გამოიცნოს, თუ რა ენაზე ესაუბროს. საფენებს ნიუ-იორკში წავიდებ და იქ გავაგრძელებ მკურნალობას. მითხრა, შესაძლებელია ტრანსპორტირება. დარწმუნებული ვარ ოპერაციის და რეაბილიტაციის შემდეგ, მისი მეთოდი შევებას მომგვრის. ნიუ-იორკში გამოდის ქართული გაზეთი „მამული“. ლელა, მთავარ რედაქტორს მანუჩარ კაჭახიძეს გაგაცნობთ, გამოვაქვეყნოთ პუბლიკაცია ბატონი ბიჭიკოს მკურნალობის მეთოდზე. ამ ფორმით გამოვხატოთ მადლიერება ქართველების საამაყო შვილის მიმართ. ღმერთმა მისცეს უნარი, რაც შეიძლება მეტი ადამიანი გამოაჯანმრთელოს...

ლელა სურმავა

თბილისი, ლესელიძის ქ. №25/

ტელ.: 2999694, 2987995,

ბიჭიკო ასკურავა: 577411911

დავით ასკურავა: 593550030

www.facebook.com/askuravahealer



გურული ბებიას თვალით ჩანახული რჩახი

ოჯახი ჯახია ბებია, და თუ იცი, რაფერი ტკბილი ჯახი, რომ შეგაჯანჯღარებს, გამოგაფხიზლებს და ადამიანობას გასწავლის...

მიზდღემჩი შაქარყინულს ვინ გალოკნებს აბა! ხანდისხან პიმპილიც შეგყვება ეგება, მარა, კი არ უნდა გადმოაფურთხო, უნდა გადაყლაპო და შეირგო, იც შენი წილია და უნდა გიყვარდეს.

ოჯახი წმინდაა ბებია, და ღმერთი ცხოვრობს შიით. რამდენი აკვანიც გადავაქანე, ღმერთი იყო, აბა, რა იყო...

კიდო, ომია ბებია ოჯახი, მარა, თოვფით კი არა, თოხით ომი...

უნდა აფხვირო, ასუნთქო, გვიმრა და ეკალი მოაშორო... მარა, ჭიშკარს გადაღმა კი არ უნდა დაწვა სააშკარაოზე, მოფარებულში, შენდა ჩუმათა...

კაცი თავია ოჯახისო – ღმერთ-



მა თქვა და მასეც უნდა იყოს მაი. აბა, გამოჩიჩინებული აბდალი კაძახი რათ გინდა. ქალი კისერიაო, იც უთქვამთ, მარა, თხასავით კი არ უნდა აღერლეტოს კისერი უცხო ღობე-ყორეს! მის ეზო-კარში უნდა ჩეეტიოს და თუ რაიმე კას გააკეთებს, არ უნდა კივილი გზა-შარაზე, აი რა ვქენიო...

ომიანობის დროს, მარტო რომ დავრჩი ოთხი შვილით, თუ იცი, რას ვშობოდი?..

ლამე ბალნებს რომ დავაძინებდი, სანთელს ჩავაქრობდი, ჭირდა ბებია, სა იყო იძენი სანთელი, ჩემი ფიქრები რომ გეენათებია... დავჯდებოდი სიჩუმეში და ჩემი იღის კედლებს ვუგდებდი ყურს... თუ იცი, რამდენ რამეს მიჩიოდნენ?

მაშინ, სა იყო აბა, ეკლესია, მარა მე ჩემი ეკლესია მქონდა, ჩემი ოჯახი და ღმერთიც ჩემთან იყო, არ მტიერდა.

ასეა ბებია...
არ ხარ შენ უჭკუო ბალანა, მარა ბებიას დარიგება არაა ზედმეტი...

კაი, დევიდინოთ ახლა, დაგვათენდა საცაა... დანარჩენი ხვალიზა გადავდოთ... ინებებს ღმერთი.

მართალია, მაშინ ვერ ვხდებოდი, რას მარიგებდა ბებია, მაგრამ სიამოვნებით ვუსმენდი...

მარიამ ბაქანიძე



ა ხ ე ჭ დ ო ტ ა ბ ი



☺ ☺ ☺

1992 წელია. ოზურგეთში ისე-ვე როგორც მთელ საქართველოში, ცუდი დროა. ერთ-ერთ ოჯახში შევიდა „მესოჩიკე“ მრიცხველის შესა-მონმებლად. – აი რაია, ძამა, შენმა „სოჩიკმა“ რეიზა არ დაწერა მთელი თვის მანძილზე აფერი? – აი „სოჩიკი“ ძამა ეგნატე ნინოშვილი კი არაა, ლაპას შუქზე დეენერა რამე.

☺ ☺ ☺

გურული მიდის გასვენებაში, მეზობელს 5 ლარი თხოვა, მეზობელ-მა უთხრა, – 5 ლარი თუ არ გაქვს, გასვენებაში რა გინდა, დაჯექი და სახლში იტირეო.

☺ ☺ ☺

გურული ციხეში ზის და იქ ერთი კაცი გაიპარება, დაიჭირეს ხელი მოაჭრეს და ისევშემოაგდეს, მეორედ კიდევ გაიპარა, დაიჭირეს მეორე ხელი მოაჭრეს და შემოაგდეს, გურული მივიდა და ეყითხება: რაია შენ, ძამა რა ნაწილ-ნაწილ იპარები.

☺ ☺ ☺

გურული გაიტანა მატარებელ-მა, თვალები ვერ დაახუჭიეს, ცოლი ტირის: – ახლა რომ გაქ მაი თვალები დაყლებილი, მატარებელი რომ მოდიოდა მაშინ სა იყაიიიი?

☺ ☺ ☺

გურულმა ექიმმა თავის პაციენტს ტალასით მუკუნალობა გამოუწერა – მომიხდება? – შეეკითხა დაიმედებული პაციენტი – მოხდენის რა მოგახსენო მარა მიწას მიეჩვევი ძამა.

☺ ☺ ☺

50 ლარი მომპარეს – ამბობს შეწუხებული გურული. მერე პოლი-ციაში არ იყავიო? – ჰკითხეს. ვიყვი მარა, მითხრეს, ჩვენ არ მოგვიპარავსო.

☺ ☺ ☺

გურული ცოლს მოიყვანს, დაწერის, პირველი ღამეა. „ბა-

ლანის გულიზა, თვარა ამას როგორ გაკადრებდიო – ჩაულაპარაკა ცოლს გურულმა.

☺ ☺ ☺

გურული გლეხი თბილისის ზოოპარკს ეწვია.

– გურულოოო... შემოესმა თუ-თიყუშის გალიიდან.

ხომ არ მომეურაო, გაიფიქრა და ხელახლა ჩაუარა გალიას.

– გურულოოო... – ეძახის თუ-თიყუში.

☺ ☺ ☺

გურული და ქართლელი გაჩერებაზე დგანან:

ქართლელი – რომელ მარშუტკა მიდევ შენა?

გურული – მაი თქვენ მისდევთ მარშუტკას ძამა, თვარა ჩვენ მივყობით მაგას.



☺ ☺ ☺

რაჭველი უფროსი ეხვენება გურულ მდივანს, ცოტა ნელა ბეჭდე, კარნას ვერ ვასწრებო.

☺ ☺ ☺

გურული ეკითხება სადგურის მორიგეს:

– ოზურგეთის მატარებელი მალე მუა?

– დღე-დღეზე ველოდები, – და-ამთქარა მორიგემ.

☺ ☺ ☺

გურულს საფლავის ქვაზე უწერია:

შენ უნდა კითხულობდე ახლა ამას და მე უნდა ვიწვე მიწაში?!!

☺ ☺ ☺

გურულს ეკითხებიან: როგორ ასწრებთ გურულები ამდენი სისულელის თქმას ერთ დღეშიო და გურულმა უტხრა :პირადად მე ძამა ადრე ვდგებიოო.



☺ ☺ ☺

გურული ჩავიდა კახეთში, დაინახა მიხო ვირთან ერთ ამბავშია და იცინის.

ეკითხებიან: რა გაცინებსო? გურული: შეხედე თხა ჰერინია.

☺ ☺ ☺

ქართული ენის გაკვეთილზე: მასნავლებელი: მე მშია, შენ გშია, მას შია... ისმის კითხვა: რა დროა?

გურული: ეეეჭ, გლახა დროა მასნავლებელო მარა უნდა გოუძლოთ...



☺ ☺ ☺

გურულს კითხეს:

– წელს სა მიხვალ დასასვენებლად?

– არსაა, ჩემ ბიუჯეტს რომ გადავავლე თვალი, სულ არ დავლლილგარ თურმე.

☺ ☺ ☺

კონტროლიორი ადის ავტობუსში და გურულს ეუბნება:

– ბილეთი გაქვს?

– არა, შენ გაქვს?

– არა, მე კონტროლიორი ვარ

– მასე მამაჩემი მანტიორია, მარა დენის ფულს მაინც ვიხდით და მაი ბილეთი ეილე მაქანე.

☺ ☺ ☺

ახალგაზრდა ქალი ხანდაზმულ გურულ მამაკაცს ეკითხება:

– რამდენი წლის ბრძანდებით?

– ოთხმოცის.

– ნამდვილად არ მოგცემდით.


– არც მინდა....



☺ ☺ ☺

გურული დეიჭერს ოქროს თევზს. თევზი ეუბნება: – ახლა არ დამიწყო სამი სურვილი და რაცხა, ერთი მითხარი და შეგისრულებ. – ა, ახლა ხო ვართ ჩიხატურში?! აქედან ნიუ-იორკამდე ხიდი გადეო! – აპ, აპ, აპ შენ ისეთი რამე მთხუე, თავიდანვე იცი, რო გამიჭირდება მაგის შესრულება, პანა ადვილი რამე მთხუე. – კაი აპა, ყველა გურულს ტვინი მიეცი. თევზი დაფიქრდა, დიდხანს იფიქრა და ეუბნება გურულს: – ეეეეეეეეეე, ხიდი რამსიფართე გინდა?



ბინის ასვერული მომენტები





**თემისამართი ფინანსობრივი
მომსახურების და მთავრობის გამოყენების
თავისი თავმართებისით**



**ეცემა-ენერგეტიკული
ენერგეტიკული სამსახურის
ენერგეტიკული სამსახურის
სისტემის დაწესების...**

ISSN 2346-7606



9 772346 760009